# ლელო

№063 (12 133) **17** მარტი შაბათი 2007 გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი



ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა


## საბოლოო განაჩენი
# ქალაძე გლაზგოში ვერ ითამაშებს



## ...სამაგიეროდ, ტოპის რაზმთან ერთად ითამაშებს 200 ქართველი

პრესკონფერენცია ფეხბურთის ფედერაციაში 3

საქართველოს ჩემპიონატი

## ინტრიგა მხოლოდ იმერეთში

| XVII ტური |
| --- |
| 15:00. 17 მარტი, შაბათი |
| მერანი-ბორჯომი |
| ლოკომოტივი-ოლიმპი |
| ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია |
| კახეთი-ჩიხურა |
| სიონი-ბათუმი |
| ტორპედო-დინამო |
| ამერი-დილა |

ტურის წინათქმა 2

## ლიპი და მილანი: კონტრაქტი აღდგომის შემდეგ?



## იუეს ბოსებმა ლონდონში ლემპარდს ჩააკითხეს

## ბაიერნი: 50 მილიონი ოტმარს

მსოფლიო ფეხბურთის ამბები 6-10

# მარადონა დაილუპაო...



გუშინ მთელი არგენტინა შეძრა დაუდგენელი არხებით გავრცელებულმა ინფორმაციამ, დიეგო მარადონა ავტოავარიაში დაილუპაო. საბედნიეროდ, ჭორი გამოდგა. დიეგო იძულებული გახდა, "რადიო პლატას" ეთერით გამოსულიყო და მილიონობით ფანი დაემშვიდებინა: "აქ ვარ, ცოცხალი და სრულიად ჯანმრთელი, და უფრო ჯანმრთელი, ვიდრე ოდესმე ვყოფილვარ. არ მესმის, ვის სჭირდებოდა ამ სიბინძურით სპეკულირება? 80 წლის დედაჩემმა კინალამ ინფარქტი მიიღო".

დიეგომ სასწრაფოდ უხმო პირად ადვოკატებს და სიტუაციაში გარკვევა დაავალა, თან დაიმუქრა, რომ ამ უნიჭო სიყალბისთვის ჭორიკანებს საშვილიშვილოდ აგებინებს პასუხს.

ერთა თასი. დღეს 19:30. ესპანეთი-საქართველო

# ამ შემადგენლობით ჯერ არ გვითამაშია

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა გუშინ, მადრიდის უნივერსიტეტის სარაგბო სტადიონზე მატჩისწინა ბოლო ვარჯიში გამართა. იქამდე, დილიდან, რაგბის კავშირის ხელმძღვანელებსა და ნაკრების მწვრთნელებს რამდენიმე საინტერესო, საქმიანი შეხვედრა ჰქონდათ.

ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი - იქნება თუ არა ფრანგი მწვრთნელი **ანრი ბრონკანი** ბორჯღალოსანთა კონსულტანტი, დადებითად გადაწყდა. რაგბის კავშირის სანაკრებო კომიტეტის ხელმძღვანელმა **ირაკლი გვენეტაძემ** გვითხრა: „ბრონკანს ნაკრების მწვრთნელებთან ერთად შევხვდით. დავსახეთ მომავლი გეგმები. ვისაუბრეთ და შევათანხმეთ თანამშრომლობის ფორმა. ანრი ბრონკანი ჩვენს ეროვნულ გუნდთან ერთად იქნება რუმინეთში, ივნისში გასამართ საერთაშორისო ტურნირზე, ასევე პორტუგალიასთან 23 ივნისის ერთა თასის მატჩისწინა მზადების პერიოდში. ყველაზე კარგი ისაა, რომ მას არც აგვისტოში, მსოფლიო თასისთვის მზადების პერიოდში ექნება რაიმე პრობლემა, რომ საქართველოს ნაკრებს დაეხმაროს. ბრონკანი ალბათ გუნდთან ერთად იქნება მსოფლიო თასზეც".

მეორე შეხვედრა რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა ფრანგულ კომპანია H2-ის წარმომადგენლებთან გამართეს. მართალია, საბოლოო შეთანხმება ჯერ მიღწეული არაა, მაგრამ ცალკეული დეტალების გარკვევის შემდეგ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო თასზე სწორედ ეს კომპანია შემოსავს.

ნაკრების მზადების შესახებ ერთ-ერთმა მწვრთნელს **პაატა ნარიმანაშვილმა** ვესაუბრეთ: „მოსამზადებელი პირობები საუკეთესოა. პრობლემა ისაა, რომ ფაქტობრივად ახალი გუნდი შევკრიბეთ. ასეთი შემადგენლობით არასდროს გვითამაშია. თავიდან ცოტა გაგვიჭირდა, თუმცა მერე ყველაფერი დალაგდა და ვფიქრობთ, ბიჭები თავს არ შეირცხვენენ. გუნდს ყველაზე გამოცდილი ვიქტორ დიდებულიძე უკაპიტნებს".

**ბესიკ ჯანგავაძე**

### საქართველო ესპანეთთან

15. გიორგი ელიზბარაშვილი, 14. გიორგი შკინინი, 13. დავით კაჭარავა, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ოთარ ელოშვილი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. ბიძინა სამხარაძე.

1. ავთანდილ კოპალიანი 2. რეზო ბელქანია 3. დავით აშვეთია 4. მამუკა გორგოძე 5. ვიქტორ დიდებულიძე (კაპ) 6. ილია მაისურაძე 7. სანდრო მჭედლიშვილი 8. დავით ბოლღაშვილი

16. დავით დადუნაშვილი 17. გიორგი ჟღენტი 18. გიორგი ნემსაძე 19. შალვა პაპაშვილი 20. გიორგი კაჭარავა 21. ირაკლი ჩხიკვაძე 22. დავით გურგენიძე

**დღესვე:** ჩეხეთი-რუმინეთი

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. XVII ტური

| სულ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 16 | 12 | 3 | 1 | 41-6 | 39 |
| 2. დინამო | 16 | 12 | 0 | 4 | 30-13 | 36 |
| 3. ზესტაფონი | 16 | 10 | 5 | 1 | 28-6 | 35 |
| 4. ამერი | 16 | 10 | 4 | 2 | 31-10 | 34 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 16 | 10 | 4 | 2 | 35-18 | 34 |
| 6. სიონი | 16 | 9 | 2 | 5 | 21-13 | 29 |
| 7. ტორპედო | 16 | 8 | 4 | 4 | 18-10 | 28 |
| 8. ლოკომოტივი | 16 | 4 | 4 | 8 | 12-22 | 16 |
| 9. ბორჯომი | 16 | 4 | 4 | 8 | 16-27 | 16 |
| 10. მერანი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-29 | 16 |
| 11. ბათუმი | 16 | 3 | 4 | 9 | 13-16 | 13 |
| 12. ჩიხურა | 16 | 2 | 4 | 10 | 10-27 | 10 |
| 13. დილა | 16 | 1 | 3 | 12 | 9-42 | 6 |
| 14. კახეთი | 16 | 0 | 1 | 15 | 11-50 | 1 |

| შინ | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 8 | 7 | 1 | 0 | 24-3 | 24 |
| 2. დინამო | 8 | 7 | 0 | 1 | 18-5 | 21 |
| 3. ამერი | 8 | 6 | 2 | 0 | 15-2 | 20 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 8 | 6 | 2 | 0 | 20-9 | 20 |
| 5. ზესტაფონი | 8 | 5 | 3 | 0 | 13-1 | 18 |
| 6. ტორპედო | 8 | 5 | 2 | 1 | 11-4 | 17 |
| 7. სიონი | 8 | 5 | 1 | 2 | 12-3 | 16 |
| 8. ლოკომოტივი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-11 | 13 |
| 9. ბორჯომი | 8 | 2 | 3 | 3 | 10-14 | 9 |
| 10. ჩიხურა | 8 | 2 | 3 | 3 | 6-10 | 9 |
| 11. ბათუმი | 8 | 2 | 1 | 5 | 8-9 | 7 |
| 12. მერანი | 8 | 1 | 2 | 5 | 5-16 | 5 |
| 13. დილა | 8 | 0 | 1 | 7 | 2-21 | 1 |
| 14. კახეთი | 8 | 0 | 1 | 7 | 7-21 | 1 |

| სტუმრად | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 8 | 5 | 2 | 1 | 17-3 | 17 |
| 2. ზესტაფონი | 8 | 5 | 2 | 1 | 15-5 | 17 |
| 3. დინამო | 8 | 5 | 0 | 3 | 12-8 | 15 |
| 4. ამერი | 8 | 4 | 2 | 2 | 16-8 | 14 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 8 | 4 | 2 | 2 | 15-9 | 14 |
| 6. სიონი | 8 | 4 | 1 | 3 | 9-10 | 13 |
| 7. ტორპედო | 8 | 3 | 2 | 3 | 7-6 | 11 |
| 8. მერანი | 8 | 3 | 2 | 3 | 9-13 | 11 |
| 9. ბორჯომი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-13 | 7 |
| 10. ბათუმი | 8 | 1 | 3 | 4 | 5-7 | 6 |
| 11. დილა | 8 | 1 | 2 | 5 | 7-21 | 5 |
| 12. ლოკომოტივი | 8 | 0 | 3 | 5 | 3-11 | 3 |
| 13. ჩიხურა | 8 | 0 | 1 | 7 | 4-17 | 1 |
| 14. კახეთი | 8 | 0 | 0 | 8 | 4-29 | 0 |

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| 1 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 9 |
| 2-3 | ფიფია (ზესტაფონი) | 8 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| 4-8 | იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| | იაშვილი (დინამო) | 7 |
| 9 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| 10-14 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 5 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| 15-25 | ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათუმი) | 4 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 4 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 4 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| 26-37 | შ. ლონლაძე (ზესტაფონი) | 3 |
| | გენაძე (ოლიმპი) | 3 |
| | ევოჩე (სიონი) | 3 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 3 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 3 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 3 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 3 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 3 |

# ინტრიგას იმერეთი მასპინძლობს



პირველ წრეში: ვიტ ჯორჯიას ფორვარდი ნიკოლოზ გელაშვილი და ზესტაფონის გოლკიპერი გრიგოლ ჭანტურია

დღევანდელი ტურიც ბევრ საინტერესოს გვპირდება. შვიდიდან ორი თამაში უნდა გამოვარჩიოთ. ცენტრალური მატჩების ხილვის საშუალება იმერელ ქომაგს მიეცემა. ზესტაფონსა და ქუთაისში ხომ ერთიმეორეზე მიმზიდველი ბრძოლები შედგება. დღეს, ზესტაფონში ლიდერთა ჯგუფის ორ ბინადარს შორის უკეთესი გამოვლინდება, ქუთაისში "დინამოს" საჩემპიონო ამბიციების საფუძვლიანობა შემოწმდება, ერთპიროვნული ლიდერი ვაკეს ეწვევა, ჰაერივით საჭირო ქულებისთვის იბრძოლებენ დანარჩენებიც...

## ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია

17 მარტი. ზესტაფონი. ცენტრალური. 15:00

პირველ წრეში: 0:3

### სავარაუდო შემადგენლობები

ზესტაფონი: ჭანტურია, საჯაია, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, ვიეირა, რ. ონიანი, გ. ჭელიძე, ბ. ნოზაძე, ფიფია, გ. ჩხეტიანი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ლომაია, ა. კვახაძე, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, კვალინიძე, სახოკია, გელაშვილი, გ. მელქაძე

არბიტრი: ვადაჭკორია

ასისტენტები: მენთეშაშვილი, ერქვანია

ამ სეზონის ყველაზე ცუდი თამაში "ზესტაფონმა" "ვიტ ჯორჯიასთან" ჩაატარა. პირველ წრეში, "არმაზზე" ვეტერინარებმა იმერლები ერთი ამოსუნთქვით გაანადგურეს. ბუნებრივია, **ნესტორ მუმლაძის** გუნდი დღესაც გამარჯვებისთვის იბრძოლებს, მაგრამ ამ მიზნის მიღწევა სტუმრად ერთი-ორად უნდა გაუჭირდეს – სამი ქულა **თემურ მახარაძესა** და მის შეგირდებსაც არანაკლებ ესაჭიროებათ და რაც მთავარია, რუსთავული მატჩით კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ დიდი მიზნების მიღწევა რეალურად ძალუძთ.

ამ გუნდების უფრო ადრეულ დაპირისპირებებსაც არანაკლებ საინტერესო ისტორია აქვს. შეგახსენებთ, წინა სეზონში "ჯორჯიამ" ზესტაფონში 4:0 გაიმარჯვა, ფეროელებმა კი რევანში ორჯერ აიღეს - მეტოქეს მეორე წრის მატჩშიც სძლიეს და თასის ნახევარფინალშიც აჯობეს.

მასპინძლებსაც და სტუმრებსაც საჩემპიონო ამბიციები ამოძრავებთ, ბევრი საუბარი არ სჭირდება იმას, როგორ ფასობს ამ შეხვედრაში გამარჯვება. ფრე ორივესთვის დანაკარგი უფრო იქნება, ვიდრე შენაძენი.

"ზესტაფონს" **გოგი ფიფია** უბრუნდება. შეგახსენებთ, მან "ოლიმპთან" შეხვედრაში დისკვალიფიკაციის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა. საინტერესოა, შეინარჩუნებს თუ არა ძირითადში ადგილს **გაგა ჩხეტიანი**, რომელმაც ფიფია რუსთავულ მატჩში შეცვალა და შესანიშნავი შთაბეჭდილებაც დატოვა. შესაძლოა, სასტარტო შემადგენლობაში მახარაძემ ორივე მათგანი ერთად გაამწესოს. მასპინძელთა შემტევი ძალა ამით არ შემოიფარგლება, მწვრთნელის განკარგულებაში ხომ **ზურაბ იონანიძე** და **ლეანდროც** არიან. დღეს ამ ბრაზილიელი ფორვარდის ზესტაფონური დებიუტია მოსალოდნელი.

"ჯორჯიას" რაც შეეხება, მისი დამრიგებლის განკარგულებაში გაცილებით მოკლე სათადარიგოთა სკამია, სავარაუდოდ, მუმლაძე კვლავ იმ შემადგენლობას დაეყრდნობა, რომელსაც წინა თამაშებში ენდო.

## ტორპედო-დინამო

17 მარტი. ქუთაისი. ცენტრალური. 15:00

პირველ წრეში: 1:0

### სავარაუდო შემადგენლობები

ტორპედო: ქვილითაია, ჭედია, ფარულავა, კილასონია, რ. ბარაბაძე, კვეტენაძე, ხურცილავა, ზ. ჩხეტიანი, ლალაძე, მ. ლონლაძე, იმედაძე

დინამო: ლორია, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, შაშიაშვილი, ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, კობახიძე, დილმელაშვილი, იაშვილი

დისკვალიფიკაცია: სპასოევიჩი

არბიტრი: ბეუქლიშვილი

ასისტენტები: მ. ურუშაძე, გუდურაშვილი

"ტორპედოსა" და "დინამოს" ჭიდილი კარგა ხნის წინათ, "ქართულ კლასიკოდ" მოინათლა. მათი ურთიერთშეხვედრები ყოველთვის მიიპყრობს გულშემატკივრის განსაკუთრებულ ყურადღებას იმის მიუხედავად, რომელ პოზიციაზე იმყოფებიან და კონკრეტულ მომენტში როგორი მიზნები ამოძრავებთ.

ქუთათურებს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონებთან საკმაოდ წარმატებული სტატისტიკა აქვთ და გარკვეული პრობლემების მიუხედავად, დღესაც შეუძლიათ "დინამოს" გამწარებაზე ფიქრი. ამ ჩემპიონატში "ტორპედომ" პრინციპულ ორთაბრძოლაში თბილისელებს ერთხელ უკვე სძლია. ფორმააკრეფილ დინამოელებს შინ განცდილი მარცხი მწარედ ახსოვთ და რევანშის რიგიანი შანსიც აქვთ. წინა ტურმა **უჰრინის** გუნდი ცხრილში გვარიანად დაწინაურდა, სატურნირო მდგომარეობის კიდევ უფრო გასამყარებლად კი, ცხადია, გამარჯვებაა საჭირო.

შეგახსენებთ, "ტორპედო" **კიკნაძე-ზამთარაძის** სამწვრთნელო ტანდემმა დატოვა, გუნდს **ჯემალ ხერხაძე** გაწვრთნის.

## ლოკომოტივი-ოლიმპი

17 მარტი. თბილისი. მ. მესხი. 15:00

პირველ წრეში: 0:1

### სავარაუდო შემადგენლობები

ლოკომოტივი: გვარამაძე, გულორდავა, გუშარაშვილი, გ. კვახაძე, თუთბერიძე, დ. ფოფხაძე, სამხარაძე, კუპრეიშვილი, ყენია, ჩომახიძე, გოჩაშვილი

დისკვალიფიკაცია: მალიჩავა

ოლიმპი: მერლანი, გ. ონიანი, მახვილაძე, ჭიჭვეიშვილი, ნავალოვსკი, სეთურიძე, ქებაძე, აფციაური, გენაძე, დვალიშვილი, რ. გოცირიძე

არბიტრი: პ. დოგრაშვილი

ასისტენტები: მიქელაძე, კაკაბაძე

გასულ ტურში ომგადახდილ "ოლიმპს" შედარებით იოლი ამოცანის გადაჭრა მოუწევს. რასაკვირველია, ერთპიროვნულ ლიდერებს მშვენივრად ესმით, რომ ზედმეტი თვითდაჯერება არ არგებთ, მაგრამ ამ მატჩში სენსაცია, ცოტა არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია. თუმცა, მოვლენებს წინ მაინც არ უნდა გავუსწროთ, მეორე წრის საწყისმა ტურებმა ხომ არაერთი მოულოდნელი შედეგით გაგვაოცა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პირველ წრეში "ლოკომოტივი" რუსთავში მხოლოდ მინიმალური სხვაობით დამარცხდა.

## სიონი-ბათუმი

17 მარტი. ბოლნისი. თ. სტეფანია. 15:00

პირველ წრეში: 2:1

### სავარაუდო შემადგენლობები

სიონი: ბობლიაშვილი, ექონია, ბოიომო, ორბელაძე, კობაური, სილაგაძე, კორლალიძე, სანიკიძე, ბაბუნაშვილი, დარასელია, ჩასემი

ბათუმი: სომხიშვილი, ცანავა, გალოგრე, ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, ბეჟანიძე, ნერგაძე, კუნჭულია, შალამბერიძე, დარჩიძე, ვ. კვარაცხელია

დისკვალიფიკაცია: თედორაძე

არბიტრი: ხეცაძე

ასისტენტები: ჩიგოგიძე, ბერაძე

იმის მიუხედავად, რომ სიონელებს გრიპის ეპიდემიამ დარია ხელი, მოქმედმა ჩემპიონმა გორში "ჩიხურას" მაინც სძლია. დღეს კი ბოლნისელთა შემადგენლობაში, წესით, ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა უნდა ითამაშოს, რაც მათ ფავორიტობას კიდევ უფრო განამტკიცებს. თავის მხრივ, ბათუმელებს ზურგს ბოლო მატჩების სტატისტიკა უმაგრებთ. **გოგიტიძის** გუნდს თვალსაჩინო პროგრესი აქვს, ასე რომ, სულაც არ იქნება გასაკვირი, "ამერთან" სტუმრად მიღწეული ფრისა და თასის ნახევარფინალის შემდეგ, "ბათუმის" აქტივში ბოლნისური წარმატებაც თუ შევა.

## ამერი-დილა

17 მარტი. თბილისი. ამერი. 15:00

პირველ წრეში: 4:1

### სავარაუდო შემადგენლობები

ამერი: ქვაჩახია, კაკაშვილი, დავითნიძე, ხვადაგიანი, ელბაქიძე, დოლიძე, ბოლქვაძე, გაბისკირია, მჭედლიშვილი, ს. დავითაშვილი, ტატანაშვილი

დისკვალიფიკაცია: დიდავა, დობროვოლსკი, მესხი, წინამძღვრიშვილი

დილა: თევდორაძე, ბალაშვილი, ბალიაშვილი, ლომაშვილი, ყველაშვილი, ტლაშაძე, ბურნაძე, კ. ხანიშვილი, ნ. ნოზაძე, სულთანიშვილი, გონჩაროვი

დისკვალიფიკაცია: დ. ხანიშვილი, კობახიძე

არბიტრი: ხარიტონაშვილი

ასისტენტები: ჯვარიძე, სპიცინი

ორი კვირის წინათ, "ამერმა" "ბათუმს" ოთხი დისკვალიფიცირებულის გარეშე უმასპინძლა, რაც ქულების დაკარგვად დაუჯდა. გლდანელებს ამავე მიზეზით დღესაც ოთხი ფეხბურთელი არ ეყოლებათ, რასაც ტრავმირებულები, **ჯელაძე** და **დეკანოსიძე** დაუმატეთ. მასპინძელთა თავკაცს იძულებითი ექსპერიმენტების ჩატარება მოუწევს. მართალია, თასის მფლობელებს "დილას" ძლევის დიდი შანსი განახევრებული შემადგენლობითაც აქვთ, მაგრამ ვფიქრობთ, იოლი გასეირნება არ უნდა ელოდეთ. გორელებს, როგორც ყოველთვის, დასაკარგი არც ამჯერად აქვთ რამე.

## მერანი-ბორჯომი

17 მარტი. თბილისი. შევარდენი. 15:00

პირველ წრეში: 4:3

### სავარაუდო შემადგენლობები

მერანი: სეფიაშვილი, ჯანგიძე, ოსიტაშვილი, ლ. გრიგალაშვილი, კობერიძე, ჩივაძე, ფურცელაძე, ბესარაშვილი, ა. ნოზაძე, მოდებაძე, ქემაშვილი

დისკვალიფიკაცია: კედელაშვილი, თურქია, აფშილავა

ბორჯომი: კოდალაევი, ქარქუზაშვილი, ნადირაშვილი, ლ. მერებაშვილი, თ. ლონლაძე, ავალიანი, შ. გრიგალაშვილი, კოშკაძე, შ. ჯიქია, კაიდარაშვილი, კაკალაძე

არბიტრი: სანაია

ასისტენტები: ელიკაშვილი, ი. ურუშაძე

დისკვალიფიკაციის გამო, "მერანს" სამი მცველი ვერ დაეხმარება, რაც დაგვეთანხმებით, მნიშვნელოვანი დანაკლისია. სამაგიეროდ, "ბორჯომს" ყველა წამყვანი ფიგურა მწყობრში ჰყავს, ეს მისი გამარჯვების შანსს ერთიორად ზრდის. თუმცა, ზემოთ ნახსენები ფაქტორების მიუხედავად, ძალთა სხვაობა დაახლოებით თანაბარია, ამ წყვილში დაფიქსირებული არც ერთი შედეგი გასაკვირი არ უნდა იყოს.

აქვე გეტყვით, რომ "მერანის" სტადიონის მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, შესაძლოა, ეს ამ გუნდის ბოლო საშინაო მატჩი იყოს "შევარდენზე".

## კახეთი-ჩიხურა

17 მარტი. თელავი. გ. ჩოხელი. 15:00

პირველ წრეში: 1:3

### სავარაუდო შემადგენლობები

კახეთი: გ. იაშვილი, კობაიძე, კუპრაშვილი, ჩუთლაშვილი, კვირკველია, მურველაშვილი, სიხარულიძე, გერგიშვილი, ბურნაძე, ნ. დავითაშვილი, ტეტიაშვილი

ჩიხურა: სტურუა, გიგაური, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ი. ზაბახიძე, ქუცურუა, თავბერიძე, ბარამიძე, ბუცხრიკიძე, გ. მიქაძე, დვალი

დისკვალიფიკაცია: მახარაძე

არბიტრი: მაისურაძე

ასისტენტები: გუნთაძე, მოლოდინაშვილი

შეხვედრა ორივე გუნდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. კიდევ ერთი წარუმატებლობა და "კახეთი" უკვე თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ პირველ ლიგაში გავარდნილად. "ჩიხურას" მთავარი მიზანი კი უმაღლესში დასარჩენი ფლეი ოფის თავიდან აცილებაა. საჩხერელები კონკურენტებს უკვე გვარიანად ჩამორჩებიან. **ქასრაშვილსა** და მის შეგირდებს სამი ქულა უცილობლად ესაჭიროებათ, სხვაგვარად, ამ სხვაობის გაქვითვის შანსს საგრძნობლად შეიმცირებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა



პრესკონფერენციაზე — ნუგზარ სუარიძის ფოტო

პრესკონფერენცია

# 200 ქართველი გლაზგოში

**გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში მორიგი პრესკონფერენცია გაიმართა – მასმედიას შეხვდნენ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და GFF TRAVEL-ის ხელმძღვანელი სოფო თავართქილაძე.**

*"GFF TRAVEL-ი ახალი გახსნილია. ეს ოფიციალური ტურისტული სააგენტოა, რომელიც ყველას მოემსახურება. ჩვენ ერთი გუნდი ვართ – ჩვენი დევიზი მხოლოდ ნაკრები გუნდების ქომაგობაში არ გამოიხატება. 21 მარტს GFF TRAVEL-ი პირველად წაიყვანს გულშემატკივრებს გასვლით მატჩზე და იმედია, ჩვენი სააგენტოს ეს "ნათლობა" იღბლიანი იქნება ეროვნული გუნდისთვის. მადლობა იმ ქომაგებს, რომლებიც გლაზგოში GFF TRAVEL-ის დახმარებით მიემგზავრებიან, რათა ჩვენს საყვარელ გუნდს უქომაგონ. ასევე მადლობა ბრიტანეთის საელჩოს, მათ ყველაფერი გააკეთეს სავიზო და საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად"*, - განაცხადა ნოდარ ახალკაცმა.

ამის შემდეგ **სოფო თავართქილაძემ** ისაუბრა:

*- 21 მარტს, დაახლოებით 80 გულშემატკივარს, თბილისი-ლონდონი- გლაზგოს მიმართულებით გავამგზავრებთ. უკან კი 25 მარტს დავბრუნდებით. უამრავი მსურველი იყო, არაერთი განაცხადი მივიღეთ, მაგრამ ყველა ვერ დავაკმაყოფილეთ და მათ ბოდიშს ვუხდით. თუმცა წინაა ლიტვაში, საფრანგეთსა და იტალიაში ჩვენი ნაკრების გასვლითი მატჩები და მათ მომავალში მოვემსახურებით.*

*ქომაგები, რომლებიც GFF TRAVEL-ის მეშვეობით მოხვდებიან 24 მარტის მატჩზე, ეროვნული ნაკრების სიმბოლოკით დამშვენებულ კეპებს, შარფებსა და დროშებს მიიღებენ.*

ბოლოს **ნოდარ ახალკაცმა** ჟურნალისტთა კითხვებს უპასუხა:

**- გლაზგოში რამდენად იქნება დაცული ქართველი გულშემატკივრების უსაფრთხოება?**

- ამ მატჩის ყველა ბილეთი გაყიდულია და, ბუნებრივია, "ჰემპდენ პარკზე" ანშლაგი იქნება. რაც შეეხება კითხვას, მას მერე რაც ბრიტანელებს არაერთი უსიამოვნება შეექმნათ, ეს სფერო დიდად გამოასწორეს და ახლა მისაბაძები არიან. სხვათა შორის, უსაფრთხოების მხრივ, ბრიტანულ მოდელს უეფაც გამოარჩევს. გლაზგოურ მატჩში ჩვენი გულშემატკივრები ცალკე სექტორში განთავსდებიან.

**- ბრიტანეთსა და დასავლეთ ევროპაში ბევრი ქართველი ცხოვრობს. თუ ფლობთ ინფორმაციას სულ რამდენი ქართველი დაესწრება 24 მარტის მატჩს?**

- დიახ, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს 24 მარტის ბილეთების შეძენაში დავეხმარეთ. თუმცა ამ მხრივაც შეზღუდულები ვიყავით. მაქსიმალურად გავეცით ის ბილეთები, რომლებიც შოტლანდიურმა მხარემ გამოგვიყო. თუმცა ვფლობთ ინფორმაციას, რომ დასავლეთში მცხოვრებმა ქართველებმა თავიანთი გზებით შეიძინეს ჩვენი ნაკრების მატჩის ბილეთები. ვფიქრობ, 200-მდე ქართველი მაინც უქომაგებს ჩვენს ნაკრებს "ჰემპდენ პარკზე.

**აქვე გაცნობებთ, რომ კახა კალაძის თამაში საბოლოოდ გამოირიცხა. მას ჯანმრთელობის მდგომარეობა ხელს არ უწყობს.**

ჩვენი ნაკრები სამშაბათს, 20 მარტს გლაზგოში შეიკრიბება. ნაკრების მომსახურე პერსონალი 20 მარტს, დილით გაემგზავრება შოტლანდიაში. **კლაუს ტოპმიოლერი** და **რალფ მინგე** კი სულაც 19-ში ჩავლენ, სავარჯიშო და საცხოვრებელი პირობების გასაცნობად. ნაკრები 20-ში, 18 საათზე ივარჯიშებს, მომდევნო დღეებში კი - 15 საათზე, ჩვენი ეროვნული გუნდი 23 მარტს, 15 საათზე უკვე "ჰემპდენ პარკზე" ჩაატარებს წვრთნას.

1982 წელს, მსოფლიო ჩემპიონატზე შოტლანდიასთან მატჩში (2:2) საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოასპარეზე ქართველებმა ორი გოლი გაიტანეს. იმედი მაქვს, 24 მარტს ჩვენთვის სასურველი შედეგი დაფიქსირდება – ოპტიმისტურ ნოტაზე დაასრულა პრესკონფერენცია ნოდარ ახალკაცმა.

**დავით ცაბაძე**

21-წლამდელთა ნაკრები

# ტრაბზონთან ითამაშებენ

იმ დროს როცა ეროვნული გუნდი შოტლანდიაში იქნება, 19-წლამდელები კი - გერმანიაში, 21-წლამდელთა ნაკრები თურქეთში გაივლის შეკრებას. თურქეთში ჩვენი ჭაბუკები ერთი კვირა დარჩებიან. მზადების ფარგლებში პეტარ სეგრტის გუნდი თურქეთში ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. პირველი შეხვედრის დეტალები ჯერჯერობით უცნობია, მეორე მატჩში კი საქართველოს ნაკრები 26 მარტს, "ტრაბზონსფორის" ძირითადი და სარეზერვო ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდთან მოსინჯავს ძალებს. სეგრტმა უკვე შეადგინა ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა სია:

მეკარეები: როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გიორგი ლორია (დინამო), ირაკლი დგებუაძე (ოლიმპი).

მცველები: გურამ კაშია (დინამო), გიორგი ნავალოვსკი, ლერი ხოხონიშვილი ( ორივე ოლიმპი), აკაკი ხუბუტია (კაუნასი, ლიტვა), გიორგი ფოფხაძე (ვიბორგი, დანია), გიორგი ელბაქიძე (ამერი).

ნახევარმცველები: ვახტანგ ხორგუაშვილი (შერიფი, მოლდოვა), ალექსანდრე კობახიძე, გიორგი მერებაშვილი, ირაკლი ჩირიკაშვილი (ყველა დინამო), შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი), ბექა ჟღენტი (ტორპედო, მ. რუსეთი), მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), კახა მახარაძე (ჩიხურა).

თავდამსხმელები: გიორგი ჭელიძე (ზარია, უკრაინა), ლადო დვალიშვილი, გიორგი კახელიშვილი (ორივე ოლიმპი), ვახტანგ ფანცხავა (გაგრა), ბესიკ ჩიმაკაძე (ამერი).

**დავით ცაბაძე**



პეტარ სეგრტი



ჰაინც ტოპმიოლერი

19-წლამდელთა ნაკრები

# ახალი სახეები ჰაინცის სიაში

## გერმანიაში განუგრავა და ბლაგიძეც

ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში გასული საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები, ზეგ ევროპულ (გერმანია-ლუქსემბურგი) შეკრებაზე გაემგზავრება. ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, **ჰაინც ტოპმიოლერის** გუნდი 19 მარტს, კობლენცში, გერმანიის ნაკრების ბაზაზე დაბინავდება და შეკრებას დაიწყებს. ამ მზადების ფარგლებში ჩვენი ჭაბუკები ორი დღის შემდეგ, 21 მარტს გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავენ. 22 მარტიდან გუნდი ბიტბურგში გადაინაცვლებს და იქ გააგრძელებს მზადებას. 25 მარტს ნაკრები ლუქსემბურგის ქალაქ როსსპორტში, ადგილობრივ უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე "ვიქტორიას" დაუპირისპირდება. შეკრების დასკვნით ამხანაგურ მატჩს კი ჩვენი ჭაბუკები 28 მარტს, ეშ-ალზეტში ლუქსემბურგის 19-წლამდელთა ნაკრებთან ჩაატარებენ.

მოსამზადებელი შეკრებისთვის ჰაინც ტოპმიოლერმა ნაკრებში შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა:

მეკარეები: რევაზ თევდორაძე (დილა), გიორგი მაკარიძე (დინამო).

მცველები: დავით მჭედლიშვილი, ზურაბ გვაძაბია (ორივე ამერი), გულვერდ თომაშვილი (დინამო), ამირან სანაია, გიორგი ხიდეშელი (ორივე ზესტაფონი), ლაშა თოთაძე (გაგრა).

ნახევარმცველები: ალექსი ბენაშვილი, გიორგი განუგრავა, ნიკო კვასხვაძე (ყველა ზესტაფონი), მირზა ბჟალავა (ლუსტენაუ, ავსტრია), გიორგი ნიკოლაიშვილი (ამერი), დავით თარგამაძე (ფრაიბურგი, გერმანია), ლევან ყენია (ლოკომოტივი).

თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), ლევან ბლაგიძე (გიმარაეში, პორტუგალია)

გარკვეული პაუზის შემდეგ, ნაკრებში "ზესტაფონის" ნახევარმცველი **გიორგი განუგრავა** დაბრუნდა. ჰაინც ტოპმიოლერმა სიტყვა შეასრულა და პორტუგალიური ტურნირისას პირველად ნანახი **ლევან ბლაგიძე**, ნაკრებში გამოიძახა. ახალგაზრდა ნახევარმცველი "გიმარაეშის" მეორე გუნდში თამაშობს.

ჩვენი ჭაბუკები სამშობლოში 29 მარტს დაბრუნდებიან, აპრილში კი კიდევ ერთ მოსამზადებელ შეკრებას ჩაატარებენ.

**დავით ცაბაძე**

17-წლამდელთა ნაკრები

# ოთხი თამაში რუსეთთან

რუსულ მხარესთან მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ საქართველოსა და რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრებები ერთმანეთში ოთხ ამხანაგურ მატჩს ითამაშებენ. პირველად ჩვენები ჩავლენ რუსეთში და ორ მატჩს ჩაატარებენ - ჰერბერტ ცანკერის გუნდი 27 და 29 ივლისს, მოსკოვის მახლობლად ითამაშებს. საპასუხო ვიზიტით რუსები ნოემბერში გვეწვევიან. რუს 17-წლამდელთა თბილისური მატჩები 4 და 8 ნოემბერსაა დაგეგმილი. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ამ მატჩებისთვის ცანკერის გუნდი ძირითადად იმ ფეხბურთელებით დაკომპლექტდება, რომლებიც გაისად, 2008 წელს ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ციკლში (1992 წელში დაბადებულები) ჩაერთვებიან. ამ შემოდგომაზე კი ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე, 1991 წელს დაბადებულები იასპარეზებენ. სხვათა შორის, ეს პირველი პრეცედენტია საქართველოში, როცა, ფაქტობრივად, წლინახევრით ადრე იწყება მუშაობა ახალი გუნდის მომზადებაზე.

**დავით ცაბაძე**

# მადლიერი პლატინი

**საქართველოში ორდღიან სტუმრობას ისე მოუხიბლავს უეფას ახალი პრეზიდენტი მიშელ პლატინი, რომ შვეიცარიაში ჩასულს სამადლობელო წერილი გამოუგზავნია. სტუმარ-მასპინძლობა ხომ მოგვეწონა, პრემიერსა და სპორტის მინისტრსაც შემოუთვალა მადლობა, ფეხბურთის ფედერაციის მშენებარე ტექნიკური ცენტრიც მოგვეწონა, ქართულ სამზარეულო კი ცალკე აღნიშნა.**

**როგორც ხედავთ, მიშელ პლატინის კომპლიმენტები არ დაუშურებია. იმედია, მისი ეს განწყობა საქართველოსა და ქართული პროექტებისადმი მხარდაჭერაშიც არაერთხელ გამომჟღავნდება.**








17.03.07 - მე-17 ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| მერანი-ბორჯომი | ამერი-დილა |
| ლოკომოტივი -ოლიმპი | გაგრა-მესხეთი |
| ზესტაფონი -ვიტ ჯორჯია | დინამო2-ამერი2 |
| კახეთი -ჩიხურა | ფრაიბურგი- კაიზერსლაუტერნი |
| სიონი -ბათუმი | აუე-კიკერსი |
| ტორპედო -დინამო | |

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

უცხოურ პრესაში. ინტერვიუ კახა კალაძესთან

# მოსკოვში ქართველებს ქუჩაში გასვლის ეშინოდათ

## კახას რესტორანში წინანდალი და საფერავი შეაქვს

არ ვიცით, რას მივაწეროთ, მაგრამ რუსული "სპორტ-ექსპრესი" ბოლო პერიოდში ძალიან ხშირად სტუმრობს კახა კალაძეს. ახლაც გაზეთის ჟურნალისტმა საქართველოს ნაკრების კაპიტანს ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. იგი ჩვენს მკითხველში უდავოდ დიდ ინტერესს გამოიწვევს, რადგან კახას ლამის ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაზეც დაეკითხნენ.

"მომავალ სეზონში საქართველოს ნაკრების კაპიტანმა პოსტსაბჭოელების რეკორდი უნდა გააუმჯობესოს, რომლის გადასწრებასაც დიდი ხანი ვერავინ ახერხებს. საქმე ისაა, რომ კალაძე უკვე მე-7 სეზონია, ერთ და იმავე კლუბში, თანაც მსოფლიო გრანდში თამაშობს. ასეთი მაჩვენებელი შარშან მხოლოდ მის ყოფილ თანაგუნდელ ანდრეი შევჩენკოს ჰქონდა, რომლის "ჩელსიში" გადასვლის შემდეგაც კალაძე პირველი მოთამაშეა მე-8 სეზონის დაწყება რომ შეუძლია "მილანში" - ეს დიდი სიამოვნებაა. თუკი გავითვალისწინებთ, რომ კალაძეს კონტრაქტი კლუბთან კიდევ სამი სეზონით აკავშირებს, შესაძლოა ქართველმა ხელშეუხებელი რეკორდიც დაამყაროს, - ამგვარად იწყებს "სპორტ-ექსპრესი"...

**- მართალია, რომ თავის დროზე, "ჩელსის" მსგავსად, "იუვენტუსში" გადასვლის შანსიც გქონდათ?**

- დიახ, იყო ასეთი შესაძლებლობა. საბედნიეროდ, ახლა მივხვდი, რომ კარგიც იყო, მოლაპარაკება რომ ჩაიშალა. ჩემი მდგომარეობა "მილანში" აშკარად შეიცვალა. როდესაც კლუბში 7 წელი თამაშობ, პარტნიორები, ხელმძღვანელები და გულშემატკივრები განსაკუთრებული სიყვარულით გექცევიან. თანაც, მილანის" მსგავს დიდ კლუბში ხანდახან კაპიტნის სამკლაურის მორგება დიდი ბედნიერებაა.

**- თანაც ეს "მილანის" ცოცხალი ლეგენდის, პაოლო მალდინის დროს ხდება.**

- ასე იყო ხუთ მატჩში. "მილანში" კაპიტანი ის არის, ვისაც ყველაზე მეტი თამაში აქვს ჩატარებული.

**- თეორიულად შესაძლებელია თქვენი "ინტერში" გადასვლა?**

- არ ვიცი, "ინტერმა" ისეთი რა უნდა გააკეთოს, "მილანში" თამაში რომ აღარ მომინდეს. აქ ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა - ჩემპიონთა ლიგა, ევროპის სუპერთასი, სკუდეტო. გუნდშიც კარგად ვგრძნობ თავს და ხელფასიც მშვენიერი მაქვს.

**- თქვენი აზრით, კლაუს ტოპმიოლერის ხელში საქართველოს ნაკრებს დიდი ხნის ნანატრი ნახტომის გაკეთება შეუძლია?**

- ტოპმიოლერი კარგი სპეციალისტია და გუნდში ტაქტიკა და დისციპლინა გააძლიერა. ქართველებისთვის ტაქტიკა ყოველთვის აქილევსის ქუსლი იყო. ჩვენ მწვრთნელის კი არა, ფეხბურთელების პრობლემა გვაქვს. საბჭოეთის დაშლის შემდეგ საქართველოში დიდხანს არ არსებობდა ბავშთა ფეხბურთი, ისევე, როგორც რუსეთში. ეს იყო საშინელება. დამეთანხმებით, რომ მსოფლიო დონის ფეხბურთელი ჩვენ 90-იან წლებში არ გვყოლია. ვინც იყო, ისიც საბჭოეთის დროსაა გაზრდილი. ახლა ყველაფერი კალაპოტში დგება, მაგრამ დროა საჭირო.

**- ამბობენ, თითქოს თბილისში საკუთარი სკოლის გახსნას აპირებთ.**

- დიახ. ამ საკითხზე ვმუშაობ. ეს იქნება თანამედროვე, ოთხმოედნიანი სკოლა საკუთარი აუზითა და კორტებით. ვოცნებობ, რომ ამ სკოლაში დიდი ფეხბურთელები გავზარდო.

**- ძნელი წარმოსადგენია, რომ 29 წლის კალაძე "მილანის" დაცვაში ყველაზე ახალგაზრდაა. კოსტაკურტა 41 წლის გახდა, მალე მალდინი 39-ის შეუსრულდება. ნესტა, შიმიჩი და იანკულოვსკიც თქვენზე უფროსები არიან.**

- თანამედროვე ფეხბურთში ისეთი აღდგენითი მეთოდებია, საპასპორტო მონაცემებს მნიშვნელობა არა აქვს. კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი წვრილმანებამდე მოფიქრებული სამწვრთნელო პროცესია. დარწმუნებული ვარ, მალდინი უკრაინაში ან რუსეთში რომ ყოფილიყო, ამ ასაკამდე თამაშს ველარ შესძლებდა. მალდინი დღემდე რომ თამაშობს, სწორი ვარჯიშების შედეგია. საერთოდ, მილანში არავინ გეტყვის - შენ ბებერი ხარ და აღარ გვჭირდები. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ფეხბურთელებმა ვიცით, რომ ჩვენ ქუჩაში არავინ გაგვაგდებს.

**- რუსეთში პირიქით, ცდილობენ, ვეტერანებისგან განთავისუფლებას.**

- დროა, რუსებმა ახლებურად დაიწყონ აზროვნება. ცხოვრება და ფეხბურთი ვითარდება და მოძველებული სტერეოტიპებით აზროვნება არ შეიძლება.

**- თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ ოდესმე გადახვალთ რუსულ კლუბში?**

- ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ "მილანთან" დიდხნიანი კონტრაქტი მაქვს და თანაც არასდროს მიფიქრია რუსულ კლუბში თამაშზე.

**- რუსეთის ჩემპიონატს უყურებთ?**

- ჩემი სატელიტური ანტენა რუსულ არხებს ვერ იჭერს.

**- რუსეთის პრემიერლიგაში დიდი ხელფასები რომ ნორმად იქცა, იცით?**

- ეს არაა საკმარისი. მთავარია, ისეთი ფეხბურთელები ჩაიყვანოთ, ვინც ამხელა თანხას იმსახურებს.

**- რუსეთში მოთამაშე რომელიმე ფეხბურთელს თუ ეკონტაქტებით?**

- დიახ. მალხაზ ასათიანს. ის ძალიან ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ვთვლი, რომ უფრო ძლიერი ლიგის კლუბში უნდა ითამაშოს.

**- ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ "მილანი" აკინფეევის ყიდვას შესაძლებლობას განიხილავს. თქვენ რისი თქმა შეგიძლიათ ამაზე?**

- უკაცრავად ვისი ყიდვის?

**- იგორ აკინფეევის. ნუთუ არ გსმენიათ მის შესახებ?**

- არ მინდა გამინაწყენდეს აკინფეევი, მაგრამ მის შესახებ მართლა არაფერი ვიცი. რუსეთის ჩემპიონატზე იტალიაში არაფერს ამბობენ, არავინ არ აშუქებს იქ მიმდინარე მოვლენებს. ერთადერთი რაც გავიგე რუსეთზე ის იყო, რომ მარკო ამელია აპირებდა "ლივორნოდან" "სპარტაკში" გადასვლას.

**- რუსეთ-საქართველოს დაძაბული ურთიერთობით რომელიმე თქვენი ახლობელი დაზარალდა?**

- არავინ, მაგრამ მოსკოვში ქართველებს ქუჩაში გასვლის ეშინოდათ. მუდმივად აჩერებდნენ მილიციონერები და წვრილმანებამდე ამოწმებდნენ.

**- კიევთან ურთიერთობას არ წყვეტთ როგორც ჩანს...**

- ყოველი შვებულების დროს დაახლოებით ერთ კვირას იქ ვატარებ. კიევში მეგობრები მყავს, თანაც პატარა ბიზნესიც მაქვს.

**- ლობანოვსკის საფლავზეც გადიხართ ხოლმე?**

- ყოველთვის, როცა კი კიევში ვხვდები. თუკი კახა კალაძე დღეს რამეს წარმოადგენს, ეს მისი დამსახურებაა.

**- რა იყო მთავარი, რაც მან მოგცათ?**

- ფეხბურთელი იზრდება მაშინ, თუკი ის სწორად ვარჯიშობს. ის სავარჯიშო პროცესს სწორად წარმართავდა. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მაგრამ მერე შევეჩვიე. მილანში რომ ჩამოვედი, აქაური დატვირთვა სასაცილოდ მეჩვენა.

**- მართალია, რომ "მილანის" ყოფილმა მწვრთნელმა ძაკერონიმ თქვენზე თქვა - ასეთი დამუშავებული კუნთები არცერთ ფეხბურთელზე არ მინახავსო?**



- დიახ, იყო ასეთი.

**- იტალიის მოქალაქეობას ხომ არ უმიზნებთ?**

- ახლახანს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით ორმაგი მოქალაქეობა ნებადართულია და რატომაც არა?

**- თქვენი ძმის მკვლელების სასამართლოს თუ დაესწარით?**

- არა, ძალიან მიჭირს ამის გაკეთება. ხუთი წელი მისი გამოხსნის იმედი მქონდა. აღარ მინდა დეტალების გაგრძელება.

**- შურისძიების სურვილი არ გაქვთ?**

- ისინი ისეთ ადგილზე არიან, სადაც ჩემს გარეშეც გაუსწორდებიან.

**- მოედანს როდის დაუბრუნდებით?**

- "ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგაში პირველი მეოთხედფინალური მატჩის წინ.

**- თქვენს რესტორანში მხოლოდ მილანელი თანაგუნდელები დადიან?**

- არა, რატომ. "ინტერის" ხალხიც მოდის. ცნობილი სახეები - ბერლუსკონი, გალიანი.

**- მართალია, რომ ანჩელოტიმ ვეტმფრენი იყიდა და ბაზიდან სახლში ასე მიემგზავრება?**

- ანჩელოტიმ ეს უფლება მიიღო და ზოგჯერ მართლა ასე იქცევა. სხვათა შორის, მილანელოს ბაზაზე ბერლუსკონიც საკუთარი ვეტმფრენით სტუმრობს.

**- თქვენს რესტორანში ქართული ღვინის შეტანა არ გიცდიათ?**

- "წინანდალს" და "საფერავის" მენიუში მალე შევიტანთ.

**- როგორ, იტალიაში მისი გაყიდვა აკრძალული არ არის?**

- მადლობა ღმერთს, არა.

**- სამშობლოში როგორ გეპყრობიან?**

- საქართველოში ხალხს ვუყვარყარ არა მარტო როგორც ფეხბურთელი, არამედ, როგორც ადამიანი. ეს გაცილებით მეტად ფასობს.

**- ჟურნალისტებთან არ გექმნებათ პრობლემები?**

- მათთან არც საქართველოში, არც უკრაინაში და არც იტალიაში არ მქონია პრობლემები.

**- ნუთუ არავინ არაფერს წერს უსიამოვნოს, როცა სათადარიგოთა სკამზე ხვდებით?**

- მე ხომ მილანში ვთამაშობ და არა რომელიმე სოფლის გუნდში. აქ უდიდესი კონკურენციაა. თუმცა სათადარიგოთა შორის დიდხანს ჯდომას ვერ ვეგუები. ერთხელ ამის გამო კინალამ "ჩელსიში" აღმოვჩნდი. ძალიან ვნერვიულობდი, მთელი საქართველო მიცნობს, ერის სიამაყე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვარ. ყველგან პირველი უნდა ვიყო. ეს არასდროს მავიწყდება და მეამაყება ქართული ფეხბურთი ლეგენდარულ "მილანში" რომაა წარმოდგენილი.

მოამზადა
**დავით მეფარიშვილმა**

## აშვეთია და ლომაია არ დააფასეს

გუშინ, მეორე ბუნდესლიგის 26-ე ტურის სამი მატჩი გაიმართა, რომელთაგან ჩვენში ყველაზე მეტ ინტერესს, "კობლენცთან" "კარლ ცაისის" საგარეო მატჩი იწვევდა. გათამაშების ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ფრეს (0:0) მიაღწია და გასავარდნ ზონას ერთი ქულით დაშორდა (თუმცა ამ ტურში ჯერ სხვა კონკურენტებს არ უთამაშიათ). მიუხედავად იმისა, რომ **გიორგი ლომაიას** გოლი არ გაუშვია, "შპორტალისგან" შეფასებად მხოლოდ 4 ბალი მიიღო. გერმანულმა გამოცემამ არ დაინდო **მიხეილ აშვეთიაც**, რომელსაც თანაგუნდელებს შორის ყველაზე ცუდი შეფასება (5) დაუწერა. ქართველი ფორვარდი 54-ე წუთზე **სიკორამ** შეცვალა. **მათე ღვინიანიძის** გარეშე დარჩენილი "მიუნხენი" შინ 0:3 განადგურდა "აუგსბურგთან". "ლომებს" 35 ქულით მეცხრე ადგილი უკავიათ.

## ჩხეტიანმა დაიწყო, ბჟალავამ ჯერ არა

ზამთრის პაუზის შემდეგ განახლდა ავსტრიის მეორე ბუნდესლიგა, სადაც ორი ექსზესტაფონელი ითამაშებს: **გივი ჩხეტიანი** ("შპარკასე ჰარტბერგი") და **მირზა ბჟალავა** ("ავსტრია ლუშტენაუ"). გუშინ მხოლოდ ჩხეტიანმა ითამაშა, განსხვავებით საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ ბჟალავასგან, რომლის კლუბი სტუმრად "კერნტენთან" 1:2 დამარცხდა. "ავსტრია" 32 ქულით მე-6 ადგილზეა. ჩხეტიანის "ჰარტბერგმა" კი შინ უშუალო კონკურენტი "პარნდორფი" 1:0 დაამარცხა და ბოლო ადგილს თავი დააღწია. ჩხეტიანი სასტარტოში იყო, ის 67-ე წუთზე შეცვალეს. "ჰარტბერგს" მხოლოდ 18 ქულა აქვს და ჯერჯერობით, მე-11 საფეხურზეა მოკალათებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მწვანე სამყარო
GREEN WORLD

გამწვანება
ფილების დაგება
სარწყავი სისტემა
რკინის კონსტრუქციები
ქვის სამუშაოები
განათება
შადრევნები

ახალი ეპოქა
ჩვენთან ერთად

მისამართი: ალ. ყაზბეგის ქ. 10ა
ტელეფონები: 21-87-97; მობ. 8 (77) 71-87-97; 8 (77) 44-87-97

www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მხოლოდ გოგუა არ იცვლებაო

გაზეთი "სოვეტსკი სპორტი" რუსეთის ჩემპიონატის საინტერესო გაშუქებისთვის, ცნობილი ადამიანებს მიმართავს ხოლმე.

მეორე ტურის წინ მცირე მიმოხილვა ცნობილმა რუსმა კომენტატორმა **ვასილი უტკინმა** გააკეთა და "სატურნისა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი, **გოგიტა გოგუაზე** ცალკე ისაუბრა.

*"რა თქმა უნდა, "სატურნისა" და "ზენიტის" შეხვედრებმა ყურადღება მიიქცია. იშვიათი შემთხვევაა, როდესაც სეზონის დასაწყისში გუნდები ერთმანეთს სამჯერ ხვდებიან. "სატურნის" მოგება შარშანაც არ იყო იოლი, მაგრამ ახლა რამენსკოელები კიდევ უფრო გაძლიერდნენ... ვფიქრობ, კარიაკა ნაადრევად ჩამოწერეს "სპარტაკმა" და "ლოკომოტივმა". რაც შეეხება გოგუას წითელ ბარათს, ეს ისეთივე ჩვეული ამბავია, როგორც კარგი ნაცნობის გამარჯობა. ის არ იცვლება. სხვა მიზეზით და სხვა ფეხბურთელზე საბჭოთა ფეხბურთის კოლორიტულმა ფიგურამ, ხარკოვის "მეტალისტის" ყოფილმა მწვრთნელმა ევგენი ლემეშკომ თქვა - ამ მოთამაშის თავი ძაღლს რომ მიაბა, გაგიჟდებაო.*



გოგიტა გოგუა

*ზუსტად ასეთივე წითლებს იღებდა გოგუა "ხიმკისა" და საქართველოს ნაკრებში. ახლა იმავეს იმეორებს "სატურნშიც". იქნებ, ბოლოს და ბოლოს დაივიწყოს უხეშობა? აი ესაა მომავალი ოცდარვა ტურის კიდევ ერთი ინტრიგა. ყველას ოცდაცხრა თამაში აქვს ჩასატარებელი, გოგიტას ნაკლები."*

ისიც სათქმელია, რომ "სატურნი"-"ზენიტის" განმეორებითი სათასო შეხვედრის მიმოხილვაში ინტერნეტგაზეთ "რუსული ფეხბურთის" მიმომხილველი **მიხაილ კალინინი** წერდა, მოედანზე მხოლოდ ორი კაშკაშა ფიგურა ჩანდა - კარიაკა და გოგუა. ეს უკანასკნელი, საერთოდ, შეუდარებელი იყო. "ზენიტის" კარისკენ მთელი სიმწვავე სწორედ მისგან, მარჯვენა ფლანგიდან მოდიოდა. მარტო პირველი ტაიმის დასაწყისში ნემოვისთვის მიცემული პასი ერთ რამედ ღირდაო.

**დათო მეფარიშვილი**

ამხანაგური მატჩი

# დაუგავას პირველი მოვუგეთ

**დინამო-დაუგავა 3:1**

16.03. მ. მესხი. 200 მაყურებელი

0:1 ვოიცეხოვსკი (8), 1:1 ფირცხალავა (21. ჯამარაულის პასით), 2:1 მ. ჯიშკარიანი (55. ცაავას პასით), 3:1 კორღალიძე (67. პენალტით).

დინამო: გაბელია, შელია, ცხადაძე, ჩიქოვანი, ჯოხაძე, ფირცხალავა, ო. კორღალიძე, ცაავა, ლ. ნოდია, ჯამარაული, მ. ჯიშკარიანი.

დაუგავა: დვორინკინი, სოლონკო, ტრავნიკოვი, კარტაშოვი, ჩებანი, აზაროვი, ლიტვინიუკი, აინგორდი, დოლინსკი, უტკინი, ვოიცეხოვსკი. მეორე ტაიმში შევიდნენ: როშკოვი, პეტროვი, ოვნინიკოვი, მამიკინი, პოვალენკო, ნაზდარიანი.



ბურთით გოჩა ჯოხაძე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოში სტუმრად ჩამოსულმა რიგის "დაუგავას" ვეტერანთა გუნდმა გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. თბილისის "დინამოსთან" მატჩი ორი 40 წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა. სტუმართაგან განსხვავებით, ქართველებს სათადარიგოთა სკამზე არავინ ჰყავდათ. "დინამოს" მოთამაშე-მწვრთნელი **ვაჟა ჟვანია** გახლდათ, მაგრამ გუშინდელ შეხვედრაში მას არ უთამაშია.

მატჩი საშუალო ტემპში დაიწყო და ასევე ჩამთავრდა. თამაშის სტარტზე მეტოქეები თანაბრად გამოიყურებოდნენ, მაგრამ მასპინძლებს ერთი შეცდომა გოლის ფასად დაუჯდათ. **ვოიცეხოვსკიმ** შანსი ხელიდან არ გაუშვა - 0:1. ამის მერე მასპინძლები სრულად დაეუფლნენ მატჩის სადავეებს და წონასწორობის აღდგენაც მალევე შეძლეს – 21-ე წუთზე **გოჩა ჯამარაულის** ჩინებული პასი **გია ფირცხალავამ** დააფასა, 1:1. მეორე ტაიმიც ქართველთა კარნახით წარიმართა და ეს ანგარიშშიც სათანადოდ აისახა. 55-ე წუთზე **გრიგოლ ცაავას** პასით, **მიხეილ ჯიშკარიანმა** "დინამო" დააწინაურა. ათიოდე წუთში კი **ოთარ კორღალიძემ** პენალტით საბოლოო შედეგი დააფიქსირა. მატჩს სხვებთან ერთად **გიორგი სმირნოვიც** ადევნებდა თვალს, რომელიც საბჭოურ პერიოდში თამაშობდა და ერთ-ერთ უცხოურ ტურნეში თბილისის "დინამოს" შემადგენლობაშიც კი უთამაშია.

ლატვიელები საქართველოში კიდევ რამდენიმე დღით დარჩებიან. "დაუგავა" თბილისის "დინამოსთან" კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ეს შეხვედრა უკვე ბოლნისში, "თამაზ სტეფანიას" სახელობის სტადიონზე, კვირას, 18 მარტს, 15 საათზე გაიმართება.

**დავით ცაბაძე**



ჯაბა კანკავა

# კანკავას პერსპექტივა მოუწონეს

## კოკაია დნეპრის აქციონერობას უარყოფს

მართალია, უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრე სამი კვირის წინ განახლდა, მაგრამ დნეპროპეტროვსკის "დნეპრის" ხელმძღვანელებმა მხოლოდ ახლა წარუდგინეს ახალწვეულები საზოგადოებას.

საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე "დნეპრის" გენერალურმა დირექტორმა **ანდრეი სტოცენკომ** თითოეული მათგანი ცალ-ცალკე დაახასიათა. აი, რა ბრძანა გუნდის მმართველმა **ჯაბა კანკავაზე**:

*"ნახევარდაცვის ხაზში ქართველი ლეგიონერი ჯაბა კანკავა დავიმატეთ, რომელიც უკრაინის ჩემპიონატიდან ყველასათვის ცნობილი მოთამაშეა. ჯაბა საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეა. მისი მოსვლით, საყრდენი ნახევარმცველის პოზიცია გავაძლიერეთ. ჩვენ უკვე მისი ორი თამაში ვნახეთ, ძირითადში იყო და "ვორსკლასთან" საგოლე გადაცემა გააკეთა. ვფიქრობ, სამწვრთნელო შტაბი ამ შენაძენით კმაყოფილი უნდა იყოს. კანკავამ კონტრაქტი სამი წლით გააფორმა და ფეხბურთელის ასაკის გათვალისწინებით, მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ. ერთადერთი შენიშვნა უნდა მივცე - მან უნდა ისწავლოს თავის ხელში აყვანა. საწყენია, რომ "ვორსკლასთან" წითელი ბარათი მიიღო და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ახალგაზრდული ასაკის ბრალია."*

სხვათა შორის, ამ ტრანსფერზე "ზესტაფონის" პრეზიდენტმა **ილია კოკაიამ** საინტერესო ამბავი გაგვიმხილა.

*"დნეპროპეტროვსკელთა ხელმძღვანელობასთან ძალიან ახლო ურთიერთობა მაქვს. პირველი წრე რომ მთავრდებოდა, "დნეპრის" გენერალურმა დირექტორმა სტოცენკომ მითხრა, რომ ჯაბას აკვირდებოდნენ. გამეცინა და ვუთხარი, რა სჭირს ამ ბავშვს დასაკვირვებელი-მეთქი და მართლა გაუფორმეს კონტრაქტი."*

ილია კოკაიას გავრცელებულ ხმებში გარკვევაც ვთხოვეთ, თითქოს "ზესტაფონის" პრეზიდენტი "დნეპრის" ერთ-ერთი აქციონერია.

*"მე? "დნეპრის" აქციონერი?! ვინ გითხრათ, არ დაიჯეროთ. უკრაინელებთან ძალიან თბილი და ახლო ურთიერთობა მაქვს, გენერალური დირექტორი ჩემი ახლო მეგობარია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს კლუბის აქციონერი ვარ."*

ბატონი ილიას თქმით, "დნეპრთან" ამხანაგური შეხვედრა ზესტაფონში მაინც გაიმართება. სავარაუდოდ, ეს თამაში მაისის მიწურულს ჩატარდება, როდესაც საქართველოში სეზონი დასრულდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# ხიზანიშვილი კმაყოფილია

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო მატჩებში **ზურაბ ხიზანიშვილი** იშვიათად ხვდება "ბლექბერნ როვერსის" სასტარტო შემადგენლობაში , ქართველი ინგლისურ კლუბში ყოფნით კმაყოფილია. ქართველმა მცველმა ESPN-ს განუცხადა, რომ დღეს "ვესტ ჰემთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაში მოხვედრას იმედოვნებს. "ბლექბერნის" ცენტრალური მცველი და კაპიტანი **რაიან ნელსენი** ტრავმირებულია და მისი თამაში საეჭვოა: *"ვესტ ჰემი" ცუდ მდგომარეობაშია, შაბათს თუ წააგებენ ჩვენთან, ალბათ, აღარაფერი უშველით. მაგრამ მატჩი ჩვენთვისაც ძალზე მნიშვნელოვანია, "ბლექბერნი" ხომ ევროთასისთვის იბრძვის. ასე რომ, ქულები ჩვენც ძალიან გვჭირდება. ბოლო დროს კლუბი ძალიან კარგ ფორმაშია. საკუთარი ბედითაც კმაყოფილი ვარ, წლევანდელ სეზონში პირველად მოხდა, რომ ინგლისში ვარ როგორც კლუბის წევრი და არა განათხოვრებული ფეხბურთელი და უკვე ინგლისის თასის მოგების შანსი მაქვს. ძალიან ცუდი სტარტი გვქონდა, მაგრამ შემდეგ ბევრი ვიშრომეთ და სწორ გზაზე დავდექით"*, - განაცხადა ხიზანიშვილმა.

იქვე ის თავის ყოფილ თანაგუნდელს, **ლუკას ნილს** შეეხო და არჩევანი დაუწუნა: *"ვესტ ჰემის" რიგებში თამაშობს ლუკას ნილი, რომელიც ზამთარში "ბლექბერნიდან" გადავიდა ლონდონურ კლუბში. ლუკასს ორი არჩევანი ჰქონდა, "ლივერპული" ან "ვესტ ჰემი". რატომ აირჩია მეორე ვერ გეტყვით, რადგან ამ კლუბების შედარებაც არ შეიძლება, იმდენად სჯობს "ლივერპული" "ვესტ ჰემს". ნილი ძალიან კარგი ფეხბურთელია და ამიტომაც არის ახალი კლუბის კაპიტანი".*

# ორი ქართველი ტექსტილშჩიკში

რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბ "ტექსტილშჩიკ-ტელეკომში" სინჯებზე ორი ქართველია. მათგან ერთი ფორვარდი **ვასილ ლუჭაშვილი** პირველ წრეში "ვიტ ჯორჯიის" ღირსებას იცავდა, **რამაზ ჯაბნიძის** შესახებ კი ვერაფერს გეტყვით. რუსული წყაროები წერენ, რომ ისიც საქართველოდანაა ჩასული სინჯებზე. "ტექსტილშჩიკი" თურქეთში სეზონისწინა მესამე შეკრებაზე იმყოფება. რუსული კლუბი ახლახან ლატვიურ "რიგას" ესპარინგა და 2:1 აჯობა. განარჯვების გოლი კი ვასილ ლუჭაშვილმა გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge





მარჩელო ლიპი

მოსალოდნელი დანიშვნა

# ანჩელოტი მილანს ლიპის უტოვებს

## ილ კუოტიდიანო: მაესტრო კონტრაქტს აპრილში გააფორმებს, ანჩელოტი ევროპაში გამარჯვების შემთხვევაშიც წავა

**მარჩელო ლიპი** „მილანთან" კონტრაქტს გააფორმებს, თანაც აპრილის შუა რიცხვებამდე და არა სეზონის ბოლოს. ასეთია **ბერლუსკონის** განზრახვა, თუ დავუჯერებთ გაზეთ „ილ კუოტიდიანოს", რომელიც, სხვა შორის, „მილანის" სამზარეულოში ქექვით არის განთქმული. დეკემბერში ეს გაზეთი იმასაც წერდა, ბერლუსკონი **ლუჩანო მოჯის** შეხვდა და მალე თავის კლუბში მაღალ პოსტს ჩააბარებსო. ამ ფრონტზე ახალი ჯერჯერობით არაფერია და ვერც იქნება, რადგან მოჯის სამწლიანი დისკვალიფიკაცია ისევ ძალაში რჩება. გუშინ „ილ კუოტიდიანომ" ლიპის „მილანში" მისვლაზე ასეთი რამ დაწერა: *„მილანის" განზრახვა მარტივად ასახსნელია: სანამ სათევზაო სეზონი დაიწყებოდეს, კონტრაქტის ხელმოწერა უნდა მოესწროს, თორემ ლიპიმ თუ ანკესი გადაიკიდა და თავის საყვარელ საქმეს შეუდგა, ისე გაქრება ჰორიზონტიდან, რომ ველარავინ იპოვის. და რაკი ჰიდრომეტეოროლოგები სააღდგომოდ (8 აპრილს) და მის შემდეგომ პერიოდში ტოსკანის მთელ სანაპიროზე მოწმენდილ ცასა და მშვიდ ზღვას წინასწარმეტყველებენ, „მილანმაც" გადაწყვიტა, რომ ოპერაცია აპირილის შუა რიცხვებამდე დაასრულოს. ტემპების ასეთ დაჩქარებას კიდევ ერთი მიზანი აქვს - საფუძველშივე უნდა ჩაკვდეს „იუვენტუსის" დაინტერესება. მართალია, „ბებერ ქალბატონს" დეშამის პოსტზე დატოვება აქვს გადაწყვეტილი, მაგრამ უარს არ იქნება, რომ თავისი ტიფოზებისთვის ყველაზე საყვარელი მწვრთნელი ტექნიკური დირექტორის პოსტზე იხილოს. მაგრამ ლიპი ყოველთვის იძახის, რომ ის „მოედნის კაცია" („uomo del campo"), ფეხბურთელებთან ყოველდღიური კონტაქტი უნდა ჰქონდეს მოედანზე და არა ოფისებსა და კაბინეტებში. ასე რომ, ლიპის „იუვეს" დირექტორად გახდომის ვარიანტი ძალიან არარეალურია.*

*ბერლუსკონიმ ლიპისთან მოლაპარაკება თვეების წინათ პირადად დაიწყო და აი, ჩანს, რომ გადამწყვეტი მომენტი დადგა: დეკემბერი თვე იყო, როცა პრეზიდენტი მსოფლიოს ჩემპიონ მწვრთნელს პირველად დაუკავშირდა. ბერლუსკონის ლიპისადმი უფრო დიდი სიმპათია აქვს, ვიდრე რიიკაარდის მიმართ, დღეს კიდევ უფრო მეტად, „ბარსელონის" ბოლოდროინდელ შედეგებს თუ გავითვალისწინებთ. სამაგიეროდ, ექს-მილანისტას კანდიდატურას გალიანი უჭერს მხარს და დიდი მიხვედრაც არ სჭირდება, რატომ. ჰოლანდიელი დიდი მოთმინების უნარით არის დაჯილდოვებული, ისევე როგორც ანჩელოტი, რომელმაც ამ ექვს წელიწადში ბევრი წყენა ჩაყლაპა, ისე, რომ პრობლემა ერთხელაც არ შეუქმნია. ლიპისთან თანამშრომლობა კი ბევრად უფრო რთულია. მარჩელოს ხასიათს რომ ვიცნობთ, ორი აზრი არ არის, რომ მისი პირველი მოთხოვნა თავის სამუშაოში აბსოლუტური თავისუფლება და ჩაურევლობა იქნება. მაგრამ ის ფაქტი, რომ პირადად ბერლუსკონიმ აგირჩია, უკვე თავისთავად არის გარანტია, რომელიც ყველა სხვა ფაქტორს გადაწონის. საჯარო გამოსვლებში „მილანის" ხელმძღვანელობა დაჟინებით იმეორებს, რომ ანჩელოტი მომავალ წელსაც მათი მწვრთნელი იქნება. ასეთი პოლიტიკა დღევანდელი დელიკატური მომენტით არის განპირობებული: უაზრობა იქნება ახალ მწვრთნელზე ლაპარაკი იმ დროს, როცა გუნდს მაქსიმალური სიმშვიდე სჭირდება ჩემპიონთალიგური საგზურის მოსაპოვებლად. სინამდვილეში, კარლოს წასვლის გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხმებმა ლიპის თაობაზე მის ყურამდეც მიაღწია, არამედ იმიტომ, რომ ექვსწლიანი წარმატებებისა და სტრესული პერიოდების შემდეგ, გრძნობს, რომ მისი ეპოქა „მილანში" უკვე დასრულებულია. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვებს და კონტრაქტის ამოწურვამდე (2008 წლის ივნისი) დარჩენას სთხოვენ, ძნელად წარმოსადგენია, რომ ამ წინადადებას დასთანხმდეს. კარლოს „ვალენსია" ელოდება, თუმცა გასულ დღეებში „რეალის" ვარიანტიც გამოჩნდა. სხვათა შორის, მადრიდული გრანდი მას გასულ წელსაც იწვევდა, სანამ მწვრთნელად კაპელოს დანიშნავდა. არც ისაა გამორიცხული, რომ ანჩელოტი „სკუადრა აძურაში" ვიხილოთ: ჯერ ტექნიკური დირექტორის პოსტზე, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ კი მთავარ მწვრთნელად".*

ქალბატონი ბაზარზე

# იუვე და ლემპარდი: არის კონტაქტი

## იუვენტუსის დირექტორების საიდუმლო მისია ლონდონში, ბეტეგა ლემპარდის აგენტს შეხვდა

ოთხშაბათს ერთი ინგლისელი პაპარაცო ჩელსის რაიონში, ერთ-ერთი იტალიური რესტორნის გარეთ იყო ჩასაფრებული და ცნობილი „აგენტ 007-ის", **როჯერ მურის** გამოსვლას ელოდა. მაგრამ მსახიობის ნაცვლად პაპარაცოს ხელში „იუვენტუსის" ორი დირექტორი და **ფრენკ ლემპარდის** მენეჯერი შერჩა. ასე მოხვდნენ მის ობიექტივში „იუვეს" სატრანსფერო კონსულტანტი **რობერტო ბეტეგა**, სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** და „ჩელსის" ნახევარმცველის აგენტი **სტივ კუტნერი**. იმ დროს, როცა „იუვენტუსის" სამეთვალყურეო საბჭო კლუბის 105 მილიონით დაფინანსების გეგმას ამტკიცებდა, ტურინელი ემისრები ლონდონს „საიდუმლო მისით" სტუმრობდნენ. როგორც ჩანს, „სინიორამ" საქმეს ხელი სერიოზულად მოჰკიდა.

სტივ კუტნერის გამოჩენა იტალიურ პრესას ცხადია, „ბებერი ქალბატონის" ლემპარდით დაინტერესებაზე აფიქრებინებს, მაგრამ, როგორც ასეთ სიტუაციებში ხდება, ტურინელი დირექტორები უარყოფენ. არადა, ლემპარდისთანა შემტევი ნახევარმცველი ისაა, რაც დღეს „იუვეს" ყველაზე მეტად სჭირდება. *„ეჰ, ნეტა მართლა ასე იყოს* – უთხრა ალესიო სეკომ „გაძეტა დელო სპორტს", რომელიც ლონდონში ტელეფონით დაუკავშირდა – *მაგრამ პრობლემა, ტრანსფერზე მეტად, ფეხბურთელის ხელფასია".* აბრამოვიჩი ინგლისელს წელიწადში 6 მილიონს უხდის. ეს კი „ბიანკონერის" დღევანდელ შესაძლებლობებსა და ხელფასებზე ლიმიტის შემოღების პოლიტიკას ნაკლებად შეესაბამება. ტურინელთა სპორტული დირექტორის თქმით, ლონდონური მისია სხვა მიზანს ემსახურება: *„გვინდა, კონტაქტები დავამყაროთ ინგლისის საშუალო და პატარა კლუბებთან, რადგან, თუ ფეხბურთელების გასხვისების საჭიროება გვექნება, უკვე გვყავდეს საიმედო პარტნიორები. საუბარია ისეთ კლუბებზე, როგორებიცაა „მიდლსბრო", „ბოლტონი" და „პორტსმუთი".* იმ 105 მილიონის მიუხედავად, რომელიც მაისის ბოლოს „იუვეს" სალაროში შევა, კლუბს სხვა ფულიც სჭირდება, რადგან აღნიშნული თანხიდან სატრანსფერო ბაზრისთვის მხოლოდ 40 მილიონი დაიხარჯება. ამიტომ ტურინში იმედი აქვთ, რომ **მიკოლის**, **სალაიეტასა** და **კოვაჩის** ინგლისში გაყიდვით კარგ შემოსავალს მიიღებენ. *„თავისი კავშირების წყალობით, სტივ კუტნერი დიდ დახმარებას გვიწევს,"* – ამბობს სეკო.

კუტნერი „ბებერი ქალბატონის" წინაშე თავს დავალებულად გრძნობს. თუ რატომ, ამას თავად განმარტავს: *„სანამ ლემპარდი „ჩელსისთან" თავის ბოლო კონტრაქტს გააფორმებდა, „იუვენტუსი" თავგამოდებით იბრძოდა ამ ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად. ფრენკი თავის პოზიციაზე მყარად დადგა და იმდენს მიაღწია, რომ კლუბმა ვერონისა და კრესპოს მსგავსი ანაზღაურება დაუნიშნა. მშვენიერია, როცა სხვა გუნდს შეუძლია, რომ შენი დამქირავებლები დიდი წნეხის ქვეშ მოაქციოს და დათმობაზე წასვლისკენ უბიძგოს".* „გაძეტა დელო სპორტი" შენიშნავს, გამოდის, რომ გარკვეულწილად თავს დავალებულად თვითონ ლემპარდიც უნდა გრძნობდესო. მას შემდეგ, „ჩელსის" აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კენიონმა 28 წლის ნახევარმცველს არაერთხელ შესთავაზა 2008 წლამდე გაფორმებული ხელშეკრულების გაგრძელება, მაგრამ მისგან ყოველ ჯერზე უარი მიიღო. მიმდინარე სეზონის ბოლოს კი ამოქმედდება ფიფას ახალი ნორმა, რომელიც საშუალებას აძლევს ლემპარდს, რომ სხვა კლუბში 11,5 მილიონი ევროს სანაცვლოდ წავიდეს. *„პიტერ კენიონმა იცის, რაც გვინდა და ისიც კარგად მოეხსენება, რომ ფრენკს უამრავი შეთავაზება აქვს,"* – ამბობს კუტნერი. პირველ რიგში, აქ „რეალის" წინადადება იგულისხმება. სამეფო კლუბის ვარიანტი სულ უფრო რეალური გახდება, თუ სეზონის ბოლოს **ჟოზე მოურინიო** მადრიდში გადაბარგდა. თუმცა, როგორც „გაძეტა დელო სპორტი" წერს, მეგოლე ნახევარმცველის გადაბირებაზე „ინტერიც" ფხიზლობს, კატალონიელი საცოლე კი „ბარსელონაში" გადასვლისკენ უბიძგებს და არც ეს უკანასკნელია უარს.

საიდუმლო არაა, რომ სადღეისოდ „იუვენტუსს" გარკვეულ კლუბებთან პაექრობისთვის ეკონომიკური რესურსები ნაკლებად აქვს. ამიტომ **დიდიე დეშამი** ხელმძღვანელობას ასეთ რჩევას აძლევს: *„უნდა ვიმოქმედოთ სხვებზე ადრე, რათა ყველას დავასწროთ იმ ფეხბურთელების ხელში ჩაგდება, ვინც ყველაზე მეტად გვჭირდება. არ გვაქვს იმის საშუალება, რომ აუქციონებში ჩავერთოთ".* „გაძეტა დელო სპორტის" აზრით, სწორედ ამას ემსახურება ორი დირექტორის ლონდონური მისია: ახლავე უნდა მომზადდეს ნიადაგი ლემპარდის გადასაბირებლად და ის, რომ სეკო უარყოფს, სხვა არაფერია, თუ არა პრესის დაბნევის მცდელობა. „იუვეში" მშვენივრად ესმით, რომ ლემპარდის გულისთვის გაწეული ეკონომიკური მსხვერპლი კლუბს ათმაგად დაუბრუნდება. ჯერ ერთი, რომ ცენტრში ტაქტიკური პრობლემა მოგვარდება და მეორე, უფრო მნიშვნელოვანი: მოიხსნება იმ ვარსკვლავების პრობლემა, ვინც დარჩენის სანაცვლოდ კონკურენტუნარიანობის გარანტიებს ითხოვენ. ბუფონისთვის, ტრეზეგესთვის და სხვებისთვის ერთი ლემპარდი უფრო დამაჯერებელი და ხელშესახებია, ვიდრე კაპიტალის 105 მილიონით გაზრდა. *„ფოტოებიც არის აგენტთან ერთად? მართლა?"* – უკითხავს თვალებგაბრწყინებულ დეშამს, როცა ჟურნალისტებმა ბეტეგასა და კუტნერის შეხვედრის თაობაზე ამცნეს. მოკლედ, „ქალბატონმა" დაიწყო: პირველი გაჩერება – ლემპარდი.

**გოგა ახალაძე**





ალესიო სეკო (ცენტრში) და რობერტო ბეტეგა (მარჯვნივ) ლონდონში



ოტმარ ჰიტცფელდი

ბაიერნი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# 50 მილიონი ჰიტცფელდს

## ტონი და რობენი მიუნხენს უახლოვდებიანო...

კვირის დასაწყისში **ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა, თუ **ოტმარ ჰიტცფელდი** "ბაიერნთან" კონტრაქტს გააგრძელებს, ზაფხულის სატრანსფერო სეზონისთვის დიდ ფულს გამოვუყოფთ და შეუძლია ის იყიდოს, ვისაც მოისურვებსო. გუშინწინ ოტმარმა რეკორდმაისტერიდან წასვლა გადაიფიქრა და ხელი მოაწერა ახალ ხელშეკრულებას, რომელსაც ვადა მომავალი წლის ივნისამდე აქვს. შესაბამისად, ბეკენბაუერიც იძულებული გახდა, დანაპირები შეესრულებინა. "ბილდი" გვამცნობს, რომ "ბაიერნის" ბოსებმა "გენერალს" ზაფხულის ტრანსფერებისთვის 50 მილიონი ევრო გამოუყვეს და თუ საჭიროება მოითხოვს, კიდევ 4-5 მილიონსაც არ დაიშურებენ.

ასე რომ, ზაფხულში რეკორდმაისტერში ახალ სუპერვარსკვლავებს უნდა ველოდოთ. ჩვენი გერმანელი კოლეგები რეგულარულად იმეორებენ, რომ "ბაიერნში" გადაბარგების ტოპ-კანდიდატები არიან მსოფლიოს ჩემპიონი **ლუკა ტონი**, რომლის ფასიც დაახლოებით 25 მილიონი ევროა და "ჩელსის" ჰოლანდიელი გარემარბი **არიენ რობენი** (20 მილიონი). მეტიც, "ბილდის" ცნობით, მენეჯერი **ული ჰიონესი** უკვე ორივესთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. ამას გარდა, ბავარიული გიგანტის სკაუტები ბოლო დროს ინტენსიურად აკვირდებიან ზაგრების "დინამოს" ორ ფეხბურთელს - 24 წლის ფორვარდ **ედუარდოსა** და 21 წლის ნახევარმცველ **ნიკო მოდრიჩს**. თითოეული მათგანის სავარაუდო ფასი 6 მილიონია.

*"ზაფხულში ფულის დახარჯვა და უმაღლესი კლასის ოსტატების შეძენა მყარად გადავწყვიტეთ. სერიოზული ტრანსფერებისთვის ყველანაირად მზად ვართ,"* - ეს ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია. მოკლედ, ჰიტცფელდი ახალი "ბაიერნის" შენებას იწყებს.

### ბაიერნის დიდი მწვრთნელები

ქვემოთ იმ 10 მწვრთნელის ჩამონათვალს გაეცნობით, რომლებმაც "ბაიერნში" ყველაზე დიდხანს იმუშავეს. ჰიტცფელდი მეორე ადგილზეა და მის გასწვრივ 6 წელია მითითებული - ოტმარმა კონტრაქტი 2008 წლის ივნისამდე გააფორმა და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, "გენერალს" "ბაიერნში" მუშაობის 6 წელი სწორედ მომავალი წლის ზაფხულში შეუსრულდება. ჰიტცფელდის დარად, მიუნხენურ კლუბში ორჯერ მუშაობდნენ უდო ლატეკი (70-75, 83-87) და ჯოვანი ტრაპატონი (94-95, 96-98).

| მწვრთნელი | ხანგრძლივობა |
|---|---|
| უდო ლატეკი | 8 წელი და 8 თვე |
| ოტმარ ჰიტცფელდი | 6 წელი |
| იუპ ჰაინკესი | 4 წელი და 3 თვე |
| პალ ჩერნაი | 4 წელი და 2 თვე |
| ჩიკ ჩაიკოვსკი | 3 წელი |
| ჯოვანი ტრაპატონი | 3 წელი |
| დეტმარ კრამერი | 2 წელი და 10 თვე |
| ფელიქს მაგათი | 2 წელი და 7 თვე |
| ერიხ რიბეკი | 1 წელი და 9 თვე |
| ბრანკო ზებეცი | 1 წელი და 8 თვე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. XXX ტურის წინ

# რეკორდსმენი იუნაიტედი და დაუმარცხებელი ჩელსი



სერ ალექს ფერგიუსონი

**დღეს**

**მანჩესტერ იუნ.-ბოლტონი**
**ჩელსი-შეფილდ იუნ.**
**მიდლსბრო-მანჩესტერ სიტი**
**რედინგი-პორტსმუთი**
**ტოტენჰემი-უოტფორდი**
**ვიგანი-ფულჰემი**
**ბლექბერნი-ვესტ ჰემი**

**ხვალ**

**ჩარლტონი-ნიუკასლი**
**ასტონ ვილა-ლივერპული**
**ევერტონი-არსენალი**

**რიო ფერდინანდი** მწყობრშია. ინგლისის ნაკრების მცველს "ბოლტონთან" მატჩში ძირითადში ვიხილავთ. გაზეთები წერდნენ, რიო მარტის ბოლომდე ვერ ითამაშებსო. **სერ ალექსის** საბედნიეროდ, პროგნოზი არ გამართლდა. ფერდინანდს ნეკნი სულაც არ აღმოაჩნდა გატეხილი. მას გვერდი ჰქონდა დაჟეჟილი, რის გამოც ევროპის ნაკრებთან მატჩი გამოტოვა. საეჭვოა **ედვინ ვარ დერ სარის** ასპარეზობა. მას წვივის კუნთი აქვს დაზიანებული. **მიკაელ სილვესტრმა** კი მხარი ამოიგდო და სეზონი ნაადრევად დაასრულა.

"ბოლტონის" თავკაცი **სემ ელერდაისი** გუნდს პრემიერლიგაში მე-300-დ დამოძღვრავს. გუშინ გვიან უნდა გარკვეულიყო თავდამსხმელ **კევინ დევისის** საკითხი. მას კოჭის ძვალი ჰქონდა გატეხილი, რის გამოც უკვე ექვსი თამაში გაუცდა. დისკვალიფიკაციის შემდეგ ძირითადში დაბრუნდება წამყვანი მცველი **აბდულაიე მეიტე**.

"მანჩესტერ იუნაიტედს" პრემიერლიგაში ზედიზედ ხუთი თამაში აქვს მოგებული. დარჩენილ ცხრა შეხვედრაში მას შვიდი მოგება და ერთი ფრე სჭირდება, რათა ბოლო 15 სეზონში მეცხრედ მოიპოვოს ჩემპიონის ტიტული. უშუალოდ "ბოლტონთან" "მენიუ" ზედიზედ მეხუთე თამაშის მოგებას აპირებს. "ეშმაკებს" 29 თამაშში 72 ქულა არასოდეს ჰქონიათ. ეს კლუბის რეკორდია. აქამდე მათი ყველაზე დიდი მონაგარი 68 ქულა იყო. "მანჩესტერმა" ეს შედეგი 1993-94 წლების სეზონში აჩვენა და საბოლოოდ ჩემპიონატიც მოიგო...

"ჩელსის" კაპიტანი **ჯონ ტერი** ჯანმრთელადაა და დღეს ძირითადში ითამაშებს. მან "მანჩესტერ სიტისთანაც" შეუცვლელად იასპარეზა. ის მისი პირველი 90 წუთი იყო 25 თებერვალს "არსენალთან" ლიგის თასის ფინალში მიღებული ნოკაუტის შემდეგ. საეჭვოა "არისტოკრატების" წამყვანი ნახევარმცველის, **მიკაელ ესიენის** თამაში. მან "ტოტენჰემთან" ასოციაციის თასის პირველ მეოთხედფინალში მუხლი დაიზიანა. მიკაელის ამბავი უშუალოდ თამაშის წინ გადაწყდება. **ჯონ ობი მიკელი** დისკვალიფიკაციას იხდის. **ჯო კოულის** მკურნალობას კი ბოლო არ უჩანს. ლონდონელთა დღევანდელ მეტოქეს, "შეფილდ იუნაიტედს", ორი ლიდერი არ ეყოლება - მცველი **კრის ლუკეტი** და ნახევარმცველი **მიკელე ლიგერტვუდი**.

"ჩელსი" ცხრადღიან მარათონშია ჩაბმული. ამ ცხრა დღის განმავლობაში მას ოთხი მატჩის გამართვა უწევს. "შეფილდთან" შეხვედრა მესამე იქნება. მარათონი ორშაბათს "ტოტენჰემთან" გადათამაშებით დასრულდება.

"ჩელსის" ყველა ტურნირზე 12-მატჩიანი წაუგებელი სერია აქვს (10 მოგება, 2 ფრე). გამარჯვების შემთხვევაში, გუნდი პრემიერლიგის წაუგებელ საშინაო სერიას 59 მატჩამდე აიყვანს (ბოლო მარცხი 2004 წლის 21 თებერვლით თარიღდება, "არსენალთან" 1:2). რეკორდი "ლივერპულს" ეკუთვნის - 63 საშინაო მატჩი წაუგებლად. "არისტოკრატებს" მისი დამხობა ამავე სეზონში შეუძლიათ.

დარჩენილი ცხრა შეხვედრიდან ლონდონელები ხუთს შინ მართავენ (დღევანდელი მატჩის ჩათვლით) და ოთხს - სტუმრად. საშინაო მატჩებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია 15 აპრილის მატჩი "იუნაიტედთან". აღსანიშნავია ისიც, რომ "ჩელსის" პრემიერლიგაში 20 იანვრის შემდეგ არ გაუშვია გოლი ("ლივერპულთან" 0:2). მშრალი სერია 522 წუთს მოიცავს. საერთო ჯამში, მოურინიოს შეგირდებმა, დაცვაში არსებული პრობლემების მიუხედავად, 29-დან 17 მატჩში კარი მშრალად შეინახეს...

"ლივერპული" "ასტონ ვილას" სტუმრობს. **რობი ფაულერი** გუნდს დაუბრუნდა. **რაფა ბენიტესმა** ის ბოლო ორ მატჩში განაცხადშიც კი არ შეიყვანა, მაგრამ ამჯერად **პიტერ კრაუჩი** ჰყავს დაშავებული და ვეტერანის თადარიგში დასმა გადაწყვიტა. კრაუჩმა ცხვირის ოპერაცია გაიკეთა და დღეღლეზე სრული დატვირთვით შეუდგება ვარჯიშს.

ლივერპულელებს ბოლო ორი თამაში წაგებული აქვთ. თანაც, ორჯერვე შინ დამარცხდნენ და ორჯერვე მინიმალური ანგარიშით - 0:1 "მანჩესტერთან" და "ბარსელონასთან". მაგრამ "ასტონ ვილასთან" მერსისაიდელებს შთამბეჭდავი სტატისტიკა აქვთ: ათი წაუგებელი მატჩი და ზედიზედ მოგებული ბოლო ოთხი შეხვედრა. ბირმინგემელთა შემადგენლობაში საეჭვოა ნახევარმცველ **შონ მელონის** თამაში. ცენტრალური მცველი **მარტინ ლაურსენიც** დაშავებულია და მხოლოდ სანაკრებო პაუზის შემდეგ დაუბრუნდება მინდორს...

"ევერტონთან" სტუმრობის წინ "არსენალს" სერიოზული საკადრო პრობლემები აქვს. მოგეხსენებათ, **ტიერი ანრიმ** სეზონი დაასრულა. მისი უმთავრესი პარტნიორი თავდასხმაში, **რობინ ვან პერსი** მკურნალობს. მცველები - **ემანუელ ებუე** და **გაელ კლიში** დაშავებულები არიან. **ემანუელ ადებაიორი** დისკვალიფიცირებულია. სასჯელი მოიხადა და ძირითადში ითამაშებს **კოლო ტურე**. **ალექსანდრ გლების** საკითხი გუშინ გვიან უნდა გარკვეულიყო. მწყობრშია **ტომაშ როსიცკი** და მთელი დატვირთვით ემზადება. მართალია, "არსენალი" 11-დღიან მონაკვეთში სამ სათასო ტურნირს გამოეთიშა (წააგო ლიგის თასის ფინალში და გავარდა ასოციაციისა და ჩემპიონთა თასებიდან), მაგრამ 2007 წელს პრემიერლიგაში ჯერაც დაუმარცხებლად ასპარეზობს. კიდევ ერთი საგულისხმო სტატისტიკა ის გახლავთ, რომ "მეთოფეებმა" **არსენ ვენგერის** ხელმძღვანელობით, პრემიერლიგაში ზუსტად 99 მატჩი დაასრულეს ფრედ. ვნახოთ, აღმოჩნდება თუ არა "ევერტონთან" შეხვედრა საიუბილეო.

მართალია, "არსენალი" სატურნირო მდგომარეობით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ ის შარშანდელი სეზონის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ორი ადგილით წინაა და 11 ქულით მეტი აქვს მოპოვებული. ევერტონელებს ვერ დაეხმარება სამი წამყვანი ფეხბურთელი - **ჯეიმს მაკფადენი, ტიმ კაჰილი** და **ენდი ვან დერ მეიდე**. საეჭვოა **ნუნუ ვალენტეს** თამაში. ორმატჩიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება ცენტრალური მცველი **ტონი ჰიბერტი**.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩ. იუნ | 29 | 23 | 3 | 3 | 66-19 | 72 |
| 2. ჩელსი | 28 | 19 | 6 | 3 | 50-19 | 63 |
| 3. ლივერპული | 29 | 16 | 5 | 8 | 44-20 | 53 |
| 4. არსენალი | 27 | 15 | 7 | 5 | 50-23 | 52 |
| 5. ბოლტონი | 29 | 14 | 5 | 10 | 34-34 | 47 |
| 6. ევერტონი | 29 | 11 | 10 | 8 | 37-26 | 43 |
| 7. რედინგი | 29 | 13 | 4 | 12 | 43-38 | 43 |
| 8. ტოტენჰემი | 29 | 12 | 6 | 11 | 40-43 | 42 |
| 9. პორტსმუთი | 29 | 11 | 8 | 10 | 36-31 | 41 |
| 10. ბლექბერნი | 29 | 12 | 4 | 13 | 35-39 | 40 |
| 11. ნიუკასლი | 29 | 10 | 7 | 12 | 34-37 | 37 |
| 12. მიდლსბრო | 29 | 9 | 9 | 11 | 32-34 | 36 |
| 13. ასტონ ვილა | 28 | 7 | 12 | 9 | 29-34 | 33 |
| 14. ფულჰემი | 29 | 7 | 12 | 10 | 31-44 | 33 |
| 15. ვიგანი | 29 | 9 | 5 | 15 | 30-44 | 32 |
| 16. შეფილდი | 29 | 8 | 7 | 14 | 25-41 | 31 |
| 17. მანჩ. სიტი | 27 | 8 | 6 | 13 | 20-33 | 30 |
| 18. ჩარლტონი | 29 | 6 | 6 | 17 | 26-49 | 24 |
| 19. უოტფორდი | 29 | 3 | 11 | 15 | 18-43 | 20 |
| 20. ვესტ ჰემი | 29 | 5 | 5 | 19 | 21-50 | 20 |



ლივერპული

# ბენიტესი: მიატოვიჩთან არ მისაუბრია

## სპეკულაციების თანახმად, ეშმაკების თავკაცს რეალი ეპატიჟება, თუმცა მწვრთნელი მადრიდელებთან კავშირს უარყოფს

ესპანეთში ჭორები ვრცელდება, რომ **პრედრაგ მიატოვიჩი რაფა ბენიტესთან** აწარმოებს მოლაპარაკებას. თითქოს, სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი სეზონის დასრულებისთანავე **ფაბიო კაპელოს** კონტრაქტს გაუწყვეტს და თანამდებობაზე სწორედ "ლივერპულის" თავკაცს დანიშნავს. ბუნებრივია, ეს ხმები ესპანეთის საზღვრებს გასცდა და ინგლისშიც ჩააღწია. მოულოდნელი ინფორმაციით შეშფოთებულმა "ლივერპულის" ახალმა შეფებმა, **ჯორჯ ჯილეტმა** და **ტომ ჰიქსმა** საქმეში გარკვევის მიზნით, ბენიტესთან გასაუბრება გადაწყვიტეს. "წითელი ეშმაკების" დამრიგებელმა მათთან შეხვედრამდე საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და "რეალთან" ყოველგვარი კონტაქტი უარყო: *"გაზეთებში ჭორების ბეჭდვას არასოდეს შეწყვეტენ. ახლაც ასე ხდება, ძალიან ბევრი ადამიანი მადრიდის "რეალზე" საუბრობს. რამდენიმე გაზეთში წავიკითხე, თითქოს ესპანური გრანდის წარმომადგენლებს შევხვდი და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრე, თითქოს კონტრაქტის დეტალებს ვათანხმებდი. ეს მტკნარი სიცრუეა. მიატოვიჩთან არ მისაუბრია. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ "ლივერპულში" ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. ამხელა დახმარება და თანადგომა სხვა არც ერთ კლუბში მიგრძვნია. ახლა ჩვენს გუნდს ახალი ხალხი ხელმძღვანელობს. რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამერიკელებთან დიალოგი ვაწარმოო და მათთან კარგი, პროფესიული ურთიერთობა ვიქონიო. აქამდე მათ მხოლოდ ერთხელ შევხვდი, მაშინ, როცა "ლივერპულში" ახალი მოსულები იყვნენ. ბუნებრივია, ეს არ არის საკმარისი. როგორც კი შესაძლებელი გახდება, ჩვენ კიდევ ერთხელ მივუსხდებით მაგიდას და ყველა დეტალზე ვისაუბრებთ. ამ ეტაპისთვის კი კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ სამეფო კლუბთან არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. აქედან წასვლა არ მსურს. ასე რომ, სხვებთან საუბარს არანაირი აზრი არ აქვს."*

ბენიტესისა და ინგლისური გრანდის მეპატრონეების შეხვედრა 31 მარტს შედგება. ცნობილია, რომ ბატონები ჯილეტი და ჰიქსი სწორედ მარტის მიწურულს ჩავლენ ბრიტანეთში. უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მხარეები იმავე დღეს კაბინეტში შეიკეტებიან და სამომავლო გეგმებზე ამომწურავად ისაუბრებენ. როგორც ნახეთ, ბენიტესმა "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგების შესაძლებლობა კატეგორიულად უარყო, მაგრამ პრესაში ხმაური მაინც არ წყდება. ჟურნალისტებმა გაიხსენეს, რომ სენიორ რაფას გადაბირება სამეფო კლუბის წინა ხელისუფლებასაც სურდა. სხვათა შორის, მაშინ მოლაპარაკებებს ოფიციალური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ გარიგება რამდენიმე მიზეზის გამო არ შედგა. ესპანელი და ინგლისელი კორესპონდენტები გვარწმუნებენ, რომ ახლა ყველაფერი თავიდან დაიწყება და მიატოვიჩი სანადელის მისაღწევად მთელ ენერგიას დახარჯავს.

აქვე, ლივერპულზე კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწვდით. ის ახალ სტადიონს ეხება. ჯილეტმა და ჰიქსმა არენის ტევადობის გაზრდა მოითხოვეს. პროექტის თანახმად, "სტენლი პარკი" 61 ათას მაყურებელს დაიტევს, ამერიკელი ინვესტორები კი მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია, ამ რიცხვს 15 ათასი ადგილიც დაემატოს და მაშინ მერსისაიდელთა ახალი სახლი მანჩესტერულ "ოლდ ტრეფორდს" გაუტოლდება. თუ პროექტი შეიცვლება, საჭირო გახდება მისი ხელახლა შეთანხმება ქალაქის მუნიციპალიტეტთან. ეს გარკვეულ დროს წაიღებს და მშენებლობა, შეიძლება, დაგვიანებით დაიწყოს. "ლივერპულის" აღმასრულებელი დირექტორი რიკ პერი იმედს გამოთქვამს, რომ სამუშაოები 2009 წლის აგვისტოსთვის დასრულდება და 2009-2010 წლების სეზონს კლუბი ახალ არენაზე შეხვდება. დღევანდელი პროექტი 215 მილიონ გირვანქადაა შეფასებული. ახალი პროექტის ღირებულება ჯერ კიდევ არაა დადგენილი.

ინგლისის ნაკრები

# მაკლარენმა ნაჯენტი გაამზადა

## განაცხადი სიურპრიზების გარეშე და ერთი სათადარიგო კანდიდატით...

გუშინ საღამოს **სტივ მაკლარენმა** ინგლისელთა შემადგენლობა დაასახელა. 24 და 27 მარტს, ალბიონელები ისრაელსა და ანდორას შეხვდებიან. გაუთავებელი სპეკულაციების მიუხედავად, სიურპრიზები არ ყოფილა. მანჩესტერსიტელი **ჯოი ბარტონი**, ასტონვილელი **გარეთ ბერი** და ჩელსელი **შონ რაიტ-ფილიპსი** სიაში ვერ მოხვდნენ. ისინი ესპანეთთან ბოლო ამხანაგური მატჩისას იყვნენ გამოძახებულნი, მაგრამ მწვრთნელებს ვერაფრით დაამახსოვრეს თავი.

მაკლარენის უმთავრესი თავისტკივილია დაცვის მარცხენა ფრთა. ისრაელთან მატჩისთვის **ეშლი კოული** დისკვალიფიცირებულია. **უეინ ბრიჯს** ტრავმა აქვს. ამიტომ არჩევანი **ჯეიმი კარაგერსა** და **ფილ ნევილს** შორის გაკეთდება. სხვათა შორის, მაკლარენმა ერთი სათადარიგო კანდიდატი მაინც დაასახელა. ესაა ინგლისის ახალგაზრდული ნაკრებისა და "პრესტონის" თავდამსხმელი **დევიდ ნაჯენტი**, რომელიც პირველ გუნდს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაჰყვება, თუ ამ უქმეებზე, ეროვნულში გამოძახებული რომელიმე თავდამსხმელი ტრავმას მიიღებს. თუ ნაჯენტი ითამაშებს, ის მეორე პრესტონელი გახდება, რომელსაც ოდესმე ეროვნული გუნდის მაისური მოურგია. პირველი, შორეულ 1958 წელს, **ტომ ფინი** იყო. ნაჯენტი ლივერპულშია დაბადებული. "პრესტონში" კი შარშან იანვარში, "ბერი სიტიდან" 100 ათას გირვანქად გადავიდა. დევიდი ინგლისის ახალგაზრდულშია გამოძახებული. 24 მარტს ამ გუნდმა იტალიას ამხანაგურად უნდა უმასპინძლოს. ეს ახალ "უემბლიზე" ჩატარებული პირველ მატჩი იქნება.

დავუბრუნდეთ მაკლარენის ნაკრებს. ბოლომდე გამოჯანმრთელებულნი არ არიან ტოტენჰემელი გარემარბი **აარონ ლენონი** და მანჩესტერელი მცველი **რიო ფერდინანდი**. ლენონს, რომელიც მარჯვენა ნახევარმცველია, მარცხნივ დაყენებას უპირებენ. არადა, განაცხადში არიან ნომინალური მემარცხენეები - **კირონ დაიერი** და **სტიუარტ დაუნინგი**. მარჯვნივ **სტივ ჯერარდი** ითამაშებს. ინგლისელთა შემადგენლობა ასეთია:

**მეკარეები** - სკოტ კარსონი (ჩარლტონი), პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), ბენ ფოსტერი (უოტფორდი);

**მცველები** - ეშლი კოული (ჩელსი), ჯონ ტერი (ჩელსი), ფილ ნევილი (ევერტონი), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული), მიკა რიჩარდსი (მანჩესტერ სიტი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯონათან ვუდგეიტი (მიდლსბრო);

**ნახევარმცველები** - ოუენ ჰარგრივსი (ბაიერნი), ფრენკ ლემპარდი (ჩელსი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), მაიკლ ქერიკი (მანჩესტერ იუნაიტედი), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო), კირონ დაიერი (ნიუკასლი), სკოტ პარკერი (ნიუკასლი), აარონ ლენონი (ტოტენჰემი);

**თავდამსხმელები** - დარენ ბენტი (ჩარლტონი), ენდრიუ ჯონსონი (ევერტონი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯერმენ დეფო (ტოტენჰემი).

### კუპერი სერიაში ბრუნდება?

"ვალენსიისა" და "ინტერის" ყოფილი თავკაცი **ექტორ კუპერი**, შეიძლება, სერია A-ში დაბრუნდეს. ტუტოსპორტის ცნობით, მას "ლივორნო" ეპატიჟება. ტოსკანური კლუბის პრეზიდენტი ალდო სპინელი კვლავ უკმაყოფილოა **დანიელე არიგონის** მუშაობით და სეზონის ბოლოს მის დათხოვნას აპირებს. სპინელის ამბიციური გეგმები აქვს: კუპერის გარდა, მას კაპიტან **კრისტიანო ლუკარელის** შენარჩუნებაც სურს.

### ვალენსიამ დე ლა პენია მოინდომა

"ესპანიოლის" ნახევარმცველ **ივან დე ლა პენიას** "ვალენსია" ეპატიჟება. ამ ინფორმაციას "მარკა" ავრცელებს. "ღამურების" თავკაც **კიკე სანჩეს ფლორესს** "ბარსელონის" ყოფილი ვარკვლავის ხელში ჩაგდება სურს. დე ლა პენია "რასინგს", "ატლეტიკოს", "ლევანტესა" და რამდენიმე ინგლისურ კლუბს სურთ. რაც მთავარია, მასთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს თვითონ "ესპანიოლი". კატალონიელები მზად არიან, ის კლუბის ისტორიაში ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქციონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ A. XXIX ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

# ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ: ᲢᲝᲜᲘ ᲗᲣ ᲢᲝᲢᲘ?

**დღეს**

**სამპდორია-პალერმო**

**ხვალ**

**ასკოლი-ინტერი**
**კალიარი-კიევო**
**კატანია-რეჯინა**
**ფიორენტინა-რომა**
**მესინა-ტორინო**
**მილანი-ატალანტა**
**პარმა-სიენა**
**უდინეზე-ლივორნო**
**ლაციო-ემპოლი**

სერია A-ს 29-ე ტურიდან დღეს ერთი შეხვედრა გაიმართება. ჩემპიონატის ყველაზე არასტაბილური გუნდი, „სამპდორია" ბოლო დროს დაძაბუნებულ „პალერმოს" უმასპინძლებს. გენუელებმა წინა ტურშიც შინ ითამაშეს და „კალიარისთან" ქულა ძლივს აიღეს, „პალერმო" კი საკუთარ მოედანზე „ფიორენტინასთან" აგებდა და ბოლო წუთებზე ურუგვაელი **კავანის** არანორმალური გოლით გაათანაბრა. სიცილიელებს ამ შეხვედრაში **ძაკარდო** და **გუიდოლინი** გაუძევეს. შესაბამისად, მცველი დღეს თავის გუნდს ვერ დაეხმარება, მწვრთნელს კი შეხვედრის ყურება ტრიბუნიდან მოუწევს. სტუმრებს ტრავმის გამო კაპიტანი **კორინიც** დააკლდებათ. ახალი წლის შემდეგ „პალერმომ" ერთადერთი შეხვედრა მოიგო და წინა ტურში მესამე ადგილი „ლაციოს" გადაულოცა. პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა პალერმოელების გამარჯვებით, 2:0 დასრულდა.

საკვირაო შეხვედრებიდან ცენტრალური „ფიორენტინა"-„რომას" დაპირისპირება იქნება. ფლორენციელებისთვის დაკლებული 15 ქულა რომ არა, ეს გუნდი დღეს მესამე ადგილზე უნდა იყოს. ასე რომ, რეალურად ერთმანეთს ჩემპიონატის მეორე და მესამე ძალა ხვდება. ამასთან, „ვიოლაც" და „რომაც" ის ორი გუნდია, ვინც შედეგს ლამაზი, ლაღი ფეხბურთით აღწევს, სადაც დიდი ინდივიდუალისტები კოლექტივზე თამაშობენ. საინტერსოა ეს დაპირისპირება **ტონი-ტოტის** დუელითაც. გასული წლის საუკეთესო ბომბარდირი ამ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის წინააღმდეგ. თუმცა, ტონის წლეულს 15-ივე გოლი თამაშიდან აქვს გატანილი, რომაელთა კაპიტანმა კი 18-დან 4 ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა. „ფიორენტინის" სასარგებლოდ საკუთარი მოედნის ფაქტორი მოქმედებს: „არტემიო ფრანკიზე" ჩატარებულ ბოლო 36 შეხვედრაში **პრანდელის** გუნდს მინიმუმ ერთი გოლი გააქვს. გასულ ჩემპიონატში ეს გუნდები ერთმანეთს დიდი ხნის განმავლობაში ეცილებოდნენ მეოთხე ადგილს. საბოლოოდ მოგებული „ფიორენტინა" დარჩა, მაგრამ ზაფხულის სკანდალის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში „რომა" გავიდა. „ვიოლამ" ბოლო რვა ტურში ექვსი შეხვედრა მოიგო და ორი ფრე ითამაშა, „რომა" კი ახალი წლის შემდეგ სტუმრის მოედანზე ვერა და ვერ იგებს (4 ფრე და 1 წაგება). პირველ წრეში რომაელებმა 3:1 გაიმარჯვეს, ამ გუნდების ბოლო ფლორენციული დაპირისპირება ფრედ 1:1 დასრულდა.

პრაქტიკულად, უკვე გაჩემპიონებული „ინტერი" „ასკოლის" სტუმრობს. „ვალენსიის" მიერ ჩემპიონთა ლიგიდან გამოგდებულმა „ნერაძურიმ" ეს უსიამოვნო ფაქტი წინა ტურში დაივიწყა, როცა დერბიში „მილანს" პირწმინდად აჯობა და დამსახურებულად მოიგო (2:1). **მანჩინის** გუნდს ტრავმების გამო **კამბიასო, ვიეირა** და **ადრიანო** არ ეყოლება, თუმცა შემცვლელები საკმარისად ჰყავს. „ასკოლი" გადარჩენისთვის თავგამოდებით იბრძვის და ბოლო ხუთი ტურია ალარ აგებს. ზედიზედ ოთხი ფრის შემდეგ **სონეტის** გუნდმა წინა ტურში სიენაში სენსაციურად გაიმარჯვა და ბოლო ადგილიდან ერთი საფეხურით მაღლა აინაცვლა.

კვირას წაგებული დერბის შემდეგ „მილანი" ჩემპიონთალიგურ ზონას 6 ქულით დაშორდა და საქმე ძალიან გაირთულა. ხვალ „ატალანტასთან" გამარჯვება „როსონერის" ჰაერივით სჭირდება და ამიტომაა, რომ ბოლო შეხვედრებისგან განსხვავებით, **ანჩელოტი** ისევ ორ გამოკვეთილ ფორვარდს უბრუნდება. „მილანი" ბრაზილიური ტრიოთი შეუტევს: წინ **რონალდო** და **ოლივეირა**, მათ ზურგსუკან კი **კაკა**. „ატალანტამ" ბოლო პერიოდში პოზიციები დათმო: უკანასკნელ 7 ტურში ბერგამოელებმა ორჯერ წააგეს და ხუთი ფრე ითამაშეს. თუმცა „მილანისთვის" „ატალანტა" ტრადიციულად უხერხული მეტოქეა. პირველ წრეში ანჩელოტის გუნდმა ბერგამოში 0:2 წააგო. ტურს ღამით კიდევ ერთი „ჩემპიონთალიგური" ჯახი დაასრულებს: „ლაციო"-„ემპოლი". ბოლო დროს ორივე გუნდი შესანიშნავ ფორმაშია. განსაკუთრებით კი „ლაციო", რომელმაც ზედიზედ ხუთი შეხვედრა მოიგო და მესამე ადგილზე დაფუძნდა. ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ, „ემპოლიმ" წინა ტურში მოულოდნელი ქულები დაკარგა, როცა 10-კაციან „ლივორნოს" 2:0-ს უგებდა და უკანასკნელ წუთებზე ორი საპასუხო ბურთი მიიღო.



ფრანჩესკო ტოტი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 27 | 23 | 4 | 0 | 59-22 | 73 |
| 2. რომა | 27 | 17 | 6 | 4 | 55-22 | 57 |
| 3. ლაციო | 27 | 14 | 7 | 6 | 44-21 | 46 |
| 4. პალერმო | 28 | 13 | 7 | 8 | 42-33 | 46 |
| 5. ემპოლი | 27 | 11 | 9 | 7 | 27-24 | 42 |
| 6. მილანი | 27 | 13 | 9 | 5 | 37-24 | 40 |
| 7. ფიორენტინა | 27 | 15 | 6 | 6 | 45-24 | 36 |
| 8. სამპდორია | 27 | 9 | 7 | 11 | 34-34 | 34 |
| 9. ატალანტა | 27 | 7 | 11 | 9 | 40-39 | 32 |
| 10. უდინეზე | 27 | 8 | 8 | 11 | 30-37 | 32 |
| 11. კატანია | 28 | 8 | 8 | 12 | 35-50 | 32 |
| 12. ლივორნო | 27 | 6 | 11 | 10 | 27-39 | 29 |
| 13. ტორინო | 27 | 7 | 7 | 13 | 21-39 | 28 |
| 14. სიენა | 27 | 5 | 13 | 9 | 24-31 | 27 |
| 15. კალიარი | 27 | 5 | 12 | 10 | 21-30 | 27 |
| 16. კიევო | 27 | 5 | 9 | 13 | 29-39 | 24 |
| 17. მესინა | 27 | 5 | 9 | 13 | 28-43 | 24 |
| 18. რეჯინა | 27 | 8 | 9 | 10 | 34-39 | 22 |
| 19. ასკოლი | 27 | 3 | 9 | 15 | 20-38 | 19 |
| 20. პარმა | 27 | 3 | 10 | 14 | 23-46 | 19 |

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. ᲞᲠᲘᲛᲔᲠᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XXVII ᲢᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

# ᲛᲔᲡᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲙᲑᲘᲚᲔᲑᲡ ᲘᲚᲔᲡᲐᲕᲡ

## ᲞᲠᲘᲛᲔᲠᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲠᲘᲒ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲡ ᲘᲡᲔ ᲔᲙᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲤᲘᲜᲐᲚᲡ

**დღეს**

**ვალენსია-რასინგი**
**მალიორკა-ბეტისი**
**რეკრეატივო-ბარსელონა**
**ბილბაო-ოსასუნა**

**ხვალ**

**ესპანიოლი-ლევანტე**
**ვილიარეალი-სოსიედადი**
**სარაგოსა-ატლეტიკო**
**დეპორტივო-ხეტაფე**
**რეალი-ხიმნასტიკი**
**სევილია-სელტა**

"ბარსელონამ" გიჟური სუპერკლასიკო ნელ-ნელა დაივიწყა და ახალი თავგადასავლებისთვის მზადება დაიწყო, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კატალონიური გრანდის ვარსკვლავებმა "რეალთან" ბრძოლას უდიდესი ენერგია და ემოციები შეალიეს. **ფრანკ რიიკაარდმა** პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მცირე ხნით ფსიქოლოგის პროფესია შეითავსა და შეგირდები დაარწმუნა, რომ "რეაკრეატივოსთან" მატჩი სუპერკლასიკოს მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება. სიმართლე ითქვას, ბარსელონელებს ამ უბრალო ჭეშმარიტების შეხსენება არც სჭირდებოდათ, მაგრამ შეგონება არასოდესაა ზედმეტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კატალონიური გიგანტი დღევანდელ შეხვედრას ისე ეკიდება, როგორც გადამწყვეტ ფინალს. ისინი აცნობიერებენ, რომ კონკურენტები ქუსლზე აზიან და ქულების დაკარგვა შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს.



ლიონელ მესი

სუპერკლასიკოს გმირი, **ლიონელ მესი** მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. მას იმედი აქვს, რომ "ბარსას" გასვლით შეხვედრაშიც გამოადგება. **რონალდინიოსაც** არაფერი აწუხებს. აი, **რაფა მარკესი** კი მოედანზე გასვლას ალბათ, ვერ შეძლებს. მექსიკელ მცველს ტერფის მიკრო ტრავმა აწუხებს. რიიკაარდს კიდევ ერთი დანაკლისი აქვს. მოგეხსენებათ, "რეალთან" მატჩში **ოლეგერმა** წითელი ბარათი მიიღო. ამიტომ, მას ტრიბუნაზე მოკალათება მოუწევს. თითქმის გამორიცხულია **ტიაგო მოტას** თამაშიც. შეგახსენებთ, ბრაზილიელმა ნახევარმცველმა მოთმინება დაკარგა და მთავარ მწვრთნელს შეუტია. ბატონმა ფრანკმა კი სანქციების ნაცვლად, ჰუმანური გადაწყვეტილება მიიღო და მოტას განტვირთვისთვის შევბულების აღება ურჩია. ტიაგოს პაუზა აშკარად კარგად წაადგა. მან ბოდიში მოიხადა და შეცდომა ვაჟკაცურად აღიარა. მიუხედავად ამისა, სამხრეთამერიკელი მოედანზე მაინც ვერ გავა. ჰოლანდიელი სპეციალისტი ფიქრობს, რომ მას კონდიციების აღსადგენად დრო სჭირდება. ტრავმის გამო **სანტი ესკეროც** ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, "ბარსელონას" **ჯანლუკა ძამბროტა** და **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი** დაუბრუნდებიან. იტალიელმა და ჰოლანდიელმა დისკვალიფიკაციები მოიხადეს.

"რეალს" საჩემპიონო ამბიციები დაუბრუნდა. დედაქალაქელებს მიაჩნიათ, რომ ხუთქულიანი ჩამორჩენა არ არის ის ჰანდიკაპი, რომლის ამოქაჩვაც შეუძლებელი იქნება. "ხიმნასტიკთან" შეხვედრაში სამეფო კლუბი, რა თქმა უნდა, უპირობო ფავორიტია. **ფაბიო კაპელოს** შესაძლოა, **ფაბიო კანავარო** დაუბრუნდეს. იტალიელმა მაცველამ ტრავმა მოიშუშა და ბოლო ვარჯიში სრულყოფილად ჩაატარა. მადრიდელებისთვის ცუდი ამბავი ის არის, რომ ტარაგონელებს **გახო** ვერ დაუპირისპირდება. არგენტინელმა ნახევარმცველმა სუპერკლასიკოში ტრავმა მიიღო და გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. კაპელოს ალბათ, **სერხიო რამოსიც** ვერ დაეხმარება. ახალგაზრდა მცველს დისკვალიფიკაცია აქვს მისჯილი. გამორიცხული არ არის, ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა "რეალის" აპელაცია დააკმაყოფილოს და რამოსს თამაშის ნება დართოს, თუმცა წარსულის გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, მოვლენათა ამგვარი განვითარება ძნელად წარმოსადგენია.

"სევილიამ" უეფას თასის მეოთხედფინალში სასწაულებრივად გააღწია. გეცოდინებათ, რომ "შახტართან" მატჩის 94-ე წუთზე ანდალუსიური კლუბის მეკარემ თავური დარტყმით გოლი შეაგდო. ამის შემდეგ დამატებითი დრო დაინიშნა და **ხუანდე რამოსის** შეგირდებმა კიდევ გაიტანეს. შედეგად, მათ მომდევნო ეტაპზე გააღწიეს და ამით "სელტასთან" პაექრობის წინ ჩინებული განწყობა შეიქმნეს. უეფას თასი კარგია, მაგრამ "სევილიის" უპირველესი ამოცანა, პრიმერა დივიზიონში გამარჯვებაა. ამიტომ, სევილიელები გალისიელებთან მატჩში მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 26 | 14 | 8 | 4 | 53-25 | 50 |
| 2. სევილია | 26 | 15 | 5 | 6 | 46-24 | 50 |
| 3. ვალენსია | 26 | 14 | 5 | 7 | 37-24 | 47 |
| 4. რეალი | 26 | 13 | 6 | 7 | 35-24 | 45 |
| 5. სარაგოსა | 26 | 12 | 7 | 7 | 39-27 | 43 |
| 6. ატლეტიკო | 26 | 12 | 7 | 7 | 32-22 | 43 |
| 7. რეკრეატივო | 26 | 12 | 5 | 9 | 35-31 | 41 |
| 8. ხეტაფე | 26 | 10 | 8 | 8 | 23-18 | 38 |
| 9. ესპანიოლი | 26 | 9 | 10 | 7 | 28-27 | 37 |
| 10. რასინგი | 26 | 9 | 10 | 7 | 28-30 | 37 |
| 11. ვილიარეალი | 26 | 10 | 6 | 10 | 25-31 | 36 |
| 12. დეპორტივო | 26 | 8 | 9 | 9 | 19-28 | 33 |
| 13. ოსასუნა | 26 | 9 | 4 | 13 | 31-33 | 31 |
| 14. ბეტისი | 26 | 7 | 10 | 9 | 25-29 | 31 |
| 15. მალიორკა | 25 | 8 | 5 | 12 | 25-36 | 29 |
| 16. სელტა | 26 | 6 | 9 | 11 | 27-36 | 27 |
| 17. ლევანტე | 26 | 6 | 9 | 11 | 22-36 | 27 |
| 18. ბილბაო | 26 | 6 | 8 | 12 | 27-37 | 26 |
| 19. ხიმნასტიკი | 26 | 5 | 5 | 16 | 28-48 | 20 |
| 20. სოსიედადი | 26 | 3 | 8 | 15 | 18-35 | 17 |

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

# ᲠᲐᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲗᲐᲛᲐᲨᲒᲐᲠᲔᲨᲘᲐ

## ᲐᲠᲐᲒᲝᲜᲔᲡᲘ ᲙᲐᲚᲓᲔᲠᲝᲜᲘᲡ ᲣᲚᲢᲘᲛᲐᲢᲣᲛᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲨᲘᲜᲓᲐ

24 და 28 მარტს ესპანეთი დანიასა და ისლანდიასთან სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩებს გამართავს. "სელექსიონის" მთავარმა მწვრთნელმა ფეხბურთელების 20-კაციანი სია გამოაქვეყნა. ყველაზე დიდ სიახლედ, ნაკრებში **კარლოს მარჩენას** დაბრუნება უნდა მივიჩნიოთ. ვალენსიელს **ლუის არაგონესი** გერმანიის მუნდიალის შემდეგ არ უძახებდა, თუმცა ამაზე აურზაური არავის აუტეხავს. მარჩენა ხომ **რაული** არ არის, რომ ესპანურ მედიაში ბევრი მოსარჩლე გამოუჩნდეს. ბევრისთვის მოულოდნელად არაგონესმა **ხუანიტოს** უხმო. მართალია, **ლუის ფერნანდესის** დანიშვნის შემდეგ "ბეტისმა" საოცარი პროგრესი განიცადა და ხუანიტოც გაცილებით უკეთ ათამაშდა, მაგრამ პირენეელ ჟურნალისტებს მაინც ჰგონიათ, რომ ანდალუსიური კლუბის მცველი ნაკრებისთვის ჯერ მზად არ არის. ესპანელთა თავკაცმა სამაგიეროდ **არისმენდი** დაივიწყა. ბოლო ამხანაგურ თამაშებში სენიორ ლუისი დეპორტივოელს საქებარი სიტყვებით ამკობდა, მაგრამ ამჯერად, რატომღაც, არ გამოიძახა. რაც შეეხება ატლეტიკოელ **პაბლოს**, ეროვნულ გუნდში ის ტრავმის გამო ვერ მოხვდა.

მრავალი წინასწარმეტყველებისა და ვარაუდის მიუხედავად, "სელექსიონის" თავკაცმა რაულს არ დაურეკა. არადა, "რეალის" პრეზიდენტი, **რამონ კალდერონი** იმუქრებოდა, თუ ჩვენს კაპიტანს საკადრისად არ დააფასებენ, 24 მარტს დანიელების "სანტიაგო ბერნაბეუზე" მასპინძლობის იმედი არ გქონდეთო. არაგონესი ულტიმატუმს არ შეუშინდა და რაულთან ერთად **გუტიც** არ გამოიძახა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ "შახტართან" მატჩში სასწაულის ჩამდენი **ანდრეს პალოპი** და დისკვალიფიცირებული **სერხიო რამოსი** ნაკრებში იქნებიან, თუმცა ისინი დანიასთან მატჩს გამოტოვებენ და ესპანეთს მხოლოდ ისლანდიასთან დაეხმარებიან. საქმე ის არის, რომ გაფრთხილებათა ჭარბი რაოდენობის გამო, ისინი პრიმერა დივიზიონის ტურს გამოტოვებენ. ბატონი ლუისი კი ფიქრობს, რომ "სევილიის" მეკარე და "რეალის" მცველი სასურველ ფორმაში არ იქნებიან.

დასასრულს "სელექსიონის" სრულ შემადგენლობას შემოგთავაზებთ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი ფეხბურთელი "ვალენსიამ მიავლინა:

**მეკარეები** - კასილიასი (რეალი), რეინა (ლივერპული), პალოპი (სევილია).

**მცველები** - სერხიო რამოსი (რეალი), პუიოლი (ბარსელონა), მარჩენა (ვალენსია), ალბელდა (ვალენსია), კაპდევილა (დეპორტივო), ანხელი (სელტა). ხუანიტო (ბეტისი).

**ნახევარმცველები** - ანტონიო ლოპესი (ატლეტიკო), ინიესტა (ბარსელონა), ჩავი (ბარსელონა), ფაბრეგასი (არსენალი), ჩაბი ალონსო (ლივერპული), ხავი ნავარო (სევილია). ანგულო (ვალენსია), სილვა (ვალენსია).

**თავდამსხმელები** - მორიენტესი (ვალენსია), დავიდ ვილია (ვალენსია), ფერნანდო ტორესი (ატლეტიკო).



რაული

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შახტარი-სევილია 2:3 დ.დ. (2:2)**

**შახტარი:** შუსტი, ლევანდოვსკი, ჩიგრინსკი, კუჩერი, შევჩუკი (44. რაცი), გეი, მათუსალემი (86. დულიაი), ფერნანდინიო, ჟადსონი, მარიკა, ბიელიკი (64. ელანო).

**სევილია:** პალოპი, ხავი ნავარო (81. ვალენტე), დანიელი, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი, ჰინკელი (57. ჩევანტონი), ადრიანო (57. პუერტა), მარესკა, პოულსენი, ლუიშ ფაბიანო, კანუტი.

**გოლები:** 1:0 მათუსალემი (49), 1:1 მარესკა (53), 2:1 ელანო (83), 2:2 პალოპი (90), 2:3 ჩევანტონი (105).

**გაფრთხილება:** 2-5.

**მაყურებელი:** 30 000

**ალკმაარი-ნიუკასლი 2:0 (2:4)**

**ალკმაარი:** ვატერმანი, იალიენსი, დე კლერი, სტეინსონი, დე ზეეუვი, დონკი, მარტენსი (90. ბუხარი), დემბელე, კუვერმანსი (84. ოპდამი), არველაძე, იენერი (80. ლენსი).

**ნიუკასლი:** გივენი, სოლანო, ბრემბლი, ტეილორი, ჰანტინგტონი (86. ნზოგბია), დაიერი, ბატი, პარკერი, დაფი (59. ემრე), სიბირსკი, მარტინსი.

**გოლები:** 1:0 არველაძე (14), 2:1 კუვერმანსი (56).

**გაფრთხილება:** 2-3.

**მაყურებელი:** 16 401

**ესპანიოლი-მაკაბი 4:0 (0:0)**

**ესპანიოლი:** ირაისოსი, დავიდ გარსია (67. ლაკრუსი), ჩიკა, მოისესი, ტორეხონი, ხარკე, მოა, დე ლა პენია (75. იტო), ლუის გარსია, პანდიანი, ტამუდო (65. რუფეტე).

**მაკაბი:** დავიდოვიჩი, ჰარაზი, მაგრალიშვილი (73. კეისე), მეშუმარი, კეინანი, რაფაელოვი (69. მელიქსონი), გაზალი (61. არბაიტმანი), ბოკოლი, ანდერსონი, კატანი, კოლაუტი.

**გოლები:** 1:0 დე ლა პენია (53), 2:0 ტამუდო (59), 3:0 ლუის გარსია (61), 4:0 პანდიანი (90)

**გაფრთხილება:** 0-1.

**მაყურებელი:** 16 000

**ბენფიკა-პსჟ 3:1 (1:2)**

**ბენფიკა:** მარსელო, ნელსონი, დავიდ ლუიში, ანდერსონი, ლეო, პეტი, კაცურანისი, კარაგუნისი (46. ჟოაო კოიმბრა), სიმაო, ნუნუ გომეში, მიკოლი (77. დერლეი).

**პსჟ:** ლანდრო, მაბიალა (75. მენდი), როზენტალი, ტრაორე, დრამი, მულუმბუ, დიანი, გალიარდო (70. ნგოგი), როტენი, პაულეტა, ლუინდულა (70. კალუ).

**გოლები:** 1:0 სიმაო (20), 2:0 პეტი (27), 2:1 პაულეტა (32), 3:1 სიმაო (89-პენ).

**გაფრთხილება:** 2-3.

**გაძევება:** მულუმბუ (88. პსჟ).

**მაყურებელი:** 58 800



უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები და წილისყრა

# შოთას ვერდერი შეხვდა

## ალკმაარელებმა ნიუკასლი დაიფრინეს, მომდევნო ეტაპზე კი არ გაუმართლათ...

გუშინწინ ალკმაარელები "ნიუკასლის" დამარცხებას და უეფას თასის მეოთხედფინალში გასვლას ზეიმობდნენ. მიზეზიც ჰქონდათ: ნისლიან ალბიონზე განცდილი კრახის შემდეგ (2:4), **ლუის ვან გაალის** გუნდი ურთულეს მდგომარეობაში იყო და ცოტას თუ სჯეროდა, რომ **შოთა არველაძე** და კომპანია "ნიუკასლის" ბარიერს დაძლევდა. გუშინ კი, ფორტუნამ "ალკმაარს" წილისყრაზე ზურგი აქცია და მეოთხედფინალში უეფას თასის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი ბრემენის "ვერდერი" შეახვედრა.

"ნიუკასლთან" მატჩი "ალკმაარისთვის" საიუბილეო, 1600-ე გახლდათ. მოლოდინისამებრ, ვან გაალმა თავიდანვე შემტევი ტაქტიკა აირჩია, ინგლისელები კი, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, ძალიან ინერტულად გამოიყურებოდნენ. აშკარად ჩანდა, რომ **გლენ როუდერმა** თავის შეგირდებს დაცვიდან თამაში დაავალა, მაგრამ "ნიუკასლს" უკანა ხაზშიც ისევე არ გამოსდიოდა არაფერი, როგორც შეტევაში. შოთამ AZ მე-14 წუთზე დააწინაურა, როცა **დანი კუვერმანსის** გამჭოლი პასის შემდეგ მცველებს დაასწრო და ბურთს **შეი გივენის**.კარში მიუჩინა ადგილი. სწრაფმა გოლმა ალკმაარელებს საკუთარი ძალების რწმენა შემატა - ვან გაალის გუნდმა უფრო თავდაჯერებულად და მშვიდად განაგრძო იერიშები. თუმცა "ნიუკასლს" წონასწორობის აღდგენა შოთას გოლიდან მალევე შეეძლო, მაგრამ **სკოტ პარკერმა** საჯარიმოს ხაზიდან ბურთი **ვატერმანის** კარს მცირე მანძილით ააცილა. ეს იყო და ეს, "კაჭკაჭებს" პირველ ნახევარში სხვა მომენტი არც ჰქონიათ - "ალკმაარმა" როუდერის გუნდს არაფერი გააბედინა.

"ნიუკასლმა" ვან გაალის ერთ მუშტად შეკრულ სამწყსოს ვერც მეორე ტაიმში აჯობა, თუმცა 54-ე წუთზე ინგლისელებმა მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი მაინც შექმნეს, როცა **კირონ დაიერი ნორბერტო სოლანოს** ჯარიმის შემდეგ ვატერმანთან, ფაქტობრივად, პირისპირ აღმოჩნდა, გასცდა კიდეც ჰოლანდიელთა მეკარეს, მაგრამ დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა. ზუსტად 2 წუთში კი, ვან გაალის შეგირდებმა გივენს მეორე გოლი გაუტანეს - **მაარტენ მარტენსის** კუთხურს კუვერმანსი გამოეხმაურა და სხვაობა თავური დარტყმით გაზარდა.

2:0 - ეს უკვე ის ანგარიში გახლდათ, რომელსაც მეოთხედფინალში "ალკმაარი" გაჰყავდა, მაგრამ ჰოლანდიელებმა უკან არ დაიხიეს და არც ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ზრუნვა. "ნიუკასლმა" კი თამაში გახსნა, რის გამოც სახიფათო მომენტები უკვე ორივე კართან იქმნებოდა, მაგრამ უფრო ხშირად მაინც გივენს უწევდა ნერვიულობა. ჯერ, არველაძის შესანიშნავი პასის შემდეგ, კუვერმანსმა მაკრატელა დაარტყა, მაგრამ მცირე მანძილით ააცილა, მერე კი, ვატერმანსაც მოუხდა თამაშში ჩართვა, როცა პარკერის დარტყმა გააუვნებელყო. მეორე ტაიმის მეორე ნახევარში "ნიუკასლი" უპირატესობას დაეუფლა, თუმცა მომენტები ისევ ინგლისელთა კართან იქმნებოდა. 72-ე წუთზე **იენერმა** გივენის საჯარიმოში შეაღწია, მაგრამ ირლანდიელმა მეკარემ ივარგა, ცოტა ხნის შემდეგ კი კუვერმანსი მასთან ერთ-ერთზე გავიდა, მოატყუა კიდეც, მაგრამ მახვილი კუთხიდან ააცილა. საფინალო სასტვენამდე ბევრი დრო აღარ იყო დარჩენილი, როცა ალკმაარელები ძალიან ანერვიულდნენ - **ობაფემი მარტინსი** დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, მაგრამ ბურთი პირდაპირ ვატერმანს ჩააბარა. ბოლო აკორდი კი არველაძისა იყო: თამამად შეიძლება ითქვას, რომ შოთამ სოლანო შეარცხვინა (ჩვენებურმა პერუელი ბავშვივით მოატყუა) და კოხტადაც დაარტყა, მაგრამ გივენმა რეაქცია გამოავლინა, ბურთს ხელი აჰკრა და ხარიხისკენ გაგზავნა. ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ვეტერანი ქართველი თავდამსხმელი მთელი მატჩის განმავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. ბევრი იშრომა, პასებიც უხვად არიგა (უმეტეს შემთხვევებში ერთი შეხებით მოქმედებდა), მეორე ტაიმში კი, როცა ანგარიში 2:0 იყო, დაცვასაც ეხმარებოდა.

ერთი სიტყვით, არველაძემ და კომპანიამ "ნიუკასლის" ბარიერი დაძლია, აი მეოთხედფინალში კი, "ვერდერის" სახით ალბათ ყველაზე არასასურველი მეტოქე ჰყავს. სხვათა შორის, გუშინ, წილისყრის შემდეგ ბრემენული გუნდის დამრიგებელმა **თომას შააფმა** განაცხადა, რომ "ალკმაარს" დიდ პატივს სცემს - ამ გუნდმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ ნებისმიერის დამარცხება შეუძლიაო. მაგრამ ფავორიტად, რა თქმა უნდა, "მუსიკოსები" ითვლებიან, რომლებმაც 1/16 ფინალიდან ამსტერდამის "აიაქსი" გააგდეს, მერე კი ვიგოს "სელტის" ბარიერიც იოლად დაძლიეს.

პირველი მატჩის შემდეგ, რომელიც ანდალუსიაში ფრედ 2:2 დასრულდა, უეფას თასის მოქმედი გამარჯვებული "სევილია" "შახტართან" ფავორიტად აღარ ითვლებოდა და ის, რომ მეოთხედფინალში მაინც გააღწიეს, **ხუან-დე რამოსის** შეგირდები თავიანთ მეკარე **ანდრეს პალოპს** უნდა უმადლოდნენ. შესაძლოა, იფიქროთ, რომ ამ უკანასკნელმა მკვდარი ბურთები მოიგერია და ამით შეეწია თავის გუნდს, მაგრამ საქმე სულ სხვა რამეშია. უკრაინელები ორჯერ იგებდნენ: "შახტარი" ჯერ **მათუსალემმა** დააწინაურა ულამაზესი გოლით (**ენცო მარესკამ** 4 წუთში გაათანაბრა), მერე კი, დონეცკელები **ელანომ** გაიყვანა წინ (83-ე წუთზე). და იმ დროს, როცა ყველას ეგონა, რომ ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი უეფას თასს გამოეთხოვა, მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე, პალოპი "შახტარის" საჯარიმოში ჩავიდა, თავური დარტყმით (კუთხურის დროს) კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა. იქ კი, სევილიელებმა **ჩევანტონის** გოლით მოიგეს და **მირჩა ლუჩესკუს** გუნდი პირშიჩალაგამოვლებული დატოვეს. მეოთხედფინალში სევილიელთა მეტოქე "ბრაგას" გამომგდები "ტოტენჰემი" იქნება და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს წყვილი ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს.

"ბენფიკამ" და პსჟ-მ "ესტადიო და ლუშზე" საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს. პირველი თამაში ფრანგებს 2:1 ჰქონდათ მოგებული. 27-ე წუთისთვის ლისაბონელები უკვე 2:0-ს იგებდნენ - "ბენფიკა" ჯერ **სიმაომ** დააწინაურა (20), მერე კი **პეტიმ** გაზარდა სხვაობა. მაგრამ პსჟ-მ სწრაფადვე გაიტანა საჭირო გოლი - 32-ე წუთზე **პედრო პაულეტამ** თავის ყოფილ გუნდს გაუტანა. ამის შემდეგ ფრანგები ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდნენ იმ ანგარიშს, რომელიც მატჩს დამატებით დროში გადაიყვანდა, მაგრამ 89-ე წუთზე **მულუმბუმ** ფრანგთა საჯარიმოში **ლეოს** წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვია და მსაჯმაც მაშინვე დანიშნა პენალტი, რომელიც სიმაომ ზუსტად შეასრულა. ამრიგად, **პოლ ლე გენის** გუნდს თამამად შეუძლია, მთელი ყურადღება საფრანგეთის ჩემპიონატზე გადაიტანოს - პსჟ გასავარდნ ზონაშია. "ბენფიკა" კი მეოთხედფინალში ითამაშებს, სადაც "ესპანიოლს" გადაეყარა, გუნდს, რომელმაც ჰაიფას "მაკაბის" სულ კუდით ქვა ასროლინა. ისრაელში დაფიქსირებული ნულოვანი ფრის შემდეგ, საკუთარ კედლებში "ესპანიოლმა" "მაკაბის" 4 უპასუხო გოლი გაუტანა და მეოთხედფინალში დამსახურებულად გავიდა.

**1/4 ფინალი**

ალკმაარი-ვერდერი
ლევერკუზენი-ოსასუნა
სევილია-ტოტენჰემი
ესპანიოლი-ბენფიკა

**1/2 ფინალი**

ესპანიოლი-ბენფიკა vs ალკმაარი-ვერდერი
ლევერკუზენი-ოსასუნა vs სევილია-ტოტენჰემი

*მეოთხედფინალური მატჩები 5 და 12 აპრილს გაიმართება, ნახევარფინალური მატჩები - 20 აპრილს და 3 მაისს. ფინალი შედგება 16 მაისს გლაზგოში.*

რეალი. მოსალოდნელი ტრანსფერი

# მეტცელდერი სამეფო კლუბს მიუახლოვდა

## კალდერონმა მთავარი ექიმი გერმანელი მცველის შესამოწმებლად გააგზავნა

მომრავლებულ პრობლემებთან მებრძოლი მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა აწმყოზე ფიქრით არ კმაყოფილდება და მომავალი სეზონისთვის ზრუნვას განაგრძობს. ამასწინათ გამცნეთ, რომ **პრედრაგ მიატოვიჩი კრისტოფ მეტცელდერის** ტრანსფერთან დაკავშირებით ინტენსიურად მუშაობდა. როგორც ჩანს, სამეფო კლუბი მართლაც სერიოზულადაა დაინტერესებული. თავად განსაჯეთ, **რამონ კალდერონმა** მთავარ ექიმ **ალფონსო დელ კორალს** გერმანელი მცველის შემოწმება დაავალა. საქმე ის არის, რომ კრისტოფმა სამი წლის წინ აქილევსის მყესის უმძიმესი ტრავმა მიიღო. მას ორჯერ მოუხდა ოპერაციის გაკეთება. ბევრს ეგონა, რომ "დორტმუნდის" ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე კარიერის გაგრძელებას ვერ შეძლებდა, თუმცა მან ყველა პრობლემა დაძლია. "რეალის" პრეზიდენტმა სენიორ დელ კორალს საგულდაგულო სამედიცინო შემოწმების ჩატარება იმ მიზნით მოსთხოვა, რომ მას ცოდნოდა, ღირს თუ არა გერმანელისთვის კონტრაქტის შეთავაზება. დელ კორალმა უმაღლესი ხელისუფლის დავალება დროულად შეასრულა. მისი დიაგნოზი სასიხარულოა. პირენეული გრანდის მთავარი ექიმმა შეფებს მოახსენა, რომ კრისტოფს აბსოლუტურად არაფერი აწუხებს. ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კრისტოფს, რომელსაც "დორტმუნდთან" კონტრაქტი მიმდინარე წლის 30 ივნისს უმთავრდება, მომავალი სეზონიდან "სანტიაგო ბერნაბეუზე" ვიხილავთ.



ფრანკ რიბერი

დაპირისპირება

# 10 მილიონი რიბერიში

## საქმემ საარბიტრაჟო სასამართლოში გადაინაცვლა

"გალათასარაი" "მარსელისაგან" 10 მილიონ ევროს ითხოვს. საქმე ეხება საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველის, **ფრანკ რიბერის** ტრანსფერს 2005 წლის ზაფხულში. იმავე წლის იანვარში, რიბერიმ "გალასთან" კონტრაქტი სამწელიწადნახევრით გააგრძელა, მაგრამ შემდეგ შეთანხმება ცალმხრივად გაწყვიტა და "მარსელს" მიაშურა. სტამბოლიდან აბარგების მოტივად ხელფასის ოთხი თვით დაგვიანება დასახელდა. სწორედ ეს მიზეზი ჩაითვალა საკმარისად იმისათვის, რომ ფეხბურთელს კლუბის წინაშე ნაკისრი ვალდებულება არ შეესრულებინა. არგუმენტი გაიზიარა ფიფამაც და ნოემბერში გამოიტანა პირველადი ვერდიქტი, რომლითაც რიბერის ქმედება კანონიერად შეაფასა. მაგრამ "გალამ" მიიჩნია, რომ მისი ინტერესები ფეხქვეშ გაითელა. ამიტომ აპელაციით, ლოზანაში, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა. "გალათასარაის" რიბერის დაბრუნების პრეტენზია არ აქვს, მაგრამ "ოლიმპიკს" ფეხბურთელის სატრანსფერო თანხას ედავება. ეს თანხა, როგორც აღვნიშნეთ, 10 მილიონია. ფრანგები ერთი ცენტის გადახდასაც კი არ აპირებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVI ტურის წინ

# ბოლოს და ბოლოს, მოიგებს შალკე?

## დოლზე აქტივებული დორტმუნდი ნიურნბერგს ემუქრება!


დოლი საქმეს შეუდგა

| გუშინ | |
|---|---|
| ჰერტა-კოტბუსი | 0:1 |
| **დღეს** | |
| აინტრახტი-ბაიერნი | |
| ჰანოვერი-ჰამბურგი | |
| ბორუსია (დ)-ნიურნბერგი | |
| შალკე-შტუტგარტი | |
| ალემანია-არმინია | |
| ვოლფსბურგი-ბოხუმი | |
| **ხვალ** | |
| ლევერკუზენი-ბორუსია (მ) | |
| ვერდერი-მაინცი | |

ორი დღის წინათ **მირკო სლომკამ** "შალკესთან" კონტრაქტი 2009 წლამდე გააგრძელა. დღეიდან კი **ლევან კობიაშვილის** გუნდისთვის გადამწყვეტი კვირა იწყება. გელზენკირხენელი ფანები ოთხმატჩიანი მოუგებელი სერიის შეწყვეტას (მხოლოდ 2 ქულა შესაძლო 12-ის ნაცვლად) იმედოვნებენ - დღეს S04 მესამეადგილოსან "შტუტგარტს" მასპინძლობს, გუნდს, რომელსაც ძალიან დიდი ხანია, რაც გელზენკირხენში წარმატებისთვის არ მიუღწევია (შვაბებმა "შალკეს" გასვლაზე ბოლოს 1997/98 წლების სეზონში მოუგეს). ბოლო 8 საშინაო შეხვედრიდან კობის გუნდს "შტუტგარტი" 7-ჯერ ჰყავს დამარცხებული და სლომკას ოპტიმისტურად ეს სტატისტიკაც განაწყობს. გარდა ამისა, "ხუმარების" ლაზარეთი ნელ-ნელა ცარიელდება - გუნდს უკვე შეუერთდნენ **პეტერ ლოვენკრანდსი, სიორენ ლარსენი, ჯერალდ ასამოა** და **კრისტიან პანდერი**. დისკვალიფიკაცია მოიხადა და თამაში შეუძლია **დარიო როდრიგესსაც**. წამყვანი ფეხბურთელებიდან ლაზარეთში მხოლოდ **გუსტავო ვარელალაა** დარჩენილი (**ლინკოლნი** დისკვალიფიცირებულია). საკადრო პრობლემები შვაბური კლუბის თავკაც **არმინ ფეესაც** შეუმცირდა - ლაზარეთიდან დაბრუნდნენ **მეირა, ჰილდებრანდი** და **ფარნერუდი**. სამაგიეროდ, ტრავმირებულია ბომბარდირი **მარიო გომესი** და მასთან ერთად თამაში არ შეუძლია ცენტრალურ მცველ **ტასკისაც**.

"ბაიერნი" ჯერ ისევ მე-4 ადგილზეა და მიუნხენელებს ნამდვილად არ ეწყინებათ, თუკი "შტუტგარტი" გელზენკირხენში წააგებს, რადგან რეკორდმასტერის პროგრამა მინიმუმი სამეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. გუშინწინ **ოტმარ ჰიტცფელდმა** მიუნხენურ გრანდთან ახალი კონტრაქტი გააფორმა და ასე ვთქვათ, "ბაიერნში" ყველა კმაყოფილია. დღეს ჰიტცფელდს თავისი სამწყსო ფრანკფურტში ჩაჰყავს. **ფრიდჰელმ ფუნკელის** გუნდი მე-16 ადგილზე, ანუ გასავარდნ ზონაშია და ყველაფერს გააკეთებს, რათა რეკორდმასტერს 3 ქულა არ დაანებოს. ფრანკფურტელთა უმთავრესი იმედი იაპონელი ფორვარდი **ნაოჰირო ტაკაჰარაა**, რომელმაც ბოლო 4 შეხვედრაში 5 გოლის გატანა შეძლო. საინტერესო გახლავთ ის ფაქტი, რომ "ბაიერნმა" ფრანკფურტში უკანასკნელად 1998/99 წლების სეზონში წააგო (0:1). საერთოდ კი, "კომერცბანკარენაზე" მხოლოდ 7 მარცხი აქვს ნაწვენევი (16 მოგება, 13 ფრე).

მე-13 ადგილამდე ჩამოქვეითებული და მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის საფრთხის წინაშე დამდგარი დორტმუნდის "ბორუსია", რომელმაც შუა კვირაში მწვრთნელი გამოიცვალა (გადამდგარი **იურგენ რიობერის** ნაცვლად **თომას დოლი** დაინიშნა), "ნიურნბერგს" მასპინძლობს. დოლს ძალიან უნდა, რომ დებიუტშივე მოიგოს და სტატისტიკას თუ ვენდობით, სურვილი უნდა აუხდეს - ბოლო 8 საშინაო შეხვედრიდან "დორტმუნდმა" "ნიურნბერგს" 7 მოუგო. თანაც, **ჰანს მაიერის** გუნდს მცირე კრიზისი აქვს - ფრანკებმა ბოლო 3 თამაშში მხოლოდ 1 ქულა აიღეს. მიუხედავად ამისა, "ნიურნბერგს" მთელ ლიგაში ყველაზე ცოტა, 4 ნაგება აქვს. "რკინის ჰანსს" **მარკუს შროთის** დაბრუნების იმედი აქვს.

"ჰამბურგი" "ჰანოვერს" სტუმრობს. აღსანიშნავია, რომ "წითლებმა" საკუთარ კედლებში უკანასკნელად 12 ნოემბერს წააგეს ("შტუტგარტთან" 1:2) და მას მერე რიგ-რიგობით ხან ფრეს თამაშობენ, ხანაც იგებენ. წინა ტურში "ჰანოვერმა" შინ შალკესთან" 1:1 ითამაშა და ლოგიკურად, ახლა უნდა მოიგოს, მაგრამ ეს "ჰამბურგი" იოლი დასამარცხებელი აღარაა - მას მერე, რაც HSV-ს სათავეში **ჰუუბ სტევენსი** ჩაუდგა, ჩრდილოელებმა 6 თამაშში 13 ქულა მოიპოვეს და გასავარდნი ზონა დატოვეს. "ჰამბურგს" დღეს დისკვალიფიკაციამოხდილი **დავიდ იაროლიმი** უბრუნდება.

"დორტმუნდის" დამარცხების შემდეგ (2:0, ორივე გოლი **თეოფანის გეკასმა** გაიტანა), "ბოხუმის" ხელმძღვანელებმა მთავარ მწვრთნელ **მარსელ კოლერს** კონტრაქტი ერთი წლით გაუხანგრძლივეს. დღეს რურელები "ვოლფსბურგს" სტუმრობენ. გასულ კვირაში მწვრთნელის საკითხი წინა პლანზე იყო ბილეფელდის "არმინიაშიც", სადაც 4 მატჩის შემდეგ **ფრანკ გაიდეკმა** ისევ ასისტენტის პოსტი დაიკავა, მთავარ მწვრთნელად კი **ერნსტ მიდენდორპი** დაინიშნა. ამ უკანასკნელს დღეს დებიუტი აქვს - ბოლოსწინა ადგილზე მყოფი ბილეფელდელები აახენში ჩადიან.

ხვალ უეფას თასის მეოთხედფინალში გასული და ბოლო დროს ათამაშებული "ლევერკუზენი" მიონხენგლადბახის "ბორუსიას" მიიღებს, "ვერდერი" კი, რომელმაც ასევე წარმატებით გადალახა უეფას თასის მერვედფინალის ბარიერი, "მაინცს" დაუხვდება. შეგახსენებთ, რომ "მაინცში" ყოფილი ბრემენელები, **მოჰამედ ზიდანი** და **ლეონ ანდრეასენი** თამაშობენ. ისინი ჯუჯა გუნდში იანვარში გადავიდნენ და ძალიან კარგად ათამაშდნენ - ზიდანმა მეორე წრეში უკვე 7 გოლის გატანა მოასწრო, ანდრეასენმა კი ოთხის...

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 25 | 15 | 5 | 5 | 41-25 | 50 |
| 2. ვერდერი | 25 | 14 | 5 | 6 | 59-33 | 47 |
| 3. შტუტგარტი | 25 | 13 | 7 | 5 | 42-29 | 46 |
| 4. ბაიერნი | 25 | 13 | 5 | 7 | 39-30 | 44 |
| 5. ნიურნბერგი | 25 | 8 | 13 | 4 | 36-24 | 37 |
| 6. ლევერკუზენი | 25 | 10 | 6 | 9 | 39-35 | 36 |
| 7. ჰანოვერი | 25 | 9 | 7 | 9 | 33-37 | 34 |
| 8. ჰერტა | 26 | 9 | 7 | 10 | 36-42 | 34 |
| 9. კოტბუსი | 26 | 8 | 7 | 11 | 29-36 | 31 |
| 10. ალემანია | 25 | 8 | 6 | 11 | 39-45 | 30 |
| 11. მაინცი | 25 | 7 | 9 | 9 | 23-35 | 30 |
| 12. ვოლფსბურგი | 25 | 6 | 11 | 8 | 24-28 | 29 |
| 13. ჰამბურგი | 25 | 5 | 13 | 7 | 29-27 | 28 |
| 14. ბორუსია (დ) | 25 | 7 | 7 | 11 | 29-37 | 28 |
| 15. ბოხუმი | 25 | 7 | 6 | 12 | 29-39 | 27 |
| 16. აინტრახტი | 25 | 5 | 12 | 8 | 32-44 | 27 |
| 17. არმინია | 25 | 6 | 8 | 11 | 31-34 | 26 |
| 18. ბორუსია (მ) | 25 | 6 | 6 | 13 | 21-31 | 24 |


იენს ლემანი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლემანი და ჰერტა: რაღაც ხდება!

## ბერლინელები 31 წლის ფიდლერით უკმაყოფილოები არიან...

გუშინ "ბილდმა" საიდუმლო და სანდო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ბერლინის "ჰერტა" ლონდონის "არსენალისა" და გერმანიის ნაკრების კარის დარაჯ **იენს ლემანის** გადაბირებას აპირებს. როგორც იცით, 37 წლის გოლკიპერს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზა, "მეთოფეებთან" კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და ახალი ხელშეკრულება ჯერ არ გაუფორმებია. ორი კვირის წინათ ლემანმა ჩვენს გერმანელ კოლეგებთან საუბრისას თქვა, რომ სიამოვნებით დაბრუნებოდა გერმანიაში, მაგრამ იქვე დაამატა, სამწუხაროდ, ჩემი გადაბირების სურვილი ჯერჯერობით არცერთმა გერმანულმა კლუბმა არ გამოთქვაო. როგორც ჩანს, ამ ორი კვირის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა.

"ბილდი" გვაუწყებს, რომ "ჰერტამ" ლემანს კარი გაუღო. ცნობილია, რომ ბერლინელები ამჟამინდელი მეკარით, **კრისტიან ფიდლერით** უკმაყოფილოები არიან, რადგან ამ უკანასკნელმა მეორე წრეში უკვე 17 გოლის გაშვება მოასწრო და განსაკუთრებით ცუდად სტანდარტული მდგომარეობების დროს გამოიყურებოდა. დედაქალაქელთა გენერალური მენეჯერი **დიტერ ჰიონესი** ლემანით დაინტერესებას არც ადასტურებს და არც უარყოფს, ბევრი ფეხბურთელის გადაბირება გვსურს, მაგრამ გვარებს არ დავასეხელებო. სამაგიეროდ, ჰიონესი ღიად აცხადებს, რომ მომდევნო სეზონში ფიდლერს ვეღარ ენდობა და რომ მის გუნდს ახალი მეკარე სჭირდება.

ცნობილია, რომ ბერლინულ კლუბს დაახლოებით 46 მილიონი ევროს ოდენობის ვალი აქვს. მაშ, როგორ უნდა უხადოს ჰიონესმა ლემანს ხელფასი? ფაქტია, რომ იენსი წელიწადში მინიმუმ 4 მილიონს მოითხოვს. "ბილდის" ცნობით, "ჰერტას" ბოსების გეგმით, ბუნდესმეკარეს ჯამაგირს კერძო ინვესტორი გადაუხდის და არა გუნდი. ზემოთ ხსენებული გამოცემა იმასაც წერს, რომ ლემანთან ერთად "ჰერტაში" რეგიონალლიგელი "ჰოფენჰაიმის" ახალგაზრდა გოლკიპერი **ტორსტენ კირშბაუმიც** უნდა გადავიდეს. ეს უკანასკნელი 19 წლისაა. კირშბაუმი შალკელ **მანუელ ნოიერთან** და ლევერკუზენელ **რენე ადლერთან** ერთად გერმანიაში ერთ-ერთ უნიჭიერეს და უდიდესი მომავლის მქონე მეკარედ ითვლება. აქვე შეგახსენებთ, რომ ლემანი ჩემპიონთა ლიგის მოქმედი რეკორდსმენია - მან შარშანდელ სეზონში 852 წუთის მანძილზე კარი მშრალად შეინახა...

ჰოლანდიის ნაკრები

# ვან დერ სარი, მარკოს თავსატეხი

**მარკო ვან ბასტენის** ყველაზე დიდი პრობლემაა **ედვინ ვან დერ სარის** ტრავმა. რუმინეთსა და სლოვენიასთან მატჩებში ძირითადი მეკარის თამაში საეჭვოა. მას წვივის ტრავმა აქვს. ვან დერ სარი განაცხადში მაინც შეიყვანეს, თუმცა მისი თამაშის საკითხი მოგვიანებით გადაწყდება. ტრავმის გამო, ნაკრებს მიღმა დარჩა "სელტიკის" თავდამსხმელი **იან ვენეგოორ ოფ ჰესელინკი**. მისი ადგილი ალკმაარელმა **დენი კუვერმანსმა** დაიკავა. ეს კუვერმანსის პირველი კეპია. ვან ბასტენი: *"აქამდე ნაჩვენები შედეგით კმაყოფილები ვართ (ჰოლანდიას ოთხ მატჩში ათი ქულა აქვს და ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერია), თანაც თუ მხედველობაში მივიღებთ დაშავებული ფეხბურთელების რაოდენობას, მაგრამ მოდუნების დრო არ არის. მომდევნო მატჩებსაც სრული მობილიზებით უნდა შევხვდეთ."*

**მეკარეები** - ედვინ ვან დერ სარი (მანჩესტერ იუნაიტედი), მაარტენ სტეკელენბურგი (აიაქსი), ჰენკ ტიმერი (ფეიენოორდი);

**მცველები** - ხალიდ ბულარუზი (ჩელსი), ვილფრედ ბუმა (ასტონ ვილა), ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი (ბარსელონა), ტიმ დე კლერი (ალკმაარი), ურბი ემანუელსონი (აიაქსი), ჯონი ჰეიტინგა (აიაქსი), კიუ იალიენსი (ალკმაარი), იორის მატიისენი (ჰამბურგი);

**ნახევარმცველები** - იბრაჰიმ აფელეი (ეინდჰოვენი), ნაიჯელ დე იონგი (ჰამბურგი), დენი ლანდზაატი (ვიგანი), კლარენს ზეედორფი (მილანი), ვესლი სნეიდერი (აიაქსი), რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი), დემი დე ზეეუვი (ალკმაარი);

**თავდამსხმელები** - რაიან ბაბელი (აიაქსი), კლაას იან ჰუნტელაარი (აიაქსი), დენი კუვერმანსი (ალკმაარი), დირკ კუიტი (ლივერპული), არიენ რობენი (ჩელსი).


ედვინ ვან დერ სარი

გერმანიის ნაკრები

# ლიოვის სამი დებიუტანტი

## ბუნდესმწვრთნელს პრაღაში კისლინგი, კასტრო და ჰილბერტი მიჰყავს...

ჩეხეთთან მატჩისთვის, რომელიც 24 მარტს პრაღაში გაიმართება, გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ერთბაშად სამი ახალწვეული გამოიძახა, რაც იმით გახლავთ განპირობებული, რომ იოგის არაერთი წამყვანი მოთამაშე ჰყავს ტრავმირებული. რაც შეეხებათ ახლებს, ესენი არიან "ლევერკუზენის" 19 წლის მცველი **გონსალო კასტრო** და 23 წლის ფორვარდი **შტეფან კისლინგი**. ასევე "შტუტგარტის" 22 წლის ნახევარმცველი **რობერტო ჰილბერტი**. *"კასტრო, კისლინგი და ჰილბერტი უაღრესად პერსპექტიული მოთამაშეები არიან და მათ ეს შანსი დაიმსახურეს,"* - განაცხადა ლიოვმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ბუნდესმწვრთნელს განსაკუთრებით ბევრი პრობლემა თავდასხმაში აქვს, რადგან ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი **მარიო გომესი**, მიონხენგლადბახელი ვეტერანი **ოლივერ ნოივილი** და ვოლფსბურგელი **მაიკ ჰანკე** ტრავმირებულები არიან, **მიროსლავ კლოზე** კი დისკვალიფიცირებული გახლავთ. შესაბამისად, ჩეხეთთან მატჩმა **ლუკას პოდოლსკის, კევინ კურანის**, კისლინგისა და **იან შლაუდრაფის** მხრებზე უნდა გადაიაროს. 28 მარტს გერმანია ამხანაგურად უმასპინძლებს დანიის ნაკრებს (დიუსელდორფში), რის გამოც ლიოვმა **ფრიტცი** (ჩეხეთთან მატჩისთვის დისკვალიფიცირებულია), **მადლუნგი, ფრაიერი** და **შულცი** თადარიგში დაიტოვა.


შტეფან კისლინგი

გერმანიის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** იენს ლემანი (არსენალი), რობერტ ენკე (ჰანოვერი), ტიმო ჰილდებრანდი (შტუტგარტი).

**მცველები:** გონსალო კასტრო (ლევერკუზენი), მანუელ ფრიდრიხი (მაინცი), მარსელ იანსენი (გლადბახი), ფილიპ ლამი (ბაიერნი), პერ მერტეზაკერი (ვერდერი), კრისტოფ მეტცელდერი (დორტმუნდი).

**ნახევარმცველები:** მიხაელ ბალაკი (ჩელსი), ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი), რობერტო ჰილბერტი (შტუტგარტი), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), თომას ჰიტცლშპერგერი (შტუტგარტი), ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი).

**თავდამსხმელები:** შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), კევინ კურანი (შალკე), ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი), იან შლაუდრაფი (ალემანია).

**სათადარიგო კანდიდატები:** კლემენს ფრიტცი (ვერდერი), ალექსანდერ მადლუნგი (ვოლფსბურგი), კრისტიან შულცი (ვერდერი), პაულ ფრაიერი (ლევერკუზენი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელბურთი



იმედი-შევარდენი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი

# ნაგებული მეკარის ბენეფისი

**მამული-ქარიშხალა 19:33**

მამული: ხონელიძე, ადუაშვილი; მამაცაშვილი (1), ბესტავაშვილი, შალვაშვილი, კიზირია (3), მოციქულაშვილი (3), შათირიშვილი (6), გველესიანი (1), შონია (5), ი. გელაშვილი, შ. დორეული

ქარიშხალა: გ. ტორონჯაძე, ქანთარია; სხიერელი (6), ი. ტორონჯაძე (5), მუმლაძე, სეთურიძე (2), მელქოშვილი (10), ჯობავა (1), ა. ამირანაშვილი (3), ო. ამირანაშვილი (1), ფერაძე (3), მანძულაშვილი, ლობჟანიძე (1), ჩიხლაძე (1)

მსაჯები: ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი

**იმედი-შევარდენი 18:32**

იმედი: გონჩაროვი, ვახანია; ჟღენტი, ქარდავა (3), კვერნაძე (6), ცოტაძე (3), მაისურაძე (3), ყაველაშვილი (3), ბერიაშვილი, ლომიძე, კერესელიძე, ბიდოდაშვილი, თეთრუაშვილი, საბანაშვილი

სტუ-შევარდენი: ბალაშვილი, სამყურაშვილი; გოგალაძე (1), ა. ყიფიანი (2), სიგუა (1), ნიკოლაიშვილი, ბერძენიშვილი (2), მსხვილიძე, გ. ჩიქოვანი (3), კობახიძე (6), საჯაია, ი. ჩიქოვანი (1), ჩუბინაშვილი (3), ტალახაძე (13)

მსაჯები: ელენე არაბული, ინა ჭკუასელი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 6 | 0 | 0 | 179-67 | 12 |
| სტუ-შევარდენი | 6 | 5 | 0 | 1 | 190-85 | 10 |
| ქარიშხალა | 5 | 2 | 1 | 2 | 134-142 | 5 |
| იმედი | 7 | 2 | 1 | 4 | 180-236 | 5 |
| მამული | 7 | 0 | 0 | 7 | 133-138 | 0 |

ბომბარდირები: რამაზ შონია (მამული, 53), გიორგი ნივნივაძე (თბილისი, 47)

**შემდეგი ტური. 22 მარტი**

**შევარდენი-თბილისი (სტუ)**
**იმედი-ქარიშხალა (ასკ)**

რაც "მამული" არსებობს, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ზედიზედ შვიდჯერ წაეგოს. არც ისე შორეულ წარსულში, ეს გუნდი სისტემატურად პრიზიორთა შორის იყო და ამდენი ნაგება მთელი სეზონის განმავლობაშიც კი არ უგროვდებოდა ხოლმე. თუმცა, ბოლო ორი წელია, გუნდს სერიოზული კრიზისი უდგას. არ რიგდება ხელფასები, წამყვანი ხელბურთელები კი ერთმანეთს ასწრებენ უკეთეს გუნდებში გადასვლას - ბოლო ორ წელიწადში, გუნდი თერთმეტმა ხელბურთელმა დატოვა. ასეთ ვითარებაში სულაც არაა გასაკვირი "მამულის" კოშმარული სერია. საერთოდ, წლევანდელ ჩემპიონატში გუნდები სამ კატეგორიად იყოფიან: ჩემპიონობის მაძიებლებად ("შევარდენი" და "თბილისი"), ბრინჯაოს მედლისთვის მებრძოლებად ("ქარიშხალა" და "იმედი") და უიმედო აუტსაიდერ "მამულად"...

შესავლის შემდეგ, ადვილად მიხვდებოდით, რომ გუშინ, პირობითმა მასპინძელმა "მამულმა" ზედიზედ მეშვიდე მარცხი განიცადა "ქარიშხალასთან". პირობითი მასპინძელი იმიტომ ვთქვით, რომ **რეზო ჭანტურიას** გუნდი საშინაო მატჩებს გლდანის დარბაზში ატარებს, რომელიც "ქარიშხალას" ბაზაა...

როგორც წინა ტურში, გუშინაც მხოლოდ პირველი ტაიმის საწყის 20 წუთში ეყოთ ძალა მამულელებს მეტოქისთვის წინააღმდეგობის გასაწევად. მეორე ტაიმს, "ქარიშხალა" რვაბურთიანი უპირატესობით შეხვდა და გადაღლილ მეტოქესთან გამარჯვების შენარჩუნება ალარ გასჭირვებია. აღსანიშნავია, რომ ქარიშხალელებს აკლდათ ორი წამყვანი ხელბურთელი - **ზაალიშვილს** ორი დღის წინ ხელი მოუტეხია, **ჯოხარიძეს** კი სიცხე ჰქონდა. გლდანელთა სამწუხაროდ, გუშინ, კიდევ ერთი ხელბურთელი დაუშავდათ - **ოთარ ამირანაშვილმა** დაიშავა ხელი...

ტურის მეორე მატჩს ორი გმირი ჰყავდა - "იმედის" მეკარე **ალექსანდრე გონჩაროვი** და სტუ-"შევარდენის" ხელბურთელი **აკაკი ტალახაძე**. აკაკიმ წინა ტურში 9 გოლი შეაგდო, გუშინ კი - 13 და თუ ასე გააგრძელა, სერიოზულ პრეტენზიასაც განაცხადებს ბომბარდირობაზე. თუკი საქართველოს ნაკრების წევრ ტალახაძის თამაში მოულოდნელობა არ ყოფილა, "იმედის" 22 წლის მეკარე გონჩაროვმა სასიამოვნოდ გაგვაოცა - ერთ მატჩში სამი პენალტის მოგერიებასა და ოცამდე ურთულესი დარტყმის უკუგდებაზე ალბათ ნებისმიერი სუპერმეკარე სიამოვნებით მოაწერდა ხელს. ერთადერთი, რასაც გუშინ გონჩაროვის ბენეფისის გაუფერულება შეეძლო, მისი გუნდის დამარცხება იყო, მაგრამ ამას ალბათ "იმედის" ყველა მოთამაშე შეგუებული იყო. მართალია, ეს გუნდი საკმაოდ პერსპექტიულია, მაგრამ ამ ეტაპზე, ქვეყნის 16-გზის ჩემპიონი, რეალურად, უფრო ძლიერია. მოკლედ, გუშინ, ირაკლი კეკელიძის სამწყსომ სასტარტო მღელვარების შემდეგ, ნელ-ნელა დაალაგა თამაში და მშვიდად შეძლო დაგეგმილი ორი ქულის განაღდება.

**შემდეგ ტურში, 22 მარტს, ორი დიდი ბრძოლა გველის. ერთმანეთს ხვდებიან ჩემპიონობისთვის მებრძოლი გუნდები - "შევარდენი" და "თბილისი" და ბრინჯაოს მაძიებლები - "ქარიშხალა" და "იმედი".**

**კობა ხატისაშვილი**

## თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიო თასი

# ლუკა თასზე, ესე იგი, გიორგი ჩემპიონატზე?

საქართველოს ნაკრები ბორჯომში ემზადება ევროპის ჩემპიონატისთვის, თუმცა ჩვენები იქამდე 22-25 მარტს, კრასნოიარსკში, მსოფლიო თასზეც გამოვლენ. ნაკრების თავკაცმა **ზაზა თურმანიძემ** უკვე დაასახელა რუსეთში წასაყვანი შემადგენლობა: **გოჩა კირკიტაძე** (55), **ლევან ჩაბრაძე** (60), **ოთარ თუშიშვილი** (66), **დავით ახალმოსულიშვილი** (74), **რევაზ მინდორაშვილი** (84), **ლუკა კურტანიძე** (96), **დავით მოძმანაშვილი** (120).

ეს შემადგენლობა ჩვენთვის ორმაგად საინტერესოა, რადგან ის მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ევროპის პირველობაზე წასაყვან გუნდსაც. მას შემდეგ, რაც ციმბირში წასვლა გადაწყდა, თურმანიძემ განაცხადა, რომ შემადგენლობას მსოფლიო თასსა და ევროპის პირველობას შორის გაანაწილებდა: ნაწილი თასზე წავიდოდა, ნაწილიც - ევროპაზე.

ცხადია, მთავარი საკითხი ეს იყო - ვინ იჭიდავებდა ევროპის პირველობაზე - **ლუკა კურტანიძე** თუ **გიორგი გოგშელიძე**. წლეულს გოგშელიძემ კონკურენტს ტაშკენტში, „ოქროს დიდი პრიზის" ფინალში მოუგო. საქართველოს ჩემპიონატზე ერთმანეთს არ შეხვედრიან, მაგრამ გოგშელიძე ჩემპიონი გახდა, კურტანიძე კი მესამეზე გავიდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე გოგშელიძე იჭიდავებს, თუმცა თურმანიძე საევროპო ნაკრებზე საუბარს კატეგორიულად გაურბის და აცხადებს, რომ დაელოდება მსოფლიო თასის შედეგებს, დააკვირდება, იქ ვინ როგორ იჭიდავებს და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მერე მიიღებს.

კრასნოიარსკის შემადგენლობაში ცოტა მოულოდნელია **დავით მოძმანაშვილის** გამოჩენაც. მან იმდენად დამაჯერებლად მოიგო საქართველოს ჩემპიონატი, თითქოს ევროპაზე გამოსვლას წინ არაფერი ედგა. არ ვამტკიცებთ, რომ წასვლა ახლა გახდა საეჭვო, მაგრამ არც იმას ველოდით, მწვრთნელი ახალგაზრდა ფალავანს ევროპის პირველობამდე სამი კვირით ადრე ასე თუ დატვირთავდა. დაახლოებით იმავეს თქმა შეიძლება 66 კილოგრამის აშკარა ლიდერ **ოთარ თუშიშვილზეც**. რაც შეეხება **რევაზ მინდორაშვილს**, თავიდანვე გამოცხადდა, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი ევროპის პირველობას გამოტოვებს. ეს ტურნირი 17-22 აპრილს სოფიაში გაიმართება.

ჩვენები კრასნოიარსკში 20 მარტს გაფრინდებიან. ტურნირის საპრიზო ფონდი 150 ათასი აშშ დოლარია. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასი გუნდური ტურნირია. კრასნოიარსკში ამერიკელები, უკრაინელები, უზბეკები და ირანელები გამოვლენ, უმეტესობა - შესუსტებული შემადგენლობით. უძლიერესი გუნდით არც მასპინძლები იქნებიან, მაგრამ ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავეები მაინც მათ ეყოლებათ. მათმა თავკაცმა **ჯამბულათ თედეევმა** ნაკრებში შეიყვანა: **ჯამალ ოთარსულთანოვი** (55), **მავლეტ ბატიროვი** (60), **ზაურ ბოტაევი** და **შამილ ბატიროვი** (66), **დენის ცარგუში** და **სერგეი ვიტკოვსკი** (74), **საჟიდ საჟიდოვი** (84), **ჰაჯიმურატ გაცალოვი** (96), **ალექსეი შემაროვი** და **ალი ისაევი** (120).

დასასრულ იმასაც გეტყვით, რომ დღეს და ხვალ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები რიგის საერთაშორისო ტურნირში იჭიდავებს. ნაკრების თავკაცმა **ნუგზარ სხირელმა** იქ 10-კაციანი გუნდი წაიყვანა. უფროსებისა არ იყოს, ესენიც ევროპის პირველობისთვის ემზადებიან.

**ირაკლი თავაძე**

## ანტიკური ჭიდაობა

# სოფიამდე არაფერი გეტკინოთ

საქართველოს ნაკრები ხვალ მინსკში მიემგზავრება, სადაც ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად სტაიკის ოლიმპიურ ბაზაზე ორკვირიან შეკრებას გაივლის. იქ ჩვენებთან ერთად კიდევ ხუთი ნაკრები ივარჯიშებს. სამწუხაროდ, **ბეგი დარჩიას** იქ სრული გუნდი ვერ მიჰყავს - ნაკრებს მძიმეწონოსანი **რევაზ ჭელიძე** გამოაკლდა, რომელმაც მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ვერც 17-22 აპრილს სოფიაში გამოვა ევროპის პირველობაზე - იგი ანთალიაში, მსოფლიო თასზე დაშავდა.

დარჩიას მინსკში ნაკრებში მოხვედრის ყველა სავარაუდო კანდიდატი მიჰყავს: **ირაკლი ჭოჭუა** და **ლაშა გოგიტაძე** (55), **დავით ბედინაძე** და **რევაზ ლაშხი** (60), **მუხრან მაჭუტაძე** და **ლაშა ლომაძე** (66), **მანუჩარ კვირკველია**, **შმაგი გულიაშვილი** და **გენადი გოგიშვილი** (74), **ბადრი ხასაია** და **შალვა გადაბაძე** (84), **რამაზ ნოზაძე** (96).

სამწუხაროდ, ჭელიძის ტრავმა დარჩიას ერთადერთი პრობლემა როდია - ანთალიაში დაშავდა ნოზაძეც, ორი დღის წინ ვარჯიშზე ნეკნი იტკინა ჭოჭუამ, გუშინ დილის ვარჯიშზე კი ანალოგიური ტრავმა მიილო კვირკველიამ... ევროპის პირველობამდე ჯერ საკმაო დროა და, იმედია, გამოჯანმრთელებას მოასწრებენ.

## სამბო



ნუგზარ სუარიძის ფოტო

# შერჩევა რიგისთვის

გუშინ დილმის საჭიდაო კომპლექსში დასრულდა ახალგაზრდა სამბისტთა საქართველოს პირველობა, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელი შემადგენლობა უნდა გამოევლინა. ამ ფაქტორმა მონაწილეები ბლომად მიიზიდა და 23 რაიონის 212 სპორტსმენი მოგროვდა. ხალვათობა მხოლოდ მძიმე წონაში იყო, სადაც სულ სამი ფალავანი ჭიდაობდა და ერთი ბრინჯაოს მედალი გაუთამაშებელი დარჩა.

ევროპის პირველობა 17-21 მაისს რიგაში იმართება - ერთდროულად სამივე ასაკობრივ ჯგუფში - ჭაბუკებში, ახალგაზრდებსა და უფროსებში. როგორც ახალგაზრდული ნაკრების თავკაცმა **ბადრი ჯანიაშვილმა** გვითხრა, ჩემპიონებმა უკვე გაინაღდეს ადგილი ნაკრებში.

ტურნირის პარალელურად იმავე დარბაზში ეროვნულის თავკაცმა **ოლეგ იაძემ** შესარჩევი ტურნირი ორ წონაში - 62-ში და 100-ში ჩაატარა, რადგან აქ საევროპო ნაკრებში ვაკანსიები ღიად რჩებოდა. შეხვედრები ორივე წონაში დაძაბულად წარიმართა, თუმცა განსაკუთრებული მოულოდნელობები არ მომხდარა და საბოლოოდ ფინალებში ფავორიტები გავიდნენ.

62-ში გადამწყვეტ შეხვედრაში ბრძოლის უფლება **ლევან ქოჩიევმა** და ძიუდოისტმა **დავით სვიმონიშვილმა** მოიპოვეს. შეხვედრა სვიმონიშვილის უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დასრულდა, რასაც მეტოქის ბანაკი მძაფრი პროტესტით შეხვდა. ვფიქრობთ, სავსებით უსაფუძვლოდ, რადგან ქოჩიევი უჩვეულოდ დუნედ ჭიდაობდა. გეგონებოდა, მოგება დიდად არც ანაღვლებდა. გაცილებით მშვიდად წარიმართა 100-ის ფინალი, რომელშიც ნაკრების აქამდელმა ლიდერმა **მირიან პავლიაშვილმა** აშკარად დაჯაბნა მეტოქე.

ახლა ეროვნულ ნაკრებში თავისუფალი ერთადერთი ადგილი დარჩა - 57-ში ჯერ ისევ გაურკვეველია **გელა ბარათაშვილისა** და **ავთანდილ ცინცაძის** კონკურენცია. ამ წონაში სულ ორი პრეტენდენტია და იაძემ გადაწყვიტა, საკითხი შეკრებაზე, საკონტროლო შეხვედრით გადაჭრას. ამდენად, რიგაში, ევროპის პირველობაზე იჭიდავებენ **უშანგი კუზანაშვილი** (52), **გელა ბარათაშვილი** ან **ავთანდილ ცინცაძე** (57), **დავით სვიმონიშვილი** (62), **გელა სანიკიძე** (68), **დავით შენგელია** (74), **ნიკოლოზ კუცია** (82), **მინდია ბოდაველი** (90), **მირიან პავლიაშვილი** (100) და **ზვიად ჩინჩალაძე** (მძიმე).

**საქართველოს ჩემპიონატი. ახალგაზრდები**

**48 კგ**
1. გიორგი გუჯაბაძე (კასპი)
2. თამაზ ნოზაძე (ხაშური)
3. გენადი ჩირგაძე (ქუთაისი)
3. გიორგი გაფრინდაშვილი (საჩხერე)

**52 კგ**
1. გიორგი წიკლაური (თბილისი)
2. ნუკრი მიღრიჯანაშვილი (თბილისი)
3. გიორგი სანამიანი (გორი)
3. თემურ ნასყიდაშვილი (ზესტაფონი)

**57 კგ**
1. ბეთქილ შუკვანი (თბილისი)
2. ლევან ჩუბინიძე (ზესტაფონი)
3. ზვიად ოდოშაშვილი (კასპი)
3. იოსებ ჭოლაძე (ქუთაისი)

**62 კგ**
1. მერაბ შერვაშიძე (ქუთაისი)
2. შალვა ქარდავა (ლენტეხი)
3. ავთანდილ ქოთუაშვილი (გორი)
3. შოთა ბექიტაშვილი (თბილისი)

**68 კგ**
1. გოდერძი ქინქლაძე (ახმეტა)
2. გიორგი შიუკაშვილი (გორი)
3. ავთანდილ სვანიძე (ვანი)
3. რევაზ ხელაძე (ქუთაისი)

**74 კგ**
1. ჯაბა მჭედლიშვილი (თელავი)
2. გიორგი იაძე (თბილისი)
3. ოთარ ტატულაშვილი (გორი)
3. ზაურ დევაძე (თბილისი)

**82 კგ**
1. დავით კარბელაშვილი (თბილისი)
2. ნიკოლოზ კუცია (ფოთი)
3. პაატა ლვინიაშვილი (გორი)
3. იასონ ჩილინდრიშვილი (გორი)

**90 კგ**
1. გოდერძი ჯავახაძე (ქუთაისი)
2. ვალერი ცოციაშვილი (თბილისი)
3. შოთა ჯავახაძე (თბილისი)
3. შოთა ყაველაშვილი (რუსთავი)

**100 კგ**
1. ნუგზარ ბადაშვილი (გორი)
2. გურამ ლონდაძე (ქუთაისი)
3. შოთა ჭიჭიბოშვილი (ყვარელი)
3. მამია მამალაშვილი (თელავი)

**+100 კგ**
1. ვახტანგ ზოიძე (აჭარა)
2. დავით ბოჭორიშვილი (ქუთაისი)
3. ლევან ქინქლაძე (ახმეტა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ინტერვიუ ვაჟა კვარაცხელიასთან

# მივხედოთ სტუდენტურ კალათბურთს

**წინა სეზონში ვაჟა კვარაცხელია ჩვენი გაზეთის გვერდებს ხშირად სტუმრობდა - იგი ხან ფინიქსიდან გვიყვებოდა ნიკა ცქიტიშვილის ამბებს, ხან თავისი გუნდის, სსუ-ს შესახებ საუბრობდა. წლევანდელი სეზონის დასაწყისში სოხუმის უნივერსიტეტის საკალათბურთო გუნდმა სუპერლიგაში სათამაშოდ სათანადო ფინანსური მხარდაჭერა ვერ მიიღო და ეროვნული ჩემპიონატის გარეშე დარჩა. გუშინ ვაჟა კვარაცხელიასთან საუბარი სწორედ სსუ-თი დავიწყეთ.**

- წელს იძულებითი დასვენება მოგვიწია - გუნდის შესანახი თანხა ვერ გამოინახა. თუმცა, ეს დროებითი მოვლენა იყო, სსუ უმაღლეს ლიგაში დიდი ხანია თამაშობს და ვიმედოვნებ, საუკეთესო გუნდებს გაისად აღარ გამოაკლდება. საერთოდ, მინდა აღვნიშნო, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სტუდენტურ კალათბურთს საქართველოში ნაკლები ყურდაღება ექცევა.

**- კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

- ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ სტუდენტური სპორტის განვითარება არ აინტერესებთ. არადა, სწორედ სასწავლებლებში სპორტული სექციების გამართული მუშაობა განაპირობებს ახალგაზრდა თაობის სიჯანსაღეს. ევროპის არაერთ საკალათბურთო ქვეყანაში ვყოფილვარ, ესპანეთში, სლოვენიაში, იტალიაში... მაგრამ, ჩემი აზრით, კალათბურთი ყველაზე მეტად მაინც ამერიკაში უყვართ. იქაურ სასწავლებლებში სპორტს დიდი მხარდაჭერა აქვს, არ არსებობს კოლეჯი, რომელსაც ამერიკული ბურთაობის, კეტბურთისა და კალათბურთის გუნდები არ ეყოლება. ბოლო დროს ევროპული ფეხბურთიც ფეხს იკიდებს. ამერიკელებმა სპორტსმენების დაფასებაც იციან და ისიც არ ეშლებათ, როგორ დააინტერესონ ახალგაზრდები. სასწავლებლის გუნდში მოთამაშე სპორტსმენები სწავლის ქირისგან თავისუფლდებიან. მაგალითად, დავით ერქვანია მომავალ სეზონში ითამაშებს და ისწავლის ვაშინგტონის უნივერსიტეტში, რომლის ყოველწლიური გადასახადია 40 ათასი დოლარი. ერქვა, როგორც საკალათბურთო გუნდის წევრი, თანხას არ გადაიხდის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მსგავსი მიდგომა საქართველოშიც დადებით შედეგს გამოიღებს.

**- სტუდენტურ სპორტს ბიძგი ვინ უნდა მისცეს?**

- ეს განათლების სამინისტროს პრეროგატივაა, რომელმაც მხოლოდ აკრედიტაციის გაცემისას უნდა მიუთითოს - სასწავლებელს მუშაობის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა, თუ პასუხისმგებლობას აიღებს საფეხბურთო, სარაგბო ან საკალათბურთო გუნდის შექმნაზე. ხოლო, როცა მშობელს ეცოდინება, რომ კარგ სპორტსმენად აღზრდის შემთხვევაში მის შვილს სასწავლებელში გარკვეული შეღავათები ექნება, ყველანაირად ხელს შეუწყობს... ასეთი მიდგომა სტუდენტური სპორტის განვითარებას გამოიწვევს და სუპერლიგაში მოხვედრაც სერიოზული ბრძოლების შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამით ჩვენი კალათბურთი მხოლოდ მოიგებს, ნიჭიერი სპორტსმენი ორჯერ მეტი გამოჩნდება. საქართველოში კი პერსპექტიულთა სიმცირეს არასდროს შევუწუხებივართ. აგერ NBA-ში მოხვედრის კანდიდატია გიორგი შერმადინი. მის მერე რიგში დგას ნიკა მეტრეველი, რომელიც იტალიურ "რიმინიში" ვარჯიშობს და თანატოლ იტალიელებშიც გამოირჩევა... ლაშა ფარლალავა ფლორიდის "პენსაკოლა კოლეჯის" ძირითად ხუთეულშია და, როგორც მწვრთნელი აბმობს, დიდი პერსპექტივა აქვს. აქვე აღვნიშნავ, რომ გაისად ფარლალავას შეიძლება შეუერთდეს დიმიტრი ფაცაცია, რომელიც "ბარსელონაში" თამაშობდა. სხვათა შორის, "ბარსაში" ამჟამად ზურაბ ტომარაძის ვაჟი, კოკა ირიცხება...



ვაჟა კვარაცხელია

**- ამიერკავასიაში სააგენტო "ინტერპერფომანსის" წარმომადგენელი ბრძანდებით. საქართველოსთან მიმართებაში ამ სააგენტოს რამე გეგმა ხომ არ აქვს?**

- ვაპირებთ შეკრებას გუნდისა, რომელშიც ნიჭიერი ახალგაზრდები იქნებიან, ხოლო გამორჩეულებს კვალიფიკაციის ამაღლება ევროპაში შეეძლებათ. აქვე დავძენ, რომ სწორედ "ინტერპერფომანსის" დახმარებით ჩაირიცხა ლიტვის "ნეპტუნასში" სერგო ათუაშვილი, რომლისაც ზოგს აღარ სჯეროდა. იგი ლიტვაში წასვლისას 118 კგ-ს იწონიდა, ვარჯიშების წყალობით კი 140 კილოგრამამდე ავიდა. მწვრთნელს სერგოს დიდი იმედი აქვს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. XVII ტური

# ოთხი ორზე

| დღეს, ვერის პარკში | |
|---|---|
| 12:00 | მაკაბი-თბილავიამშენი |
| 14:00 | დინამო-აზოტი |
| 16:00 | სტუ-თსუ |

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" "მკითხავ-მოპასუხეთა" ძალები არათანაბრად გადანაწილდა - სტუ-ს მწვრთნელის **ნიკო ჩერქეზიშვილის**, მისი შეგირდის **ნოდარ ბერაიას**, თსუ-ს თავკაცის **ნუგზარ ჭეიშვილისა** და გუნდის კაპიტნის **შიო ხეცურიანის** წინაშე ორი ჟურნალისტი წარვდექით. როგორც ჩანს, ლიდერ-აუტსაიდერის დაპირისპირებამ მასმედიაში ნაკლები ინტერესი გამოიწვია. თითქმის იგივე სიტუაცია იყო წინა ტურში, როცა პრესკონფერენციაზე ჩემპიონი "ავიამშენის" მეტოქე" "დინამო" იყო. მაგრამ იმ შეხვედრამ გაამართლა - აუტსაიდერმა დინამოელებმა მოწინააღმდეგეს 90:85 აჯობეს. იმედი დავიტოვოთ, რომ ასევე გაამართლებს სტუდენტური დერბი თსუ-სა და სტუ-ს მონაწილეობით. მანამდე პრესკონფერენციის სტუმრებს მოვუსმინოთ.

**ნუგზარ ჭეიშვილი (თსუ, მთავარი მწვრთნელი):** - პირველ რიგში, მინდა შიო ხეცურიანს პროექტ "ყველაზე ჭკვიანში" გამარჯვება მივულოცო. მან მთელი საკალათბურთო სამყარო ასახელა. ხვალინდელ მატჩს რაც შეეხება, მინდა ვთქვა, რომ გუნდი სათამაშოდ მზადაა, თუმცა ოთხი კალათბურთელი გვაკლია - დავით იმნაძე, დავით არწივიძე, მიხეილ ბერიშვილი და ზურაბ სანიკიძე. მათ არყოფნაში დუბლშემადგენლობიდან ლექსო სოხაძეს დავიმატებთ.

**შიო ხეცურიანი (თსუ, კაპიტანი):** - წინა ტური ავადმყოფობის გამო გამოვტოვე. ახლა თავს კარგად ვგრძნობ და საბრძოლველადაც ვემზადები. ჩვენგან განსხვავებით სტუ-ს სერიოზული მოტივაცია აქვს - მათთვის წაგება ფლეი ოფს მიღმა დარჩენას ნიშნავს. ამას ვაცნობიერებთ და სათანადოდ ვემზადებით.

**ნიკო ჩერქეზიშვილი (სტუ, მთავარი მწვრთნელი):** - სტუ ლაზარეთს ჰგავს, ორი კვირაა ავადმყოფობის გამო ვერ ვარჯიშობს ალეკო ძიძიგური, მის მდგომარეობაშია ლაშა დევიძე... კიდევ სამი-ოთხი კაცი გვაკლია. მაგრამ ამისდა მიუხედავად ვეცდებით, რომ გავიმარჯვოთ და ფლეი ოფში მოხვედრის შანსი შევინარჩუნოთ. აქვე ერთს ვიტყვი, რომლის აზრსაც გამგები გაიგებს: გამთამაშებლები, რომელიც შუა მოედანზე ბურთს 10-ჯერ კარგავენ, სჯობს დიდი ქუდი დაიხურონ... და თავი კალათბურთელებად არ ჩათვალონ.

**ნოდარ ბერაია (სტუ, ფორვარდი):** - წინა ტურში რომ ვითამაშე, ტრავმა ახალი მოშუშებული მქონდა. მას შემდეგ ერთი კვირა გავიდა და აღარაფერი მაწუხებს. ვეცდები, უკეთესად გავისარჯო და გუნდს გამარჯვებაში დავეხმარო.



ნუგზარ ჭეიშვილი

## სუმო

# პირველი ოშიდაში



ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე) დაუმარცხებელია

მარტის ბაშოზე აღმოსავლეთის მეშვიდე მაეგაშირა **კოკაი (ლევან ცაგურია)** ლიდერთა შორისაა. ბაშოს დაუმარცხებელი ოძეკი ტოჩიაძუმა ლიდერობს, ხუთ-ხუთი მოგება აქვთ **ჰაკუჰოს, კოტომიცუკისა და კაკურიუს,** მერე კი ერთბაშად 13 რიკიში მოდის (4-4 მოგებით). მათ შორის არიან კოკაი და იოკოძუნა **ასაშორიუ**.

გუშინ ქართველმა ფალავანმა ტურნირზე პირველად იმარჯვა ოშიდაშის ილეთით, მან მე-10 მაეგაშირა **ტოკიცუუმი** დაამარცხა. ქართველს სულ ორი დარტყმა და წამნახევარი დასჭირდა გასამარჯვებლად. კოკაის ახლა 4-2 ბალანსი აქვს. დღეს მისი მეტოქე მეცხრე მაეგაშირა **ტოჩინონადაა,** რომლის ბალანსი 3-3-ზეა. კოკაი და ტოჩინონადა დოჰიოზე ცხრაჯერ შეხვედრიან ერთმანეთს, ჯერჯერობით, იაპონელი 5:4-ს იგებს.

რანგით მესამე მაკუშიტას დივიზიონში ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა დივიზიონის 41-ე ნომერმა **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)**. 19 წლის ქართველმა იკიოი დაამარცხა, ტოჩინოშინის ბალანსია - 3-0.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჰარუ ბაშო (მარტის სუპერტურნირი)
11-25 მარტი, ოსაკა

VI დღე: კოკაი - ტოკიცუუმი 1:0 (ოშიდაში, 1,6 წამი), ასაშორიუ - კიოკუტენჰო 1:0, მიაბიამა - ჩიოტაიკაი 1:0, ჰაკუჰო - კოტოშოგიკუ 1:0, კოტოოშუ - ასასეკირიუ 1:0, კოტომიცუკი - კაიო 1:0, ტოჩიაძუმა - ტოკიტენკუ 1:0, ამა - კასუგაო 1:0, ტოიონოშიმა - ფუტენო 1:0, კისენოსატო - ტამაკასუგა 1:0, ტაკეკაძე - როჰო 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 6-0: ტოჩიაძუმა (ოძეკი); 5-1: ჰაკუჰო (ოძეკი), კოტომიცუკი (სეკივაკე), კაკურიუ (მაეგაშირა 11); 4-2: ასაშორიუ (იოკოძუნა), ჩიოტაიკაი (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), ტოიონოშიმა (მ 1), კისენოსატო (მ 1), ჰომაშო (მ 5), ტაკამისაკარი (მ 6), კოკაი (მ 7), ტამანოშიმა (მ 8), დეჯიმა (მ 8), ტოჩიოძანი (მ 14), შიმოტორი (მ 15), ვაკანოსატო (მ 16)

VII დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი - ტოჩინონადა, ასაშორიუ - კასუგაო, ჰაკუჰო - ტოიონოშიმა, კოტოოშუ - ტოკიტენკუ, კაიო - ასასეკირიუ, ტოჩიაძუმა - კისენოსატო, კოტომიცუკი - ჩიოტაიკაი, კოტოშოგიკუ - ამა, მიაბიამა - კიოკუტენჰო

## თარიღი

17 მარტი, 1932 - დაიბადა რევაზ გოგელია. კალათბურთი (197 სმ). თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1955-64), იყო "სინათლის" მოთამაშე-მწვრთნელი (1964-74). ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ ჩემპიონატების სამგზის მეორე პრიზიორი (1959, 60, 61). გარდაიცვალა 1999 წელს.

### თბილისის სპორტულ ბაზებზე

17-18 მარტი. სპორტკომპლექსი "ქარიშხალა". საქართველოს ჩემპიონატი კარატეში WKF-ის წესებით. დასაწყისი 16:30.

## პირველი მოგება თურქეთში

1992 წელს დაბადებულთა საქართველოს ნაკრების მეორე მატჩი თურქულ შეკრებაზე წარმატებული გამოდგა. **გელა წულაძის** შეგირდებმა სტამბოლის სახელმწიფო უნივერსიტეტი 20 ქულის სხვაობით დაამარცხეს - 68:48. მართალია, ქართველებმა საწყისი 30 წუთიც დამაჯერებლად ჩაატარეს, თუმცა, გადამწყვეტი მაინც ბოლო მეოთხედი გამოდგა, რომელიც სტუმართა სასარგებლოდ 21:7 დასრულდა. ქართველი კადეტები მორიგ მატჩს ძლიერ მეტოქესთან, "გალათასარაისთან" გამართავენ. იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩვენიანებმა პირველი შეხვედრა "დარუშაფაკასთან" 60:82 დათმეს.



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რაგბი**



ანრი ბრონკანის ქრონიკა

# ჯადოქარი მაინც აცდუნეს

**საქართველოს ნაკრების კონსულტანტმა და ფრანგული "ოშის" მწვრთნელმა ანრი ბრონკანმა ამ კვირაში ახალ კლუბთან, პირველი დივიზიონის "აჟენთან" გააფორმა კონტრაქტი. დღიურის დღევანდელ მონაკვეთში მწვრთნელი სწორედ ამაზე საუბრობს. ამჟამად ბრონკანი ესპანეთშია და საქართველოს ნაკრებს ეცნობა.**

## 8 მარტი, ხუთშაბათი

გეზი ჩრდილოეთისკენ ავიღეთ. საშინელი სიცხეა. მანქანით თითქმის მთელი დღე უნდა ვიაროთ. გზატკეცილზე სატვირთო მანქანას გვერდს ისე ვერ აუქცევ, შენ სიცოცხლეს საფრთხე რომ არ შეექმნას.

შეხვედრა ჩემს მომავალ სავარაუდო თანამშრომელთან მაქვს დანიშნული. ადგილზე ჩასულებს გვითხრეს, ეს-ესაა მშობელთა კრებიდან წამოვიდა და გზაშიაო. თურმე მისი შვილით პედაგოგები უკმაყოფილონი არიან და ბევრი საყვედური უთხრეს. ეს ცხადია ძალიან უსიამოვნო ფაქტია, მაგრამ მან რა იცის, რამდენად უფრო ძნელია იყო ერთდროულად პედაგოგი და მამა. ჩემი შვილი კარგი მოსწავლე კი იყო, მაგრამ საზიზღარი ყოფაქცევა ჰქონდა. გაკვეთილებს შორის შესვენებაზე სამასწავლებლოში შესვლა მეზარებოდა. საკმარისი იყო ჩემთვის თვალი მოეკრათ და იწყებოდა- "ეს შენი აუტანელი შვილი... არა, მასთან ურთიერთობა შეუძლებელია... როდისღა უნდა ისწავლოს ჭკუა... და ასე დაუსრულებლად.

მოდით სკოლის მოგონებებს შევეშვათ. როცა მახსენდება დირექტორის კაბინეტში, ჩემი შვილის ლანძღვისას, სირცხვილისგან ლამის მაგიდის ქვეშ დამალვა რომ მინდებოდა, ცუდად ვხდები.

მოლაპარაკებას შესაძლო ჩემი მომავალი კლუბის, "აჟენის"გენერალური დირექტორის კაბინეტში ვაწარმოებთ. საკმაოდ სოლიდური კლუბია, გამართული მენეჯმენტითა და მდიდარი ტრადიციებით. რამდენიმე წლის წინათ სულ მოწინავე ოთხეულში ტრიალებდა. ახლა კი სატურნირო ცხრილის შუაგულშია "მონტობანსა" და "ალბის" შორის.

მომავალი სეზონის წინათ არგენტინასა და სამხრეთ აფრიკაში შეკრებების გამართვას მპირდებიან. რამდენიმე კვირა პამპასებში ან კალაჰარის უდაბნოში. არა, ესენი ნამდვილად არ მიცნობენ..რა დამრჩენია იქ?

## 9 მარტი, პარასკევი

ბოლო ვარჯიშს ვატარებთ "დაქსის" წინაალმდეგ მატჩის წინ. მას შემდეგ, რაც "ბეზიესთან" შეხვედრის ვიდეოჩანაწერი ვნახეთ, დიდი სიფრთხილით ვეკიდებით მათთან თამაშს. ჩვენის მხრივ, "ტულონთან" მარცხით გამოწვეულ ჭრილობებს ვიშუშებთ. ვიდეოფირის ხილვის შემდეგ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა ვაჟკაცურად იბრძოდნენ ჩემი ბიჭები. მიმდინარე სეზონში შესაძლოა ჩვენი გუნდის კლასი გააკრიტიკო, მაგრამ ვერავინ დაგვიწუნებს თავდადებასა და გუნდურ სულისკვეთებას. გამამხნევებელი სიტყვები, რომელსაც მე თამაშის წინ წარმოვთქვამ, ზოგიერთმა მორაგბემ უკვე ზეპირად იცის. ოშელთა უმრავლესობა ჩემთან უკვე ათ წელიწადზე მეტია თამაშობს.

1970 წელს, როდესაც საფრანგეთის რაგბის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ სტაჟირებას პირველად დავესწარი, ერთ-ერთმა ფსიქოლოგმა გუნდის კონცეფცია ასე განმარტა - გუნდი ეს არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ნიანგებით სავსე მდინარის პირას დგას და მეორე ნაპირზე გადასვლას ცდილობს. ამისთვის ჯგუფმა გადაწყვიტა, ხიდი ააშენოს. მწვრთნელმა უნდა იცოდეს, რა მოტივაცია აქვს ამ ჯგუფის თითოეულ წევრს: ერთს თავის მეგობარ გოგონასთან შეხვედრა უნდა, მეორე თავგადასავლების მოყვარულია, მესამე განძს ეძებს, მეოთხეს კი უბრალოდ, შენება უყვარს. მე ვთხოვე ჩემს მორაგბეებს, ბოლომდე მივიყვანოთ ჩვენი ხიდის მშენებლობა. მერე, როცა მეორე ნაპირზე გადავალთ, ზოგი ისევ ერთად გადაწყვეტს გზის გაგრძელებას, ზოგიც სხვა გზას დაადგება, მაგრამ მთავარია, რომ ხიდს ყველა ერთად ააშენებს.

## 10 მარტი, შაბათი

გუნდის კაპიტანი რაფაელ ბასტიდი გაურკვეველ მდგომარეობაშია. ის ჩემთან ერთად 1994 წლიდანაა. ტულუზის გარეუბანში, ამ გუნდის კადეტთა ორმხრივი მატჩის დროს შევნიშნე. უმალვე ჩემ მეგობარ მენეჯერს დავუკავშირდი - ვთხოვე ამ კუნთმაგარი, მთასავით დიდი შუამარბისთვის კონტრაქტი შეეთავაზებინა. ის რამდენიმე დღეში დაუკავშირდა ბასტიდს და 17 წლის ასაკიდან რაფაელი ჩემთანაა. მისი პირველი შეხვედრა ჩვენი გუნდის შემადგენლობაში გუშინდელივით მახსოვს. ხშირად მსაყვედურობენ იმის გამო, რომ რაფაელს პრივილეგიებს ვაძლევ. დიახ, მე მას თვალდახუჭული ვენდობი.

"დაქსთან" თამაშის წინ მის თვალებში დაბნეულობას ვამჩნევ. გავუბრაზდი, რა გემართება-მეთქი. თავი იმართლა, ჩვენი ფსიქოლოგის რჩევით, თამაშისთვის კონცენტრაციას ვცდილობო. ნამდვილად არ იყო ასე - ვგრძნობ, რომ ჩემი სხვა გუნდში გადასვლის შესახებ გავრცელებული ხმები აღელვებს. მისი ეს განწყობა თითქმის მთელ გუნდზე გადადის. წარმომიდგენია, თუ მართლა დავტოვებ "ოშს", რამოდენა ტკივილს მივაყენებ თითოეულ მათგანს.

ეს ყოველივე თამაშსაც დაეტყო. "დაქსი" ძლივს დავამარცხეთ 19:17.

## 11 მარტი, კვირა

დღეს მეგობართან მინდა წავიდე და ვრჩევა ვკითხო, გავაფორმო თუ არა კონტრაქტი ახალ გუნდთან. ქალაქის ჩრდილოეთით მაღლობზე ავედი. იქედან გადავხედე გარემოს. უფრო ჩრდილოეთით პატარა სოფელი მოჩანს. სამხრეთით ოშია, რომელიც ამაყად აწონილი მონასტერის გარშემო გაშენებულა. მიყვარს ეს მონასტერი. დავდგები და დიდხანს ვუცქერ ხოლმე საღამოობით. აუცილებლად უნდა მოვინახულო, სანამ ჩემს ფიქრებს ჩავუღრმავდები. ყოველთვის ვფიქრობ "ხიდზე", რომელსაც გუნდი აშენებს და ვეუბნები საკუთარ თავს, მშენებლობის ბოლომდე მისაყვანად ყველაფერი უნდა გაიღო.

ერთი თვის წინათ ჩემი მეგობარი კატეგორიული წინაალმდეგი იყო, რომ სხვა გუნდში გადავსულიყავი. ამჟამად მას აღარ სურს თავისი გავლენით ისარგებლოს, თუმცა იცის რომ მისი რჩევა შესაძლოა გადამწყვეტიც აღმოჩნდეს. მხოლოდ ერთ ფრაზას მეუბნება : "მე არ მინდა ჩემი ცხოვრებით ვიცხოვრო, მე მინდა ვიცხოვრო ჩემი ოცნებებით".

## 12 მარტი, ორშაბათი

მშვენიერი დილაა. სახლთან ახლოს ერთი პატარა ღელეა. სასეირნოდ გავედი. იქვე ფარშავანგები დადიან. მიყვარს გრაზელის მოკრძალებული პლაჟი. მშვენიერი სანახებია. განა, შეიძლება კიდევ სადმე ვიყო ასე ბედნიერი?

კაფე "ალბატროსის" ტერასაზე ძველ ნაცნობ ყოფილ მეზღვაურს შევხვდი. სიტყვაძუნწს ნამდვილად ვერ დაარქმევ. ის ჩინეთისა და იაპონიის ზღვებზე მომითხრობს. მოხიბლული ვუსმენ. მე ვინა ვარ, ოშის იქით არსად ვყოფილვარ. ცოტა ეჭვიც მეპარება - მგონია, მას მეთევზის ნავით მხოლოდ ჩვენს ღელეში თუ მოუსვამს ნიჩბები და მისი მოგონილი ისტორია იმდენად ლამაზია, რომ თვითონვე სჯერა.

## 13 მარტი, სამშაბათი

ქ. ოშის გაზეთის პირველი გვერდი - " ჯადოქარი მაინც აცდუნეს". კიდევ კარგი, ახლა 2007 წელია. 1994 წელს ფეხებით დამკიდებდნენ. იმედი მაქვს, გამიგებენ მეგობრები, მორაგბეები, ქომაგები. მე მათში არსოდეს შევმცდარვარ.

ხუთშაბათს ფლარანის სააბატოს უნდა ვეწვიო.

**ჭადრაკი**

საქართველოს ჩემპიონატი

# ორი ლიდერით

მესამე ტურის შემდეგ ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს. გუშინ **მიხეილ მჭედლიშვილმა** შავებით **შოთა აზალაძე** დაამარცხა, ხოლო **გიორგი ყაჭეიშვილმა** ასევე შავებით **პარმენ გელაზონიას** მოუგო და მანაც 2.5 ქულას მოუყარა თავი.

უპირველესი მზერა, ცხადია, ტურნირის რეიტინგფავორიტის, **ბაადურ ჯობავასკენ.** ამ მაჩვენებლით მას სხვები საკმაოდ ჩამორჩებიან... ბაადურმა კი სათანადოდ ვერ აიღო სტარტი - პირველ ტურში თეთრებით ყაიმს მეორეში შავებით მოგება კი შეუნაცვლა, მაგრამ გუშინ, ასევე თეთრებით მოგება ვერ შეძლო. ჯობავას მეტოქე ტურნირზე უმცირესი რეიტინგის მქონე და, ალბათ თავიდანვე აუტსაიდერად მიჩნეული **გაიოზ ნიგალიძე** იყო, თუმცა გაიოზმა დაამტკიცა, რომ იოლად არავის დაეჩაგვრინება.

ყველამ იცის, რომ ბაადური შემტევი სტილის მოჭადრაკეა, ვის ხელშიც თეთრი ფერი უფრო სახიფათო ხდება მეტოქეთათვის. სადებიუტო მიგნებებიც უხვად აქვს ჯობავას და მოსაგებად ეს ფაქტორი ხშირად გადამწყვეტია, თუმცა ნიგალიძემ ყაიმს მიაღწია.

პირველ ტურში მარცხისა და მეორეში ყაიმის შემდეგ თეთრებით იმარჯვა **დავით არუთინიანმა**. მან ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი, რეიტინგით მესამე **თამაზ გელაშვილი** დაამარცხა. ეს პარტია, მესამე ტურში ერთადერთი გამოდგა, რომელშიც თეთრებმა იმარჯვეს, სამში კი "შავი დღე" გაუთენდათ - **ლევან არომიძე ლევან ფანცულაიასთან** დამარცხდა, შოთა აზალაძემ მიხეილ მჭედლიშვილთან ვერაფერი გააწყო და პარმენ გელაზონიამ გიორგი ყაჭეიშვილთან გააჩერა საათი. ერთადერთი ყაიმი **გია გიორგაძისა** და **მერაბ გაგუნაშვილის** შეხვედრაში დაფიქსირდა. გიორგაძისთვის ეს მესამე ყაიმია.

მეოთხე ტურში უმთავრეს ინტერესს ყაჭეიშვილ-ჯობავას პარტია იწვევს, თუმცა არანაკლები ინტრიგის მატარებელი იქნება მჭედლიშვილისა და გიორგაძის შეხვედრა.

**ზვიად შათირიშვილი**

მესამე ტური: ლევან არომიძე (2531)-ლევან ფანცულაია (2611) 0:1; შოთა აზალაძე (2332)-მიხეილ მჭედლიშვილი (2583) 0:1; პარმენ გელაზონია (2268)-გიორგი ყაჭეიშვლი (2587) 0:1; ბაადურ ჯობავა (2650)-გაიოზ ნიგალიძე (2224) 0.5:0.5; დავით არუთინიანი (2552)-თამაზ გელაშვილი (2612) 1:0; მერაბ გაგუნაშვილი (2611)-გია გიორგაძე (2610) 0.5:0.5

| სამი ტურის შემდეგ | |
|---|---|
| მიხეილ მჭედლიშვილი | -2.5 |
| გიორგი ყაჭეიშვილი | -2.5 |
| ბაადურ ჯობავა | - 2.0 |
| მერაბ გაგუნაშვილი | - 2.0 |
| ლევან ფანცულაია | - 2.0 |
| გია გიორგაძე | - 1.5 |
| დავით არუთინიანი | - 1.5 |
| გაიოზ ნიგალიძე | - 1.5 |
| თამაზ გელაშვილი | - 1.0 |
| ლევან არომიძე | - 1.0 |
| შოთა აზალაძე | - 0.5 |
| პარმენ გელაზონია | - 0.0 |

მეოთხე ტურში: ფანცულაია-გელაზონია; აზალაძე-არომიძე; ყაჭეიშვილი-ჯობავა; ნიგალიძე-არუთინიანი; გელაშვილი-გაგუნაშვილი; მჭედილიშვილი-გიორგაძე



გაიოზ ნიგალიძემ ფავორიტთან ყაიმს მიაღწია

**სროლა**

ევროპის ჩემპიონატი

# ქალები დღეს ისვრიან

ფრანგულ დოვილში მიმდინარეობს ევროპის პირველობა პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. გუშინ გაიმართა ვაჟთა პირველობა, რომელშიც საქართველო სრული გუნდით გამოვიდა. ჩვენი ნაკრები ჯერ ახალგაზრდულია და ამგვარ ტურნირებში მონაწილეობა მათ გამოცდას ისახავს მიზნად. ჩვენგან საუკეთესონი **ბესიკ სირაძე** და **სერგი ჩიტაიშვილი** გახდნენ - ორივემ 564 ქულა დააგროვა, როგორც პორტუგალიელმა **ჟოზე მარაჩომ,** მაგრამ ბოლო სერია უკეთ სირაძემ ისროლა და კონკურენტებსაც გაუსწრო. 78 მონაწილეს შორის იგი 58-ეზე გავიდა, მომდევნო ადგილებზე კი პორტუგალიელი და ჩიტაიშვილი დამკვიდრდნენ. **ლევან ქადაგიძე** 551 ქულით 75-ე იყო.

ცხადია, ჯერ ჩვენებურთა მაჩვენებლები ბევრად ჩამორჩება მოწინავეთა შედეგებს. შეადარეთ - საკვალიფიკაციო ეტაპი 588 ქულით რუსებმა - **ლეონიდ ეკიმოვმა** და **ვლადიმირ ისაკოვმა** მოიგეს, მაგრამ სირაძეც და ქადაგიძეც ჯერ ძალზე ახალგაზრდები არიან, თანაც, სირაძე ერთი წელიწადი არაა, რაც თანამედროვე ხუთჭიდიდან გადმოიყვანეს.

ჭაბუკთა ტურნირში **ბექა გოგინაშვილი** 547 ქულით 39-ე იყო, **გიორგი ბერიშვილი** კი 537 ქულით ბოლო, 41-ე ადგილზე გავიდა.

დღეს ჩემპიონატში ქალები ჩაებმებიან. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ნაკრებში ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე, ნინო უჩაძე** და **თამილა ასათიანი** გამოდიან. ჩვენთვის მთავარი სწორედ ეს შეჯიბრებაა, სადაც მედლებსაც ველოდებით და არა მხოლოდ პირად ჩათვლაში. ვინძლო, ჩვენებმა ისევ გაიმეორონ ორი წლის წინანდელი წარმატება, როცა ამავე რანგის ტურნირში ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

**ირაკლი თავაძე**

**მძლეოსნობა**

# აღმზრდელებს არ ივიწყებენ

**რევაზ კერესელიძე,** დიმიტრი იოსელიანი, ლევან გიორგაძე, ვლადიმერ სამსონაძე, შალვა კილაძე, თეიმურაზ მაჩაბელი, ვალიკო ფოფხაძე, ნანა კალანდარიშვილი, აკაკი ხუციშვილი, ვიქტორ პორტნოვი, ბონდო გველესიანი, ოლეგ ლაკერბაია, ვალერი ვაშაკიძე, ალექსანდრე მჭედლიშვილი, გივი ნაირაშვილი, არგიდას კიკვიძე, ამირან ქურციკიძე - ესენი ის ვეტერანი მძლეოსნები და სპორტის აკადემიის მძლეოსნობის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები არიან, რომლებიც პირნათელნი წავიდნენ ამ ქვეყნიდან და რომელთა ხსოვნის ტურნირს მძლეოსნობაში ტრადიციულად ატარებენ აკადემიაში.

ნ. დუმბაძის სახელობის მანეჟში გამართულ ამ შეჯიბრებას, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც ესწრებოდნენ ღვაწლმოსილ აღმზრდელთა ოჯახის წევრები, კოლეგები, ყოფილი აღსაზრდელები. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ მძლეოსნობის კათედრის ასოცირებული პროფესორი **მამია ტულუში** და მასწავლებელი **მერაბ მაისურაძე.**

რბენაში თავი გამოიჩინეს **სალომე გაფრინდაშვილმა** (60 მ), **ანა აკოფოვამ** (200 მ), **ირინა ლოზოვაიამ** (400 და 800 მ); სიგრძეზე ხტომაში - **ლიკა დვალიშვილმა,** ბირთვის კვრაში - **სალომე რიგიშვილმა;** ვაჟებიდან პირველობა მოიპოვეს **გიორგი ანთელიძემ** (60 მ), **ირაკლი ჩუბინიშვილმა** (200 და 3000 მ), **გიორგი შეკრელიძემ** (500), **ზურაბ გიგაიამ** (ბირთვი), **გიორგი ამირანაშვილმა** (სიმაღლე), **ბორისლავ სხირტლაძემ** (სიგრძეზე ხტომა).

**ომარ ჩხაიძე**

ინტერვიუ ალენ აივერსონთან

# ჩვენთან ბოსი ჯორჯ კარლია

**ალენ აივერსონის დამატების მიუხედავად, "დენვერ ნაგეტსი" ვერა და ვერ ახერხებს სტაბილურად თამაშს და აქედან გამომდინარე, სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებას. კონფლიქტი მთავარ მწვრთნელ ჯორჯ კარლსა და ვარსკვლავ კარმელო ენტონის შორის კიდევ უფრო ამწვავებს ვითარებას. ამ ეტაპზე "დენვერი" ზემძლავრი დასავლეთიდან ფლეი ოფის ზონაში კი ზის, მაგრამ გუნდს რთული მატჩები აქვს დარჩენილი და კარლის ბიჭებს კონფერენციის რვა საუკეთესოში შესასვლელად დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევთ. გუნდში არსებულ ვითარებაზე კოლორადოელთა ვარსკვლავი ალენ აივერსონი საუბრობს. აღნიშნული ინტერვიუ "დენვერისა" და "ლეიკერსის" მატჩამდე გაკეთდა.**


ალენ აივერსონი

**- ალენ, როგორ ფიქრობთ, კარმელო ენტონისა და ჯორჯ კარლს შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენა უკვე შეუძლებელია?**

- მთავარ მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის პირველ რიგში პროფესიული ურთიერთობა უნდა იყოს, ხოლო თუ ამის უკან მეგობრობაცაა, ეს მხოლოდ და მხოლოდ გუნდის საერთო ინტერესებზე მოქმედებს დადებითად. კარმელო ჯერ ახალგაზრდაა. მას სურს, "ნაგეტსს" რაც შეიძლება მეტი სარგებელი მოუტანოს და ამის გამო, ხშირად ზედმეტს აკეთებს. თუმცა მას არანაირად არ ვამტყუნებ. ენტონი ძალიან მონდომებული ბიჭია, მაგრამ ყოველთვის ვამბობდი, რომ გუნდში პირველ ადგილზე მთავარი მწვრთნელია. რა დონის მოთამაშეც არ უნდა იყოს ენტონი თუ აივერსონი, ერთიცა და მეორეც ვალდებულია, პირველ რიგში, მთავარი მწვრთნელის მითითება შეასრულოს. ჯორჯი გამოცდილი სპეციალისტია, რომელსაც ყველა გუნდში დიდი შედეგისთვის მიუღწევია. ასე რომ, ჩვენი მოვალეობაა, გავიდეთ მოედანზე და მისი ყველა მითითება შევასრულოთ. კონფლიქტი კი არ ყოფილა. ასეთი საუბარი მწვრთნელსა და მოთამაშეს შორის ხშირად იმართება. მთავარია, მასმედიელებმა ყველაფერი ეს ზედმეტად არ გააბუქონ. საწერი მასალის მოპოვება თუ გსურთ, უმჯობესია, თავად მოთამაშეს ან მთავარ მწვრთნელს დაელაპარაკოთ. ისე, გუნდში ორი ბოსი ვერ იქნება. ჩვენთან ბოსი კარლია.

**- კარლის თქმით, თუ ფლეი ოფამდე გუნდი თამაშს არ გამოასწორებს, მაშინ ენტონის სათადარიგოებში გადასვლა მოუწევს.**

- არა მგონია, საქმე აქამდე მივიდეს. იმაშიც არ ვარ დარწმუნებული, რომ კარლმა ეს განაცხადა.

**- დაგვეთანხმეთ, რომ ასეთი შემადგენლობით, "ნაგეტსი" ბევრად უკეთ უნდა თამაშობდეს.**

- კი, ნამდვილად უკეთ უნდა თამაშობდეს, მაგრამ ყველაფერი ყოველთვის ისე არ მიდის, როგორც ჩვენ გვსურს. "დენვერი" რომ აღმოსავლეთში იყოს, ახლა პირველ 3 გუნდში ვიქნებოდით, მაგრამ დასავლეთის კონფერენციაში 4-5 გუნდი ჩვენზე სოლიდურადაა დაკომპლექტებული, ხოლო დანარჩენებთან კი არაფერს ვთმობთ. იმავე "ლეიკერსის" გადასწრება რეალურია და იმედი მაქვს, დარჩენილ მატჩებში ამას გავაკეთებთ.

**- "დალასი" ფავორიტია?**

- შეხედეთ ამ გუნდის მოგებებისა და წაგებების რაოდენობას და ყველაფერი ცხადი გახდება. "დალასი" არაჩვეულებრივ კალათბურთს თამაშობს.

**- სხვები?**

- სხვები "დალასს," პირველ რიგში, თამაშის ორგანიზაციაში ჩამოუვარდებიან, თუმცა ფლეი ოფში ყველაფერი იცვლება და იშვიათი გამონაკლისების გარდა, რთულია რომელიმე გუნდისთვის წინასწარ შემდეგ წრეში გასვლის მილოცვა.

**- არ არის გამორიცხული, რომ "დენვერი" პირველივე წრეში სწორედ "მავერიქსს" დაეჯახოს.**

- თუ დარჩენილი მატჩებიდან მოგებაზე მეტი წაგება დაგვიგროვდება, მაშინ ეს რეალურია, მაგრამ არა მგონია, "დალასმა" კონფერენციაში პირველი ადგილი დათმოს, ჩვენ კი მხოლოდ მერვე ადგილზე გავიდეთ.

**- ბოლო რამდენიმე კვირაა, თქვენი ყოფილი გუნდი "ფილადელფია" არაჩვეულებრივ კალათბურთს თამაშობს.**

- რაც ძალიან მახარებს. ამ გუნდს ანდრე იგუოდალას სახით უძლიერესი მოთამაშე ჰყავს, ხოლო ანდრე მილერი კი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელია. ამ ორი მოთამაშისა და, ალბათ, ასევე სემი დალემბერის შენარჩუნების შემთხვევაში, "სიქსერზი" მომდევნო წლებში ლიგის გამორჩეულ გუნდად უნდა იქცეს. რესურსი არის, მთავარია, მორის ჩიქსმა მოთამაშეების შეკვრა მოახერხოს. მჯერა, რომ ის ამას შეძლებს.

**- დღეს რომ სეზონი დასრულებული იყოს, დათანხმდებოდით თუ არა "დენვერთან" ახალი, გრძელვადიანი ხელშეკრულების გაფორმებაზე?**

- რატომაც არა? თუმცა, მთავარია, როგორ დავასრულებთ რეგულარულს და რა შედეგს ვაჩვენებთ ფლეი ოფში. ისე, სხვაგან გადასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს.

**- ვინ გახდება MVP, დირკ ნოვიცკი თუ სტივ ნეში?**

- აივერსონი ან ენტონი.

**ზურაბ თალაკვაძე**

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**მილუოკი-სან ანტონიო 101:90**

23:23, 29:20, 17:21, 32:26

**მილუოკი:** რედი (29 ქ. 5 მ. 5 პ), ლ. გრირი (14 ქ. 3 მ. 3 პ), პატერსონი (14 ქ. 6 მ. 4 პ), ბოგუტი (13 ქ. 12 მ. 6 პ), ჩ. ბელი (12 ქ. 5 მ).

**სან ანტონიო:** ბ. ბერი (20 ქ), ტ. პარკერი (15 ქ. 8 პ), დანკანი (13 ქ. 13 მ. 4 პ. 3 დ), ჯინობილი (12 ქ. 3 პ).

**ნიუ ჯერსი-მაიამი 86:93**

19:23, 26:20, 15:25, 26:25

**ნიუ ჯერსი:** რ. ჯეფერსონი (20 ქ), ვ. კარტერი (12 ქ. 5 მ. 5 პ), ე. ჰაუსი (11 ქ), კიდი (9 ქ. 14 პ. 10 მ).

**მაიამი:** ჰასლემი (21 ქ. 12 მ), შ. ონილი (19 ქ. 7 მ), ჯეისონ უილიამსი (13 ქ. 12 პ. 5 მ), მურნინგი (11 ქ. 6 მ), ე. ჯოუნსი (5 ქ. 8 პ. 5 მ).

**დენვერი-ლეიკერსი 113:86**

30:31, 21:20, 36:21, 26:14

**დენვერი:** კლეიზა (29 ქ. 6 მ), ენტონი (26 ქ. 8 მ. 5 პ), ს. ბლეიკი (15 ქ), აივერსონი (14 ქ. 13 პ), კემბი (11 ქ. 14 მ. 3 ჩ).

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (25 ქ. 9 პ. 5 მ), უოლტონი (13 ქ. 7 მ. 6 პ), კვამე ბრაუნი (11 ქ. 4 მ), ოდომი (9 ქ).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 63 | 41 | 22 | 65.1 |
| 2. ვაშინგტონი* | 63 | 35 | 28 | 55.6 |
| 3. ტორონტო* | 65 | 36 | 29 | 55.4 |
| 4. კლივლენდი | 65 | 40 | 25 | 61.5 |
| 5. ჩიკაგო | 67 | 39 | 28 | 58.2 |
| 6. მაიამი | 64 | 35 | 29 | 54.7 |
| 7. ნიუ ჯერსი | 66 | 30 | 36 | 45.5 |
| 8. ორლანდო | 66 | 30 | 36 | 45.5 |
| 9. ინდიანა | 64 | 29 | 35 | 45.3 |
| 10. ნიუ იორკი | 64 | 29 | 35 | 45.3 |
| 11. ატლანტა | 66 | 26 | 40 | 39.4 |
| 12. ფილადელფია | 65 | 25 | 40 | 38.5 |
| 13. მილუოკი | 65 | 24 | 41 | 36.9 |
| 14. შარლოტი | 65 | 24 | 41 | 36.9 |
| 15. ბოსტონი | 64 | 19 | 45 | 29.7 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-დალასი | 63 | 52 | 11 | 82.5 |
| 2. x-ფინიქსი | 64 | 50 | 14 | 78.1 |
| 3. იუტა | 64 | 43 | 21 | 67.2 |
| 4. სან ანტონიო | 65 | 46 | 19 | 70.8 |
| 5. ჰიუსტონი | 65 | 40 | 25 | 61.5 |
| 6. დენვერი | 63 | 32 | 31 | 50.8 |
| 7. ლეიკერსი | 65 | 33 | 32 | 50.8 |
| 8. გ. სტეიტი | 66 | 30 | 36 | 45.5 |
| 9. კლიპერსი | 64 | 29 | 35 | 45.3 |
| 10. მინესოტა | 63 | 28 | 35 | 44.4 |
| 11. ნიუ ორლეანი | 64 | 28 | 36 | 43.8 |
| 12. საკრამენტო | 64 | 28 | 36 | 43.8 |
| 13. პორტლენდი | 64 | 26 | 38 | 40.6 |
| 14. სიეტლი | 64 | 25 | 39 | 39.1 |
| 15. მემფისი | 66 | 16 | 50 | 24.2 |

*შენიშვნა:* * - დივიზიონის ლიდერი; x - უკვე მოიპოვა ფლეი ოფის საგზური

**ქულები**

| | |
|---|---|
| ენტონი (დენ) | 29.9 |
| ბრაიანტი (ლეი) | 29.2 |
| უეიდი (მაი) | 28.8 |
| არენასი (ვაშ) | 28.8 |
| აივერსონი (ფილ) | 27.9 |
| ლ. ჯეიმსი (კლივ) | 27.4 |
| რედი (მილ) | 27.1 |
| რ. ალენი (სიე) | 26.7 |
| ნოვიცკი (დალ) | 25.1 |
| ჯ. ჯონსონი (ატლ) | 25.0 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| გარნეტი (მინ) | 12.6 |
| ჩენდლერი (ნ-ორლ) | 12.5 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 12.1 |
| ოკაფორი (შარ) | 11.7 |
| კემბი (დენ) | 11.7 |
| ბუზერი (იუტ) | 11.6 |
| ჯეფერსონი (ბოს) | 11.1 |
| დანკანი (ს-ანტ) | 10.7 |
| ლი (ნ-იორკ) | 10.7 |
| ბ. უოლასი (ჩიკ) | 10.5 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ნეში (ფინ) | 11.7 |
| დერ. უილიამსი (იუტ) | 9.2 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 9.0 |
| პოლი (ნ-ორლ) | 8.8 |
| ბ. დევისი (გ-სტე) | 8.4 |
| ა. მილერი (ფილ) | 8.1 |
| ტ-ჯ. ფორდი (ტორ) | 7.9 |
| უეიდი (მაი) | 7.8 |
| ბილაპსი (დეტ) | 7.5 |
| აივერსონი (დენ) | 7.2 |
| ფელტონი (შარ) | 7.2 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| არტესტი (საკ) | 2.3 |
| მერიონი (ფინ) | 2.1 |
| იგუოდალა (ფილ) | 2.1 |
| კ. ბატლერი (ვაშ) | 2.1 |
| არენასი (ვაშ) | 1.9 |
| ჯ. უოლასი (შარ) | 1.8 |
| კიდი (ნ-ჯერ) | 1.6 |
| ალსტონი (ჰიუ) | 1.6 |
| ლ. ჯეიმსი (კლივ) | 1.6 |
| ტინსლი (ინდ) | 1.6 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| კემბი (დენ) | 3.2 |
| ჯ. ო'ნილი (ინდ) | 2.9 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.8 |
| ოკაფორი (შარ) | 2.8 |
| მოურნინგი (მაი) | 2.5 |
| დანკანი (ს-ანტ) | 2.3 |
| ბრენდი (კლი) | 2.2 |
| გასოლი (მემ) | 2.2 |
| დალემბერი (ფილ) | 2.1 |
| ბ. უოლასი (ჩიკ) | 2.1 |

## ევროლიგა. TOP 16. V ტური

**D ჯგუფი**

**პო ორტეზი-მაკაბი 94:98 (ო)**

20:26, 25:22, 13:19, 31:22, 5:9

**პო-ორტეზი:** მ. რაიტი (24 ქ. 8 მ), კ. ჰარისონი (17 ქ. 6 პ. 4 ჩ), ა. მაილზი (14 ქ. 5 პ), სანდერსი (12 ქ. 5 მ), რ. გრირი (10 ქ. 14 მ. 6 პ).

**მაკაბი:** ბერშტაინი (21 ქ. 7 მ. 5 პ), უ. ბინუმი (20 ქ. 6 მ. 2 ჩ), ელიაჰუ (12 ქ. 8 მ), ი. გრინი (10 ქ. 5 მ).

**რომა-ტაუ 72:77**

24:19, 16:21, 13:18, 19:19

**რომა:** აშკრაბიჩი (19 ქ. 7 მ), ბოდიროგა (17 ქ. 3 მ), დ. ჰოკინსი (14 ქ. 2 ჩ).

**ტაუ:** სპლიტერი (18 ქ. 9 მ. 3 ჩ), რაკოჩევიჩი (17 ქ. 3 პ. 3 ჩ), ტელეტოვიჩი (17 ქ), ვიდალი (10 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ტაუ | 5-0 | +90 |
| 2. მაკაბი | 3-2 | -22 |
| 3. რომა | 1-4 | -45 |
| 5. პო-ორტეზი | 1-4 | -23 |

**E ჯგუფი**

**ხუვენტუდი-პარტიზანი 80:89**

22:21, 28:22, 16:24, 14:22

**ხუვენტუდი:** რ. ფერნანდესი (16 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), ბენეტი (15 ქ. 4 ჩ), არჩიბალდი (14 ქ), გეინსი (13 ქ. 6 მ. 4 ჩ).

**პარტიზანი:** ტრიპკოვიჩი (26 ქ. 4 მ), პ. დრობნიაკი (17 ქ. 5 მ. 3 ჩ), კეჩმანი (14 ქ. 6 მ).

**ცსკა-ოლიმპიაკოსი 83:79**

14:20, 25:17, 23:19, 21:23

**ცსკა:** ლენგდონი (23 ქ), სმოდიში (20 ქ. 5 მ), ჰოლდენი (16 ქ).

**ოლიმპიაკოსი:** ბურუსისი (16 ქ. 6 მ. 2 დ), ჯ. პენი (16 ქ. 2 ჩ), აკერი (11 ქ), შორცანიდისი (10 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. ცსკა | 5-0 | +68 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 2-3 | -15 |
| 3. პარტიზანი | 2-3 | -11 |
| 4. ხუვენტუდი | 1-4 | -42 |

**F ჯგუფი**

**პანათინაიკოსი-პროკომი 95:68**

21:16, 26:12, 24:23, 24:17

**პანათინაიკოსი:** დიკუდისი (19 ქ. 3 მ), დიამანტიდისი (!3 ქ. 5 პ), ვუიანიჩი (13 ქ. 3 პ), დელკი (5 ქ. 8 მ. 4 პ. 2 ჩ).

**პროკომი:** რ. ეტკინსი (15 ქ. 2 ჩ), ჰუკიჩი (12 ქ. 5 მ).

**ეფესი-ბარსელონა 82:78**

24:17, 22:22, 21:17, 15:22

**ეფეს პილზენი:** ჰეისლიპი (25 ქ. 11 მ. 2 ჩ), გონლუმი (18 ქ), ერდენი (!0 ქ), პრკაჩინი (9 ქ. 7 მ. 4 პ).

**ბარსელონა:** ნავარო (16 ქ), ფრან ვასკესი (14 ქ. 7 მ), ლაკოვიჩი (12 ქ. 5 პ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 5-0 | +94 |
| 2. ბარსელონა | 3-2 | +22 |
| 3. ეფეს პილზენი | 1-4 | -50 |
| 4. პროკომი | 1-4 | -66 |

**G ჯგუფი**

**უნიკახა-დინამო 73:62**

23:16, 23:17, 19:8, 8:21

**უნიკახა:** ტუშეკი (19 ქ), ფაისონი (10 ქ. 4 მ. 4 ჩ. 2 დ), ხიმენესი (4 ქ. 11 მ).

**დინამო:** მონია (9 ქ. 4 მ), ბიკოვი (9 ქ), ტრუშკინი (9 ქ).

**ბენეტონი-არისი 83:72**

25:14, 18:19, 22:18, 18:21

**ბენეტონი:** შუმპერტი (17 ქ. 4 მ. 4 ჩ), ნელსონი (15 ქ. 7 მ. 4 ჩ), სორანია (13 ქ. 6 პ), მორდენტე (13 ქ), ზისისი (13 ქ. 4 პ).

**არისი:** სკეილსი (14 ქ. 9 მ. 2 პ), სიგალასი (11 ქ. 4 მ. 2 ჩ), მასეი (10 ქ).

| | მ/წ | სხვ. |
|---|---|---|
| 1. უნიკახა | 3-2 | +24 |
| 2. ბენეტონი | 3-2 | +14 |
| 3. დინამო | 3-2 | -10 |
| 4. არისი | 0-5 | -28 |

**ველოსპორტი**

პარიზი-ნიცა. პრო ტური

# პოპოვიჩის გადამწყვეტი შეტევა

პარიზი-ნიცის მორიგი ეტაპი უკრაინელი **იაროსლავ პოპოვიჩის** გამარჯვებით დასრულდა. ეს ზედიზედ მეორე გამარჯვებაა, რომლებიც ამერიკული "დისქავერი ჩენელის" ველომრბოლელებმა მოიპოვეს, საერთო კლასიფიკაციაში კი ლიდერობა შეინარჩუნა იტალიელმა **დავიდე რებელინმა**.

27 წლის უკრაინელმა, ვინც 23 წლამდელთა შორის მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია, ბოლო აღმართზე შეძლო მდევრების უკან ჩამოტოვება და ფინიშის ხაზიც ეულად გადაკვეთა. რებელინმა კი ეტაპი პელოტონთან ერთად დაასრულა. ახლა ის 6 წამს უგებს პოპოვიჩის ესპანელ თანაგუნდელ **ალბერტო კონტადორს**, ვინც მეოთხე ეტაპი მოიგო.

რბოლის დაწყებიდან მეცხრე კილომეტრზე პელოტონს 13-კაციანი ჯგუფი გამოეყო, რომელიც ყოველი აღმართის (სულ ოთხი იყო) გავლის შემდეგ სულ უფრო მცირდებოდა. ბოლო აღმართის წინ, ლიდერთა ჯგუფი შვიდ კაცამდე შემცირდა.

*"შეტევა მაშინ დავიწყე, როცა დავრწმუნდი, რომ დანარჩენებს არაქათი აღარ შერჩენოდათ. ეს ისეთი ეტაპი იყო, როგორებიც მე მომწონს - აღმართს დაღმართი მოსდევს და ამ დროს დასვენების საშუალება გაქვს. გუშინ კი სულ სხვა იყო. იქ ბოლო აღმართმა ენერგია მთლიანად გამომაცალა"*, - განაცხადა პოპოვიჩმა, ვინც შარშან ტურ დე ფრანსის ერთი ეტაპი ანალოგიური ტაქტიკით მოიგო.



იაროსლავ პოპოვიჩი

**პარიზი-ნიცა**

მე-5 ეტაპი. სორჟედან მანოსკამდე (178 კმ)

1. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, დისქავერი ჩენელი) 4:11.51 (42.406 კმ/სთ); 2. ფრანცისკო ხოსე ვენტოსო (ესპანეთი, სონიე დიუვალი) 0.14; 3. სამუელ დუმულენი (საფრანგეთი, Ag2r პრევოიანსი) 0.14; 4. დავიდ ლოპეს გარსია (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.14; 5. ჟერომ პინო (საფრანგეთი, ბუიგ ტელეკომი) 0.14...

კლასიფიკაცია 5 ეტაპის შემდეგ

1. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 21:52.39; 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 0.06; 3. ტადეი ვალიავეცი (სლოვენია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.23; 4. ფრანკო პელიცოტი (იტალია, ლიკიგაზი) 0.31; 5. სებასტიან ჟოლი (საფრანგეთი, ფრანსის დე ჟუ) 0.32; 6. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრედიქტორ-ლოტო) 0.35...

**ტირენო ადრიატიკო**

მე-2 ეტაპი. ჩივიტავეკიადან მარსიანომდე (202 კმ)

1. ალექსანდრ არეკეევი (რუსეთი, აკვა ე საპონე) 4: 51.41; 2. დანიელე კონტრინი (იტალია, ტინკოფი) 0.29; 3. სვენ კრაუსი (გერმანია, გეროლშტაინერი) 0.29; 4. ფორტუნატო ბალიანი (იტალია, კერამიკა პანარია) 0.31; 5. ბერნჰარდ აიზელი (ავსტრია, T-მობილი) 0.54; 6. თორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, კრედიტ აგრიკოლი) 0.54...

მე-3 ეტაპი. მარსიანოდან მაჩერატამდე (213 კმ)

1. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 5:41.22; 2. ალექსანდრე ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 0.02; 3. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.02; 4. სტეფანო გარძელი (იტალია, აკვა ე საპონე) 0.02; 5. ლუკა მაცანტი (იტალია, კერამიკა პანარია) 0.02...

კლასიფიკაცია 3 ეტაპის შემდეგ

1. ალექსანდრ არეკეევი (რუსეთი, აკვა ე საპონე) 15:07.50; 2. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალი) 0.21; 3. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი) 0.27; 4. ალექსანდრე ვინოკუროვი (ყაზახეთი, ასტანა) 0.27; 5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, ასტანა) 0.29...

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ვაშინგტონი 4:3 (ბ)**

0:2, 1:1, 2:0, 0:0

გოლები: 0:1 კ. კლარკი-25 (გორდონი-19, პოტიე-21), 0:2 კ. კლარკი-26 (სიომინი-28, ოვეჩკინი-43), 0:3 კ. კლარკი-27 (ემინგერი-14, ლეიჩი-7), 1:3 შტურმი-24 (სავარი-68), ბოჩენსკი-12 (შტურმი-17, სავარი-69), პ. ბერჟერონი-20 (სავარი-70, ხარა-30).

ბულიტები გაიტანეს: პ. ბერჟერონი (ბოსტონი), ოვეჩკინი (ვაშინგტონი), კესელი (ბოსტონი).

**ედმონტონი-მინესოტა 1:2**

0:1, 0:0, 1:1

გოლები: 0:1 პერიში-17 (მ. კოივუ-29, ჰოლი-10), 0:2 გაბორიკი-24 (დემიტრა-35, ნუმელინი-17), 1:2 რ. ნილსონი-1 (ტორესენი-11, პუიო-6).

**ფინიქსი-სან ხოსე 1:5**

0:1, 0:2, 1:2

გოლები: 0:1 ჩიჩუ-24 (ჯ. ტორნტონი-73, მ. მიხალეკი-30), 0:2 ჩიჩუ-25 (მ. მიხალეკი-31, ჯ. ტორნტონი-74), 0:3 გერინი-32 (მარლო-38, ბელი-8), 1:3 როუჩი-6 (ნოლანი-20, ბ. ტომასი-4), 1:4 ჯ. ტორნტონი-18 (ჩიჩუ-28, მაკლარენი-10), 1:5 მ. კარლი-11 (მ. მიხალეკი-32, ჯ. ტორნტონი-75).

**ვანკუვერი-სენტ ლუისი 3:2 (ო)**

0:0, 1:0, 1:2, 1:0

გოლები: 1:0 ჰ. სედინი-10 (დ. სედინი-38, სოპელი-22), 2:0 ლინდენი-10 (ბ. მორისონი-26, ...კი-14), 2:1 მაიერსი-8 (დვორაკი-24), 2:2 ჩაიანეკი-12, 3:2 დ. სედინი-31 (ჰ. სედინი-57, ოლუნდი-19).

**ფლორიდა-ბაფალო 3:5**

1:0, 1:3, 1:2

გოლები: 1:0 უეისი-18 (გელინასი-28, ბოუმისტერი-25), 1:1 პომინვილი-29 (ჰეხტი-33, ბრიერი-55), 2:1 ჰორტონი-26 (უეისი-25, გელინასი-29), 2:2 ზუბრუსი-22 (ტალინდერი-8, დ. რუა-36), 2:3 სტეფორდი-7 (ბ. კემპბელი-36, ვანეკი-32), 3:3 ჰორტონი-27 (ვან რინი-19, უეისი-26), 3:4 დრური-35 (ბ. კემპბელი-37, პაეტში-19), 3:5 სტეფორდი-8 (ბ. კემპბელი-38, პაეტში-20).

**ფილადელფია-ატლანტა 3:2**

1:0, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 დ. ჰეტჩერი-1 (ს. რუჟიჩკა-7, კობურნი-6), 1:1 ტკაჩუკი-25 (ჰაველიდი-16, კოვალჩუკი-32), 2:1 ს. რუჟიჩკა-2 (სენდერსონი-17, პიტკანენი-35), 3:1 სანდერსონი-11 (ს.რუჟიჩკა-8, უმბერგერი-12), 3:2 ბელანჟე-15 (ტკაჩუკი-25, ჰაველიდი-17).

**კაროლინა-ნიუ ჯერსი 2:3**

1:1, 0:0, 1:2

გოლები: 0:1 გომესი-11 (ლანგენბრუნერი-33, რაფალსკი-38), 1:1 ტანაბე-2 (ჯასტინ უილიამსი-29, რეი უიტნი-48), 1:2 რასმუსენი-3 (გომესი-45, ლანგენბრუნერი-34), 1:3 პარიზე-28 (ზაიაცი-20), 2:3 ლედი-9 (გლისონი-4, ვალინი-7).

**ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 3:4 (ბ)**

2:2, 1:0, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 ალექსეევი-11 (არხიპოვი-13, რიჩმონდი-1), 0:2 არხიპოვი-9 (ოკუანი-11, ლაპოინტი-9), 1:2 ლუნდმარკი-5 (ივანანსი-4, დ. ბრაუნი-22), 2:2 უილსი-10 (ო'სალივანი-7, მოდრი-11), 3:2 ს. ტორნტონი-6 (კოსტოპულოსი-14, ჰიუვარდი-14), 3:3 ტ. რუუტუ-16 (რენე ბურკი-8, კალიმორი-6).

ბულიტები გაიტანეს: დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი), ჰავლატი (ჩიკაგო), შარპი (ჩიკაგო), ფროლოვი (ლოს ანჯელესი), ალექსეევი (ჩიკაგო).

**ოტავა-აილენდერსი 5:2**

0:0, 2:0, 3:2

გოლები: 1:0 კ. კელი-14 (ვერმეტი-17), 2:0 კორვო-7 (კომრი-20, მაკამონდი-14), 3:0 კ. ნილი-11 (ვერმეტი-18, პრისინგი-28), 4:0 მაკამონდი-11 (კომრი-21, კორვო-21), 5:0 სპეცა-29 (ჰიტლი-49, ივსი-16), 5:1 შატანი-24 (იაშინი-26, პოტი-27), 5:2 ფატა-1 (შატანი-26).

**დალასი-კალგარი 4:2**

2:0, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 მოდანო-16 (სიდორი-15, რობიდასი-17), 2:0 ლესარი-1 (მოდანო-16, ზუბოვი-37), 2:1 ლომბარდი-20 (ტანგეი-51, ჰამრლიკი-30), 3:1 ჰაგმანი-16 (ი. იოკინენი-29, ზუბოვი-38), 3:2 ტანგეი-20 (იგინლა-47, ჰუსელიუსი-40), 4:2 ი. ლეჰტინენი-25 (ი. იოკინენი-30).

# კრივი

ზემძიმე წონა

## ჰოლიფილდი მეხუთე ტიტულს უმიზნებს

დღეს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ევანდერ ჰოლიფილდი** მორიგ ბრძოლას გამართავს, რომელშიც მისი მეტოქე ნიუიორკელი **ვინი მადალონე** იქნება. ბრძოლა შტატ ტექსასის ქალაქ კორპუს კრისტიში ჩატარდება. ჰოლიფილდისთვის, 44 წლის მოკრივისთვის, ეს მესამე ბრძოლაა მას შემდეგ, რაც მან შარშან მოკრივის ლიცენზია დაიბრუნა.

რინგზე დაბრუნებულ ყოფილ ჩემპიონს უკვე ორი ბრძოლა აქვს მოგებული და იმედოვნებს, რომ მისი სხეული კიდევ ერთხელ გაიბრწყინებს მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ დაეუფლება საჩემპიონო სარტყელს და ამგვარად, შეიქნება პირველი ზემძიმეწონოსანი, ვინც ჩემპიონი მეხუთედ გახდება. უფრო მეტიც, ის იმედოვნებს, რომ მეორედაც შეძლებს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის დაუფლებას.

*"მე მინდა, რომ კიდევ ერთხელ გავხდე აბსოლუტური ჩემპიონი. ამ მიზნისკენ ჯერ კიდევ 1993 წლის შემდეგ მივიწევ და ვიმედოვნებ, რომ მალე მივაღწევ"*, - ამბობს ჰოლიფილდი (40-8-2, 26 ნოკაუტი), ყველა პრესტიჟული გაერთიანების (IBF, WBC და WBA) ტიტულს თავის ხელში პირველად თავი 17 წლის წინ მოუყარა მას შემდეგ, რაც **ჯეიმს "ბასტერ" დაგლასს** მოუგო.

ჰოლიფილდს საერთო ჯამში მსოფლიოს 16 ჩემპიონი ჰყავს დამარცხებული, მათ შორის ისეთი გრანდები, როგორებიც არიან **ჯორჯ ფორმენი, მაიკ ტაისონი** და **ლარი ჰოლმსი**. მის კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბრძოლა 1997 წელს ტაისონის წინააღმდეგ ჩაატარა, რომელშიც ყური დაკარგა. ოთხი ტიტული რომ მოიპოვა, იმ ბრძოლებში ის საშუალოდ 20 მილიონ დოლარს ღებულობდა.

მაგრამ 2004 წლის ნოემბერში ამერიკელ **ლარი დონალდთან** წააგო, რის შემდეგაც, ნიუ იორკის ათლეტთა კომისიამ სამედიცინო ლიცენზია ჩამოართვა, ესაოდა, ჩემპიონს მოკრივის თვისებები დაუჩლუნგდაო.

მადალონე (27-3, 19 ნოკაუტი) 33 წლისაა და კარიერაში ბევრი არაფრისთვის მიუღწევია, თუმცა იმითაა ცნობილი, რომ რაც ბრძოლებს იგებს, თითქმის ნახევარში მეტოქეებს პირველ ორ რაუნდში უსწორდებოდა. მართლა მაგარი ბიჭია და იქადნის, ევანდერსაც დავაგდებ, რადგან ეს ის ჰოლიფილდი არაა, ადრე რომ ჩემპიონებს ანადგურებდაო.

და ისევ ჰოლიფილდის დაბრუნების შესახებ. დაბრუნებიდან პირველ ბრძოლაში მან ნოკაუტით მოუგო ვინმე **ჯერემი ბეიტსს**, მერე კი გაცილებით ძლიერი **ფრეს ოკენდოც** ზედ მიაყოლა. ევანდერმა ცოტა ხნის წინ მხრის ოპერაცია გაიკეთა, თუმცა ირწმუნება, რომ საუკეთესო ფორმაშია და მიზნისკენ წინსვლას გააგრძელებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



ევანდერ ჰოლიფილდი

# TV სპორტი

### 17 მარტი. შაბათი

**I არხი**

15:45 კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. სტუ-თსუ (LIVE).

**იმედი**

16:30 კალათბურთი. NBA ACTION. მიმოხილვა

**მზე**

16:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბოლტონი (LIVE).
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-შეფილდი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-კოტბუსი.
15:10 საფეხბურთო კლუბი.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:40 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბოლტონი (LIVE).
18:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 შოტლანდიის ჩემპიონატი. რეინჯერსი-აბერდინი (LIVE).
21:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-ტულუზა.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ბარსელონა (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:10 იტალიის ჩემპიონატი. სამპდორია-პალერმო.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-უდინეზე.
09:45 სპორტინფორმი.
10:00 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ველეს სარსფილდი (არგენტინა)-ინტერნასიონალი (ბრაზილია).
11:45 სპორტინფორმი.
12:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-კოტბუსი.
13:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
14:15 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. უნიკახა-დინამო.
15:58 ფიტნესი.
16:22 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-მონრეალი.
18:06 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი (LIVE).
19:20 სპორტკლუბი.
20:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:50 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ხუვენტუდი-პარტიზანი.
22:30 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეკრეატივო-ბარსელონა (LIVE).
01:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-სპორტინგი.
02:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ბაიერნი.
04:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-პორტუ.
06:30 ფიტნესი.
06:55 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. ველეს სარსფილდი (არგენტინა)-ინტერნასიონალი (ბრაზილია).

**EUROSPORT**

11:30 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
12:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. I ცდა. ლენცერჰაიდი. გერმანია (LIVE).
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. გამოდევნება. ხანტი მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
13:45 ზარის თხილამურები. მსოფლიო თასი. ქალები. 30 კმ. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
15:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. სლალომი. II ცდა. ლენცერჰაიდი. გერმანია (LIVE).
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ლენცერჰაიდი. გერმანია (LIVE).
16:15 ზარის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. 50 კმ. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
17:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გამოდევნება. ხანტი მანსიისკი. რუსეთი.
19:15 ჩრდილოური ორჭიდი. მსოფლიო თასი. 15 კმ. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. ლილეჰამერი. ნორვეგია (LIVE).
21:00 მულტისპორტი.
21:30 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. VI ეტაპი.
22:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. ვარშავა. პოლონეთი.
23:30 ცხენოსნობა. ჩემპიონთა ტური. პალმ ბიჩი. აშშ (LIVE).
01:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. ფინალი. ინდიან უელსი. აშშ (LIVE).
03:00 ბრძოლა წესების გარეშე.
04:00 კიკ-ბოქსინგი.

**EUROSPORT 2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
13:30 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
14:00 მულტისპორტი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ჩრდილოური ორჭიდი. მსოფლიო თასი. HS128. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
17:00 საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
17:30 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
18:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. შახტარი-სევილია.
18:45 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ლოს ანჯელესი.
20:15 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ტირენო-ადრიატიკო. IV ეტაპი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ბილიარდი. პული. ევროპის ჩემპიონატი. ლიბერეცი. ჩეხეთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 კრივი. IBF. რ. ჰატონი (აშშ)-ჯ. ურანგო (კოლუმბია). ლას ვეგასი. აშშ.
00:00 ექსტრემალური სპორტი.
01:00 კიკ-ბოქსინგი.
02:45 ახალი ამბები.
03:00 მძლეოსნობა. მარათონი. სეული. კორეა (LIVE).
04:30 ახალი ამბები.

### 18 მარტი. კვირა

**I არხი**

22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხიმნასტიკი (LIVE).

**რუსთავი 2**

18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

**მზე**

20:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

11:15 გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:25 არგენტინის ჩემპიონატი. როსარიო-სან ლორენსო.
15:15 პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-სპორტინგი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-აიაქსი (LIVE).
20:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
20:55 ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-არსენალი (LIVE).
21:50 გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-მაინცი.
23:30 იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-ემპოლი (LIVE).
01:20 არგენტინის ჩემპიონატი. ბოკა ხუნიორსი-ხიმნასია (ლ).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:40 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:07 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
09:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-შტუტგარტი.
11:15 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. პორტუ-სპორტინგი.
13:00 სპორტკლუბი.
13:15 ფიტნესი.
13:40 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ბაიერნი.
15:25 სპორტის სახეები.
15:55 სპორტკლუბი.
16:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-პონტე პრეტა.
17:45 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატის წინ.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ატლეტიკო (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხიმნასტიკი (LIVE).
00:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-სელტა (LIVE).
01:55 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
02:25 სპორტის სახეები.
02:55 ფიტნესი.
03:10 ფეხბურთი. შოტლანდიის ლიგის თასი. ფინალი. კილმარნოკი-ჰიბერნიანი.
04:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნაიტედი-ლილი.
06:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
07:15 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
07:45 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:00 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. I ცდა. ლენცერჰაიდი. გერმანია (LIVE).
13:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. გამოდევნება. ხანტი მანსიისკი. რუსეთი.
13:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. ხანტი მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
14:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სლალომი. II ცდა. ლენცერჰაიდი. გერმანია (LIVE).
15:15 ჩრდილოური ორჭიდი. მსოფლიო თასი. 7.5 კმ. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
15:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. ხანტი მანსიისკი. რუსეთი (LIVE).
16:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. ლენცერჰაიდი. გერმანია.
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS128. ლილეჰამერი. ნორვეგია (LIVE).
18:30 ველოსპორტი. პარიზი-ნიცა. VII ეტაპი (LIVE).
19:45 ველოსპორტი. პრო-ტურის სერია. ტირენო-ადრიატიკო. V ეტაპი.
20:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. მას-სტარტი. ხანტი მანსიისკი. რუსეთი.
21:00 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. მას-სტარტი. ხანტი მანსიისკი. რუსეთი.
21:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS128. ლილეჰამერი. ნორვეგია.
22:30 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.
23:00 სუმო.
00:00 კრივი. IBF. რ. ჰატონი (აშშ)-ჯ. ურანგო (კოლუმბია). ლას ვეგასი. აშშ.
02:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
02:15 ქერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. კანადა-შვედეთი. აომორი. იაპონია.
04:00 ზამთრის სახეობები. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT 2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 სკიკროსი. საფრანგეთი.
13:30 ჩრდილოური ორჭიდი. მსოფლიო თასი. HS128. ოსლო. ნორვეგია (LIVE).
14:30 ახალი ამბები.
15:15 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ოლბორგი (დანია)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია) (LIVE).
16:45 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
17:15 მულტისპორტი.
17:45 მძლეოსნობა. მარათონი. სეული. კორეა.
18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. I მატჩი. სლაგელსე (დანია)-ლიუბლიანა (სლოვენია) (LIVE).
20:15 ბილიარდი. პული. ევროპის ჩემპიონატი. ლიბერეცი. ჩეხეთი.
21:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ლაკროსი. ჩრდილოამერიკის ლიგა. ოლ სტარი.
00:30 მულტისპორტი.
01:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. 1/4 ფინალი. I მატჩი. ოლბორგი (დანია)-ნიდეროსტერაიხი (ავსტრია).
02:00 ახალი ამბები.
02:15 რესტილინგი.
03:00 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| საუთჰემპტონი-კოლჩესტერი | 1:2 |
| **I ლიგა** | |
| სუონსი-ჩესტერფილდი | 2:0 |
| **II ლიგა** | |
| ჩესტერი-როჩდეილი | 0:1 |
| შრიუსბერი-პიტერბრო | 2:1 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ბოლონია-მანტოვა | 1:1 |
| **გერმანია** | |
| ჰერტა-კოტბუსი | 0:1 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კარლსრუე-ესენი | 1:3 |
| კობლენცი-კარლ ცაისი | 0:0 |
| მიუნხენი-აუგსბურგი | 0:3 |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| სტ. პაული-ვილჰელმშაფენი | 2:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| როიტლინგენი-ზიგენი | 2:0 |
| ელვერსბერგი-კარლსრუე A | 1:0 |
| ჰოფენჰაიმი-კაიზერი A | 2:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაჩო-გენიონი | 1:1 |
| ამიენი-ბრესტი | 2:0 |
| შატორუ-ბასტია | 1:2 |
| გინგამი-ლიბურნი | 2:1 |
| ჰავრი-ისტრი | 1:0 |
| მონპელიე-კაენი | 1:2 |
| ნიორი-დიჟონი | 2:1 |
| ტური-რეიმსი | 0:0 |
| კრეტეი-მეცი | 1:1 |
| **ჰოლანდია** | |
| ვაალვეიკი-როდა | 3:2 |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-ტელსტარი | 0:2 |
| კამბური-ჰელმონდი | 0:0 |
| ეინდჰოვენი A-ფორტუნა | 0:2 |
| ომნივორლდი-ცვოლე | 2:7 |
| ვოლენდამი-როსენდალი | 1:1 |
| იგლზი-ვენლო | 0:1 |
| ჰაარლემი-გრააფსხაპი | 0:3 |
| მაასტრიხტი-დორდრეხტი | 1:1 |
| ტოპ ოსი-ემენი | 4:0 |
| ვეენდამი-დენ ბოში | 0:2 |
| **ბელგია** | |
| ბევერსხოტი-ლოკერენი | 1:2 |
| **პორტუგალია** | |
| ნასიონალი-ბოავიშტა | 2:0 |
| **ფინეთის ლიგის თასი** | |
| კტპ-ჰონკა | 4:0 |
| მიუპა-ლაჰტი | 0:0 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ადმირა-გრატკორნი | 1:1 |
| ლუსტენაუ-აუსტრია A | 0:2 |
| პარტბერგი-პარნდორფი | 1:0 |
| კაპფენბერგი-ლინცერი | 2:2 |
| კერნტენი-აუსტრია (ლ) | 2:1 |
| შვანენშტადტი-ლეობენი | 3:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| კონკორდია-იუვენტუსი | 4:1 |
| ქსამაქსი-დელემონი | 3:1 |
| **თურქეთი** | |
| ქონია-გალათასარაი | 2:2 |
| **ირლანდია** | |
| ბრეი-ბოჰემიანსი | 1:0 |
| დროგედა-დუბლინი | 3:2 |
| სტ. პატსი-უოტერფორდი | 3:0 |
| კორკი-გოლუეი | 0:0 |
| შემროკი-ლონგფორდი | 2:0 |
| **პოლონეთი** | |
| ლკს-ვიძევი | 0:0 |
| **უნგრეთი** | |
| ჰონვედი-დებრეცენი | 2:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ჰავრი-სტრასბური | 57:69 |
| პსჟ-რუანი | 80:78 ოტ. |
| **ჰოკეი** | |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-სლოვანი | 0:4 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ტრშინეცი | 4:2 |
| პარდუბიცე-ზნოიმო | 5:0 |
| **შვედეთი** | |
| ბრინასი-ჰვ71 | 3:2 |
| ტიმრა-მოდო | 2:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| ლუბიჩიჩი-როდიკი | 6:7, 6:7 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ჰანტუხოვა-ნა ლი | 7:5, 4:6, 6:1 |
| ბამერი-გოლოვინა | 6:2, 6:3 |

ფორმულა 1. ავსტრალიის დიდი პრიზი

# ფერარი ყველაზე სწრაფია



გუშინ, მელბურნის ალბერტ პარის ავტოდრომზე სტარტი აილო მსოფლიოს ჩემპიონატმა ფორმულა 1-ის კლასის ავტომობილებით რბოლაში. გუნდებმა პირველი ორი სავალდებულო მოსათელი რბოლა ჩაატარეს, რომლებზეც, ყველაზე სწრაფები "ფერარის" პილოტები - ბრაზილიელი **ფელიპე მასა** და ფინელი **კიმი რაიკონენი** იყვნენ.

მესამე შედეგი ჰქონდა დიდი პრიზების დებიუტანტს ალბიონიდან, ფორმულა ერთის ისტორიაში პირველ შავკანიან პილოტ **ლუის ჰემილტონს**, ვინც მეორე, "მშრალ" სესიაზე მესამე საუკეთესო შედეგი დააფიქსირა და უკან მოიტოვა თავისი ესპანელი თანაგუნდელი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ფერნანდო ალონსო**, ვინც პრაქტიკებზე მეშვიდე შედეგს დასჯერდა.

ამგვარად, დადასტურდა წინასასეზონო ტესტების შემდგომი პროგნოზი, რომელიც ჩემპიონატში "ფერარისა" და "მაკლარენის" ბოლიდების დომინირებას ვარაუდობდა. მართლდება ის ვარაუდიც, რომლის მიხედვითაც, ბოლო ორი ჩემპიონატის ტრიუმფატორი "რენო" ლიდერებთან ახლოს იქნება, "ბეემვე" და "უილიამსი" კი მათთან ჩამორჩენას შეამცირებენ.

სწორედ "რენოს" პირველ პილოტს, იტალიელ **ჯანკარლო ფიზიკელას** ჰქონდა მეოთხე დრო, მას კი მიჰყვნენ გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდი** (ბეემვე), ავსტრიელი **ალექს ვურცი** (უილიამსი) ალონსო, გერმანელი **ნიკო როსბერგი** (უილიამსი) და ჩეხი **რობერტ კუბიცა** (ბეემვე).

*"ეს ჯერ მხოლოდ თავისუფალი პრაქტიკები იყო, სადაც გუნდებისა და პილოტების რეალური შესაძლებლობანი ნაკლებად ჩანს, მაგრამ როცა ყველას წინ ხარ, ეს თავისთავად სასიამოვნოა და ოპტიმისტურად განგაწყობს. ვეცდები, ეს პოზიცია კვალიფიკაციასა და შემდეგ რბოლაშიც შევინარჩუნო"*, - განაცხადა მასამ, ვინც გასული სეზონი ბრაზილიის დიდ პრიზზე მოპოვებული გამარჯვებით დაასრულა და იმედოვნებს, რომ ახალ სეზონსაც მოგებით დაიწყებს.

ჰემილტონისგან ყველა ასეთ სტარტს ელოდა, მაგრამ ის თუ ალონსოს აჯობებდა, ამას ბევრი ვერ წარმოიდგენდა. რაც მთავარია, 22 წლის პილოტმა შესაშური სტაბილურობა გამოავლინა და მისთვის უცნობ ტრასას სწრაფად შეეგუა. ეს კი უკვე მისი დიდი ნიჭის მიმანიშნებელია. პრესკონფერენციაზე ჰემილტონმა განაცხადა, თავი სიზმარში მგონია და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ იმით, რომ ყველაზე დიდი ოცნება ავისრულეო. თუმცა, ყველაზე დიდი ოცნებების ასრულება მას ჯერაც წინ აქვს.

ალონსოს პირველ სესიაზე, რომელიც სველ ტრასაზე ჩატარდა, საუკეთესო დრო ჰქონდა, მაგრამ მეორეზე ოდნავ დათმო პოზიცია. თუმცა, ლიდერებთან ბევრი არ წაუგია.

მეორე სესია მცირე ხნით შეწყდა მას შემდეგ, რაც ინციდენტი მოუვიდა "ჰონდას" ბრაზილიელ პილოტ **რუბენს ბარიკელოს**. მოსახვევში მან საჭეზე კონტროლი დაკარგა, რის გამოც ბოლიდი დატრიალდა და საბურავების ზღუდეს შეეჯახა. ბედად, რუბინიო არ დაშავებულა.

ბარიკელოს ავარიამდე ვარჯიში შეწყვიტა "რენოს" ახალბედა **ჰეიკი კოვალაინენმა**, ვინც საბოლოოდ სესია მე-18 შედეგით დაასრულა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მისი "რენოს" ძრავის კვების სისტემაში წნევა დაეცა. ანალოგიური პრობლემით დაასრულა გამოსვლა ფიზიკელამ, თუმცა მანამდე მან სწრაფი წრის გავლა მოასწრო.

მცირე სენსაცია შემოგვთავაზა იაპონურმა "სუპერ აგურიმ", რომლის პილოტებმაც თვით "ჰონდას" საქარხნო გუნდის პილოტები უკან მოიტოვეს, ბრიტანელ **ენტონი დევიდსონს** მე-11 შედეგი ჰქონდა, მისმა იაპონელმა თანაგუნდელმა **ტაკუმა სატომ** კი მე-13 დრო აჩვენა. ეს მაშინ, როცა ბარიკელო და ბრიტანელი **ჯენსონ ბატონი** მე-14 და მე-15 შედეგებს დასჯერდნენ. ნარბოლევს ბატონმა განაცხადა, ეს ის ადგილია, რომელსაც ამ ეტაპზე ვიმსახურებთო. ის და ბარიკელო "ჰონდას" ბოლიდების არაეფექტურ მუხრუჭებსა და აეროდინამიკას უჩივიან.

შეგახსენებთ, რომ ამ სეზონიდან ახალი რეგლამენტი პრაქტიკებზე სხვა ძრავების გამოყენების უფლებას იძლევა. ორ რბოლაზე ერთი ძრავის წესი კი მხოლოდ კვალიფიკაციასა და უშუალოდ რბოლაზე ვრცელდება. ასე რომ, თავისუფალი პრაქტიკების დროს, პილოტები შეზღუდულები აღარ იქნებიან. სამაგიეროდ, გუნდებს პრაქტიკაზე მესამე მანქანის გამოყვანის უფლება აღარ აქვთ.

ახალი რეგლამენტი საბურავებსაც შეეხო. კერძოდ კი, ამიერიდან ყველა გუნდს ერთი კომპანია - იაპონური "ბრიჯსტოუნი" ამარაგებს. რბოლის დროს, პილოტები ვალდებულები არიან, მშრალ ამინდში ორივე სახის (რბილი და მაგარი) საბურავი გამოიყენონ, რაც კიდევ უფრო საინტერესო რბოლებს გვპირდება.

ალონსო ჩივის, რომ საბურავების ახალი წესების გამო, ბევრ მრბოლს სტილის შეცვლა მოუწევს. გაუჭირდებათ მათ, ვინც შარშან "მიშლენის" საბურავებით გამოდიოდა. ესპანელის თქმით, ამ მხრივ, უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან დებიუტანტები, რომლებსაც შარშანდელი რეგლამენტით რბოლების გამოცდილება არ აქვთ და შესაბამისად, არც სტილის შეცვლა მოუწევთო. ეს, ალბათ, უფრო სუბიექტურ მოსაზრებად უნდა ჩაითვალოს, რადგან დებიუტანტებს ახალი ტრასების გაცნობაც მოუწევთ, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ აქამდე მათ მსგავსი ბოლიდების პილოტირება არ უწევდათ.

ახალი სეზონიდან კიდევ ორი ახალი წესი იმოქმედებს. ჯერ ერთი, რეგლამენტით, ძრავების ბრუნთა მაქსიმალური რიცხვი 19 000-ით შეიზღუდა. მეორეც, შეიცვალა პეისკარის დროს პიტ ლეინში შესვლის წესი. კერძოდ, თუ ტრასაზე სეიფტი ქარი გამოვა, ბოქსებში შესასვლელი მაშინვე დაიხურება. პილოტებს საბურავების გამოცვლის უფლება მხოლოდ მას შემდეგ მიეცემათ, რაც ისინი უსაფრთხოების მანქანის უკან თავიანთი დროის შესაბამისად დალაგდებიან.

**მერაბ ლორთქიფანიძე**





ტურნირები

# ფინალის შესაფერისი ნახევარფინალი

კალიფორნიის ინდიან ველსის კორტებზე მიმდინარე მასტერსის ტურნირის მეოთხედფინალში, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** და ამერიკელმა **ენდი როდიკმა** მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს და ახლა ერთმანეთის პირისპირ თამაში მოუწევთ.

ორივემ დაძაბულ პაექრობაში მიაღწია მიზანს. ესპანელმა ორ სეტში აჯობა არგენტინელ **ხუან იგნასიო ჩელას**, ამერიკელს კი ასევე ორი სეტი დასჭირდა ხორვატი **ივან ლიუბიჩიჩის** დასამარცხებლად. ოღონდ, ნადალისგან განსხვავებით, როდიკმა ორივე სეტი ტაიბრეიკზე მოიგო.

ნადალიცა და ჩელაც უკანა ხაზიდან თამაშს ანიჭებენ უპირატესობას. გამონაკლისი არც ამჯერად მომხდარა. მართალია, არგენტინელი მეტოქეს ტოლს არაფერში უდებდა, მაგრამ ნადალმა გადამწყვეტ მომენტებში შესაშური ოსტატობა გამოავლინა და სწორედ ამის წყალობით მიაღწია გამარჯვებას.

მეორე სეტში, ნადალმა ბრეიკს მე-11 გეიმში მიაღწია, როცა მისმა აგრესიულმა გარჯამ ჩელას უნებლიე შეცდომა დააშვებინა. ამის შემდეგ კი, თავის სერვისზე გამარჯვების ქულის აღება აღარც გასჭირვებია.

*"ჩელა ყოველთვის ძლიან ძნელი მონინააღმდეგეა, რადგან შეხვედრის მსვლელობისას, რიტმს ხშირად ცვლის - ის ხან ნელა თამაშობს, ხან კი ისეთი სწრაფია, გაოცებას იწვევს. ხან ძლიერ დარტყმებზე აკეთებს აქცენტს, ხან კიდევ ტექნიკურ დარტყმებს იყენებს. ამის გაძლება კი ძალიან ძნელია. მინდა ვთქვა, რომ მეც ვერ ვითამაშე ისე, როგორც ვისურვებდი, მაგრამ მოვიგე და ეს შესანიშნავია"*, - განაცხადა ნადალმა, ვისაც შარშან, საფრანგეთის ლიაზე ზედიზედ მეორე ტრიუმფის შემდეგ, ტურნირი არ მოუგია, ფინალში კი ერთადერთხელ, უიმბლდონზე ითამაშა და **როჯერ ფედერერთან** წააგო. სხვათა შორის, ამ სეზონში ეს ნადალისთვის მეორე ნახევარფინალი იქნება.

რაც შეეხება როდიკს, აქამდე ნათამაშებ ოთხ შეხვედრაში მას ერთი სერვისგეიმიც არ წაუგია. უფრო მეტი, მის მეტოქეებს ერთხელაც არ ჰქონიათ ბრეიკის შანსი. თუმცა, ლიუბიჩიჩთან შეხვედრაში ვერც მან შეძლო მეტოქის მოწოდებაზე ქულის აღება.

ამერიკელმა პირველი ტაიბრეიკი მეორე სეტ პოინტზე მოიგო, მეორე ტაიბრეიკზე კი ოთხი მატჩ პოინტი დასჭირდა გამარჯვების მოსაპოვებლად. გადამწყვეტი ქულა მან ხორვატის მოწოდებაზე მოიპოვა, როცა შესანიშნავად მიიღო ბურთი და მეტოქეს ფეხებთან დაუბრუნა, რაზეც ლიუბიჩიჩს პასუხი არ აღმოაჩნდა. შეხვედრის შემდეგ როდიკი კმაყოფილი დარჩა იმით, რომ ტაიბრეიკებზე კარგად ითამაშა.

შეგახსენებთ, რომ როდიკს ნადალი 2004 წლის აშშ-ის ღია პირველობაზე ჰყავს დამარცხებული. სამაგიეროდ, იმავე სეზონის მიწურულს, ნადალმა სრულფასოვანი რევანში სევილიაში აიღო, როცა დევისის თასის ფინალში ესპანეთი აშშ-ს ეთამაშებოდა. მას შემდეგ ეს ორი ჩოგბურთელი ერთმანეთს არ დაპირისპირებია.

ქალების ბადეში ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს რუსმა **სვეტლანა კუზნეცოვამ** და ავსტრიელმა **სიბილ ბამერმა**. პირველმა სამ სეტში აჯობა ჩეხ თინეიჯერ **ნიკოლ ვაიდიშოვას**, მეორემ კი ორ სეტში დაამარცხა ფრანგი **ტატიანა გოლოვინი**.

17 წლის ჩეხმა პირველ სეტში ბევრი პრობლემა შეუქმნა თავის გამოცდილ მეტოქეს. ვაიდიშოვა გამოირჩეოდა ძლიერი მოწოდებით, (მოწოდების) აგრესიული დაბრუნებითა და დიაგონალური დარტყმებით. შედეგად, ეს .სეტი მანვე მოიგო. თუმცა, მერე კუზნეცოვამ მის თამაშს ალღო აუღო და მომდევნო ორი სეტის მოგება არ გასჭირვებია.

*"თუ რას მოიმოქმედებს ნიკოლი, ამის წინასწარ განჭვრეტა ძალიან ძნელია. ამიტომ, ყურადღების მობილიზებით ვითამაშე. ამავდროულად, მარტო დაცვაზე რომ მეზრუნა, არაფერი გამომივიდოდა. საერთოდ, თამაშის დროს ვცდილობ, კორტზე დომინანტი მე ვიყო. დღეს ეს ძალიან გამიჭირდა, რაც ნიკოლის დამსახურებაა. განსაკუთრებით ძნელი იყო მისი დიაგონალური დარტყმების მოგერიება"*, - განაცხადა კუზნეცოვამ, ვინც ამ სეზონში ერთადერთხელ მიაღწია ფინალს (დოჰაში), მაგრამ ტურნირი ჯერაც არ მოუგია.

რაც შეეხება ბამერს, ვინც რეიტინგის მოწინავე 50-ეულში ერთადერთი მეჩოგნეა, შვილი რომ ჰყავს, მან ვტა-ს პირველი კატეგორიის ნახევარფინალს პირველად მიაღწია. მან გოლოვინს მრავალფეროვანი თამაში შეაგება და საკმაოდ იოლად დაამარცხა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**ATP**

**Pacific Life Open**

ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 169 600 დოლარი

**1/4 ფინალი**

ენდი როდიკი (აშშ, 3)-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 8) 7:6(7), 7:6(8);

რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 30) 7:5, 7:5

**WTA**

**Pacific Life Open**

ინდიან ველსი (აშშ). 7-18 მარტი. ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 100 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 6) 4:6, 6:3, 6:4;

სიბილ ბამერი (ავსტრია, 3)-ტატიანა გოლოვინი (საფრ, 13) 6:2, 6:3

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა